

1988

ISSN 0132-600

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



საქართველო

10  
1988



ვლადიმერ  
ილიას ქა  
ლენინი  
რუსეთის  
ახალგაზრდობის  
კომუნისტური  
კავშირის  
III  
პრილზის  
დელაბათა  
ზორის

მხატვარი  
პ. ბალოსოვი

...თქვენ უნდა აღზარდოთ თქვენი თავი კომუნისტებად. ახალ-  
გაზრდობის კავშირის ამოცანაა, ისე მოაწიოს თავისი პრაქტიკული  
საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზგოს, შე-  
კავშირდეს, იბრძოდეს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და  
ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნის-  
ტები. საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის,  
განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგინდეს მასში  
კომუნისტური მოძრაობის აღზრდას.

ვ. ი. ლენინი



ენინური კომკავშირის სახელოვანი საპოცდაათწლიანი გზა მოიცავს თაობათა რთულ და მრავალმხრივ ისტორიას, რომელიც მხოლოდ წარსულის მნიშვნელოვანი ფურცლებით როდია სავსე. მასში გაერთიანებულია ჩვენი დინამიკური დღევანდლობაც და მომავალიც. მაგრამ სანამ იმ მიზნებსა და ამოცანებზე ვისაუბრებდეთ, რომლებიც დღეს დგას რესპუბლიკის მრავალათასიანი კომკავშირული ორგანიზაციის წინაშე, უფრო უპრიანი იქნება, ორიოდ სიტყვა ვთქვათ საქართველოს კომკავშირის მიერ განვლილ გზაზე; გზაზე, რომელიც ფაქ-

საქართველოს კომკავშირის დაბადების დღედ.

განვლილი 68 წელი საქართველოს კომკავშირისათვის თვითდამკვიდრების, თვითგანმტკიცების, საქვეყნო საქმეთა ერთგულების დიდი გზაა. ამ ხნის განმავლობაში მის რიგებში სამ მილიონზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა გაიარა. მათგან ბევრი დღეს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების სფეროებში ღირსეულად აგრძელებს და ამტკიცებს იმ წრთობას, რომელიც მათ კომკავშირმა მისცა.



ბის ხარვეზებად და შეცდომებად უნდა ჩაითვალოს. ბოლო პერიოდში ბევრი სიახლეა შიდაკომკავშირული მუშაობის სისტემაში. უარყავით მუშაობის არაერთი დრომოკმული, დღევანდლობისათვის შეუფერებელი მეთოდი, კომკავშირმა ხელი მიპყრო ისეთი საქმეების მოგვარებას, რაზეც წინათ შეიძლებოდა ბევრს არც კი ეფიქრა. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას მასობრივ სპორტულ-გამაჯანსაღებელ, ტურისტულ-შემეცნებით, პროპაგანდისტულ ღონისძიებებზე; მკიდრო კონტაქტები დამყარდა რესპუბლიკის შემოქმედებით ახალგაზრდობასთან, ახალგაზრდა მეცნიერებთან, ისინი ახლა აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობენ ე. წ. ახალგაზრდულ გაერთიანებებთან, რომლებიც უდავოდ საჭირო, სასარგებლო, ეროვნულ საქმეს აკეთებენ.

ბოლო წლებში კომკავშირმა ბევრი რამ შეცვალა პიონერებთან მუშაობის მხრივ. თქმა არ უნდა, დღეს ერთმანეთს ძალიან მკიდროდ დაუკავშირდა გარდაქმნისა და სკოლის ბედი, რადგან რეალურად შემდგომ წარმატებებზე ფიქრიც კი შეუძლებელია, თუ მომავალი თაობა ამთავითვე არ მიეჩვია თავისუფალ აზროვნებას. გახსოვთ ალბათ, როგორ დროულად და მართებულად შენიშვნა ჩვენი ახალგაზრდობის დიდმა მეგობარმა და საყვარელმა მწერალმა ნოდარ დუმბაძემ: „არ იფიქროთ, თქმოს საქართველოს სტალიონის კონდარივით ერთ დონეზე გაკრეჭილი, ერთნაირად მოაზროვნე და ნიველირებული ახალგაზრდობა სჭირდება“.

# საოცდაათწლიანი

გიორგი ჭანტურია,  
საქ. ალკა ცენტრალური  
კომიტეტის მდივანი

## გზის

# გადასახედოვან

ტობრივად საბჭოთა საქართველოს ისტორიის შესანიშნავი, შთამბეჭდავი პანორამაა. მისი გადასახედიდან კარგად ჩანს საქართველოს კომკავშირის ყველა თაობის საერთო სახე, შემართება და თავდადება.

1917 წლის 3 სექტემბერს ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაცია „სპარტაკის“ ჩამოყალიბებია დასაბამი მიეცა საქართველოში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების შექმნას. „სპარტაკის“ უჭრედები მალე საქართველოს ყველა კუთხეში ამოქმედდა. ცოტა ხნის შემდეგ ისინი გაერთიანდნენ და 1920 წლის 22 მაისს შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი. სწორედ ეს თარიღი ითვლება

საქართველოს კომკავშირისათვის, რომლის რიგებშიც დღეს 852 ათასზე მეტი წევრია გაერთიანებული, უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა გასულ წელს ჩატარებული საკავშირო კომკავშირის მე-20 და საქართველოს კომკავშირის 33-ე ყრილობები. ჩვენი ახალგაზრდობის ამ ორმა დიდმა ფორუმმა განსაზღვრა და კონკრეტული კონტურები მოხაზა იმისა, თუ სადღეისოდ რაზე უნდა გაამახვილოს კომკავშირმა ყურადღება, საით უნდა მიმართოს თავისი ძალები.

დღეს საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციას გარდაქმნისადმი მყარი, გააზრებული და ზუსტი პოზიცია უკავია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლავაც საგრძნობია ახლებური მუშაობის არასაკმარისი ტემპი. ჭერ კიდევ არის შეცდომები და ხარვეზები, მაგრამ ისინი ალბათ ძიე-



საქართველოს ალკა მკ-ის და  
 ვ. ი. ლენინის სახელობის  
 პიონერთა ორგანიზაციის  
 რესპუბლიკური საბჭოს  
 ყოველთვიური  
 საბავშვო ჟურნალი



# პიონერი

აპრილის  
 1926  
 წელიწადი

საბ. კკ მკ-ის  
 ბავშვთაგანთათვის **10** ოჯახობაერი 1926

მებს. გაზეთმა პირუთვნელად აღნიშნა. რომ დღეს პიონერული ორგანიზაცია მძიმე დღეშია, კრიზისი რომ არ ვთქვათ... პიონერებს სურთ ახლებურად ცხოვრება. სურთ დამოუკიდებლად აირჩიონ, რით იყვნენ დაკავებულნი, რას მოჰქიდონ ხელი. უნდათ, როგორც უფროსებმა, დაინახონ თავიანთი შრომის შედეგები; თავად განაგებდნენ თანხებს, რომლებსაც კეთილსინდისიერი, კოლექტიური შრომით გამოიმუშავებენ. მათ მობეზრდათ, დამოკიდებულნი იყვნენ შემთხვევით, ხშირად უგერგილო და უინტერესო ხელმძღვანელებზე. ისინი სიამოვნებით გაჰყვებიან იმას, ვისაც აირჩევენ.

რესპუბლიკის კომკავშირი ახალ-ახალ გზებს ეძებს იმისათვის, რომ პიონერებთან, ბავშვებთან მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართოს. მივმართოთ ფაქტებს: თბილისის გლდანის რაიონსა და ქალაქ ფოთში კარგა ხანია მოსწავლეები უნაღდო ანგარიშსწორებით იღებენ საწარმოო საათებში ან საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებულ თანხას. უნდა ითქვას, რომ შედეგები ჭერჭერობით მხოლოდ და მხოლოდ დადებითია. ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში ამგვარი ფორმა სხვაგანაც დაინერგება. თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების ჩვევებს ბავშვები ე. წ. კომპიუტერულ ბანაკებში იმუშავებენ. წელს რამდენიმე ასეთი ბანაკი მუშაობდა. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ საბჭოთა და ამერიკელ ბავშვთა კომპიუტერული ბანაკი, რომელმაც 1 აგვისტოს დაამთავრა მუშაობა. უნდა ითქვას, რომ მისი მნიშვნელობა მართლაც დიდი იყო.

უკვე ათი წელია, რაც მოქმედებს თავისებური სკოლა-ბანაკი „მცირე

აკადემია“. რომელშიც 2500-ზე მეტმა ბავშვმა გაიარა სწავლება რესპუბლიკის წამყვანი ახალგაზრდა მეცნიერების დახმარებით. წელს დაინერგა შემოქმედ ბავშვებთან მუშაობის კიდევ ერთი ახალი ფორმა — „ნორჩ არქიტექტორთა ბანაკი“. აქ, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ერთობლივი გადაწყვეტილებით, სათანადო ნიჭით დაჯილდოებულმა და არქიტექტურით დაინტერესებულმა ბავშვებმა გაიარეს სპეციალური სწავლება.

დღეს ალბათ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოცნანი წლების შემდეგ ჩვენი სკოლის ისტორიაში არ ყოფილა ასეთი საბასუსხისმგებლო და დაძაბული პერიოდი. უკვე წარსულს ჩაბარდა სკოლის მართვის აღმინისტრაციულ-მბრძანებლური ფორმები, თანდათან განიმტკიცა პოზიციები ურთიერთთანამშრომლობის, ნდობის პედაგოგიკამ. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, მტკივნეულია, იმაზე მეტადაც, ვიდრე ეს ზოგიერთებს ეგონათ, მაგრამ საბოლოო გეზი, მთავარი მიმართულება ამ მხრივ უკვე განისაზღვრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე. ახლა საჭიროა, რომ გარდაქმნის აუცილებლობა შეიგნოს ყველამ — დაწყებული მოსწავლეებითა და მასწავლებლებით, დამთავრებული სხვა ხელმძღვანელებით. ახლა, როგორც არასოდეს, აუცილებელია დავეხმაროთ თითოეულ მოსწავლეს, მოზარდს, გაერკვეს იმაში, თუ რა ხდება ჩვენს საზოგადოებაში, რას მოგვცემს მიმდინარე გარდაქმნები. ამით ჩვენ ხელს შევეუწყობთ მათში სწორი და აქტიური პოზიციის გამომუშავებას.

დეს — პირიქით, თქვენ მშვენიერი, ათასფერადი სურნელოვანი ყვავილებით მოფარდაგებულ, სკითა და ფუტკრით სავსე, მოზუზუნე მინდორს უნდა ჰგავდეთ, ხოლო თქვენი ნამოღვაწარი ველის ქარვისფერივით გამჭვივრვალე და მარგებელი უნდა იყოს“.

დღევანდლობას, გარდაქმნას ყველაზე ნაკლებად ერთნაირად მოაზროვნე და ნიველირებული ახალგაზრდობა სჭირდება; პირველ რიგში ეს ენება კომკავშირულ მუშაკებს, კომკავშირულ ლიდერებს, მათ, ვინც დამაჯერებლად უნდა გაიყოლიოს ახალგაზრდობა. ხვალ და ზეგკი ეს შეეხება იმათაც, ვინც ახლა პიონერის ყელსახვევს ატარებს. ამიტომაც უნდა იყვნენ ისინი თავიანთი მოქალაქეობრივი და ზნეობრივი მოვალეობის სიმადლეზე, იყვნენ გაბედულები, იცავდნენ ჭეშმარიტებას ყველგან და ყოველთვის, უარყოფდნენ და გმობდნენ პირფერობას. სწორედ მათ უნდა შეძლონ თანატოლებთან დამაჯერებელი დიალოგის გამართვა და წარმართვა. ოღონდ არა ისე, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა ხოლმე, როცა ზოგი კომკავშირული მუშაკი, ზოგი პიონერმუშაკი ახალგაზრდობასთან, ნორჩებთან საუბარს ძირითადად იმპერატიულ ტონზე აგებდა.

იქნებ ასეთი დამოკიდებულების, წლების მანძილზე არსებული განუკითხაობის გამო იყო, რომ გაზეთმა „პრავდამ“ ამას წინათ მწვავე წერილი მიუძღვნა პიონერიის პრობლე-



ა ლ ი ო მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა

კ ო მ კ ა ვ შ ი რ ი

კომკავშირი! შევარდენთა სანავარდო,  
განთიადი, მოლაჟღაჟე ვარდისფერად,  
მზის ბაღნარი სამაისო და სავარდო,  
სინარული, სიყვარული და სიმღერა!

ებრძვის გვალვას, და უდაბნოც მისგან იხსნა,  
გასტეხს ყამირს, — ოქროს ბაღნარს დაადარებს  
და ორდენებს, ბრძოლისა და შრომის ნიშნად,  
ამაჲ მკერდზე ვარსკვლავებად დაატარებს!

კომკავშირი! ორმოცი წლის ახალგაზრდა!  
ბრძოლით განვლო გზა მიზნისკენ დასახული.  
კიდევ უფრო გასსივოსნდა, გალამაზდა,  
გაიფურჩქნა ჩვენი ქვეყნის გაზაფხული!

საყვარელო! ლექსს მოგიძღვნი გრძნობით ნაქსოვს,  
ყველა შენი გამარჯვება გამიხარდეს,  
მოდგმიდანვე შენი ტკბილი ზრუნვა მახსოვს,  
სიყრმის კერა არ იქნება არ მიყვარდეს!

აგებს ქარსნებს, ლუმელებში ადნობს ფოლადს,  
დასტრიალებს ახალ სახლებს თუ ხარაჩოს,  
ცაში დაჰქრის, უხარია მზისკენ სრბოლაც,  
საზღვარზე დგას, რომ მშვიდობას უდარაჯოს!

იცოცხლე და იხალისე! ხარ დღევგრძელი,  
მხნედ იარე! კომუნიზმის გზა ეს არი!  
იზვიე დაბადების დღე და წელი,  
მრავალ ასეთ დღესასწაულს დაესწარი!

1958 წ.

ნ ა ზ ი კ ი ლ ა ს ო ნ ი ა

ა მ ხ ა ნ ა პ ო  
კ ო მ კ ა ვ შ ი რ ი !

პირველი სიტყვა და  
დროშები გაშლილი...  
ო, როგორ მიყვარდა,  
ო, როგორ მიყვარდა  
ჩემი კომკავშირი!..  
მრწამსი: სიჭაბუკე  
არასდროს შეცდება,  
პირველი ბუკები,  
პირველი წესდება!..  
მე მერქვა რეზერვი,  
მე მერქვა არმია.  
ამბობდნენ: შესძელი,  
იგრგვინე არია!  
ამბობდნენ: პატაკი  
შრომის წინ!  
ბრძოლის წინ!  
შენშია სპარტაკი!  
შენშია ბორისი!

პირველი სიტყვა და  
წიგნები გაშლილი,  
მიყვარდა, მიყვარდა  
ჩემი კომკავშირი!..  
რადგან მოჟაისკის  
განიერ შოსეზე  
ზოიას მაისი  
ავმართეთ დროშებზე.  
და მაქვს სხვა ქანდაკიც —  
ზოია რუხაძე,  
ვით ყლორტი მხარდამხარ  
მშობლიურ მუხაზე...  
რამდენი წლისა ხარ?  
ჩვიდმეტის?  
თვრამეტის?  
ხომ ისევ მზისა ხარ,  
ხომ გავხარ კორჩაგინს?  
ქარიშხლით შობილებს?

ხომ აზრით მოსავდი  
მაგ ჯიუტ პროფილებს?  
თითქმის ბავშვობიდან,  
ო, თითქმის ბავშვიდან,  
კომკავშირო,  
მოდისხარ მარშითა!  
ამხანაგო კომკავშირო,  
შენ გქვია გულწრფელი.  
ამხანაგო უშიშარო,  
შენ სწორ გზას უცქერი!  
ამხანაგო კომკავშირო,  
შენ განდობ შენებას.  
მეგობარო, მოკავშირევ,  
სიამაყევ, მშვენებაჲ!  
ამხანაგო ფრთაგაშლილო,  
სიჭაბუკის სიტყვა ხარ!  
ამხანაგო კომკავშირო,  
მიყვარხარ,

მიყვარხარ!  
კაშხალიდან,  
პესებიდან,  
შენი დიდი ლექსებითა,  
მიყვარხარ!  
ხნულებიდან,  
მწყემსეუბიდან,  
შენი წრფელი ლექსებითა,  
მიყვარხარ!..  
ამხანაგო სიჭაბუკევ,  
ელავს შენი ფერდობი,  
მშვიდობის მზე ნუ ჩაუქრეს,  
შენში რასაც ვენდობით!  
მეგობარო ფრთაგაშლილო,  
სიჭაბუკის სიტყვა ხარ!  
ამხანაგო კომკავშირო,  
მიყვარხარ!..  
მიყვარხარ!..

1978 წ.





# კომკავშირითა დღევანდელი თაობა

საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის ექსპონატთა ერთი ნაწილი 70-80-იანი წლების ახალგაზრდების, კომკავშირელების საქმიანობას ასახავს.

ეს ის პერიოდია, როცა თბილისში, მდინარე ვერეს ხეობაში, საფუძველი ჩაეყარა პიონერულ ქალაქ „მზიურს“ (1981 წ. 30 ოქტომბერი), კომკავშირელთა სქტიური მონაწილეობით დაიწყო და დამთავრდა ბავშვების მშვენიერი ოცნების ქალაქის პირველი რიგის მშენებლობა;

როცა რესპუბლიკის ჭაბუკები და ქალიშვილები აქტიურად მონაწილეობდნენ მასობრივ ლაშქრობებში საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში; მშობლიურ საწარმოებსა თუ სკოლებში ქმნიდნენ დიდების მუზეუმებს, კუთხეებს; აგებდნენ მემორიალებს; გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად აშენებდნენ სკვერებსა და ხეივანებს;

როცა სამხედრო-პატრიოტული თამაშების — „ცისკრისა“ და „მართვეს“ ათასობით მონაწილე უფროსკლასელი იკავებდა სხეულს, იძენდა სამშობლოს დამცველისათვის აუცილებელ ცოდნასა და ჩვევებს;

როცა ახალი ელფერი შეიძინა კეთილ ტრადიციად დამკვიდრებულმა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ახალგაზრდობის ინტერნაციონალური მეგობრობის შეხვედრა-ზეიმებმა ისტორიულ წითელ ხიდთან;

როცა ათობით ახალგაზრდის შრომითი, შემოქმედებითი თუ მეცნიერული მიღწევა საქართველოს კომკავშირის პრემიით, ხოლო მათგან

ყველაზე გამორჩეული — საკავშირო კომკავშირის პრემიით აღინიშნა;

როცა ჩვენმა სტუდენტთა და უფროსკლასელთა რაზმებმა ჩაის პლანტაციებში, ბალ-ვენახებსა თუ ახალმშენებლობებზე თავდადებული შრომით გამოიჩინეს თავი და ახალი სასახელო ფურცლები ჩაწერეს მესამე შრომითი სემესტრის მათიანეში;

და ბოლოს, ეს ის პერიოდია, როცა ქვეყნად უდიდესი ძვრები მოხდა, რევოლუციურმა გარდაქმნამ ახალი აზროვნება, განსაკუთრებული შრომითი შემართება და ძალისხმევა, პრაქტიკული მოქმედება მოითხოვა თითოეული საბჭოთა ადამიანისაგან, კონკრეტული საბასუხისმგებლო ამოცანები დაუსახა ახალგაზრდობას — გარდაქმნის დიადი იდეების მთავარ განმასხვრცილებელსა და ფრთების შემსხმელს. ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა — მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, ახალგაზრდა მუშებმა და კოლმეურნეებმა, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლებმა გაბედულად აუწყვეს ფეხი გარდაქმნის ენერგიულ ნაბიჯებს, უყოყმანოდ გამოვიდნენ მისი მაღალი და ძნელად მისაღწევი მიზნებისაკენ სავალ გზებზე. ახალგაზრდობის მზადყოფნა, კონკრეტული, საქმიანი წვლილი შეიტანოს გარდაქმნის სრული გამარჯვების საქმეში, ნათლად გამოჩნდა შარშან მოსკოვში გამართულ ალკკ XX ყრილობაზე. ქვეყნის მოწინავე ახალგაზრდობის ამ მასშტაბურმა ფორუმმა დასახა იმის კონკრეტული გზები და საშუალებები, თუ როგორ უნდა ამრავლოს კომკავშირმა თავისი წვლილი გარდაქმნის საქმე-

ში, როგორ აიმაღლოს ერთგვარად შერყეული ავტორიტეტი ახალგაზრდებს შორის, როგორ მიაღწიოს კომკავშირული მუშაობის გადახალისებას, გამდიდრებას შემოქმედებითი ხასიათით, მის შეთანასწორებას დღევანდელი ახალგაზრდების ინტერესებსა და მისწრაფებებთან. ყრილობამ გარდაქმნის რევოლუციური იდეით აღანთო მილიონობით ჭაბუკი და ქალიშვილი, მის ყველაზე ძნელ, საბასუხისმგებლო უბნებზე უხმო მათ და კიდევ ერთხელ შეახსენა კომკავშირელთა წინა თაობების ის თავდადება, შემართება, ენთუზიაზმი, რომელმაც შეუძლებელი შეაძლებინა და დაუძლეველი დააძლევინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, პირველი ხუთწლედის, სამამულო ომის, დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობის მონაწილე ჭაბუკებსა და ქალიშვილებს.

ის სულისკვეთება, რომლითაც საქართველოს ახალგაზრდობა შეხვდა პარტიის XXVII ყრილობის, კომკავშირის XX ყრილობისა და ახლახან გამართული XIX პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს, ის ენთუზიაზმი, რომლითაც ჩვენი ჭაბუკები და ქალიშვილები შეუდგნენ გარდაქმნის დიად მიზანდასახულობათა განხორციელებას, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს კომკავშირის, მთელი ახალგაზრდობის სახით გარდაქმნის ერთგულ მეგობრობათა საიმედო რაზმი ჰყავს, და უეჭველია, რომ მოკლე დროში საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის 700-მდე ექსპონატს შეემატება მდიდარი მასალა დღევანდელი ახალგაზრდობის, კომკავშირელთა თანამედროვე თაობის საქმიანობაზე.



# ქონია კინოში და სწვენბი

— რაო, რაო? — ყველა თამარს მიანერდა. შიშით კი არაფრის ეშინოდათ, მაგრამ სიმაართლის გამოსაძიებელი დაკითხვის, მოსაბეზრებელი ჭკუის დარიგების, დატუქსებისა და თითის ქნევის პედსპექტივა არავის ახარებდა.

ჯერ მარტო თამარი დაიბარა დირექტორმა. კაბინეტში მის ვარდა სასწავლო ნაწილის ვაშვე, გიორგი მასწავლებელი და ლოლაბრიჯიდა იხსენენ. ამ უკანასკნელს შურისძიების აღსრულების იმედით განათებული სახე ჰქონდა.

— აბა, მარიამიძე, გვიამბე, რატომ გადაწყვიტე გუშინ ვაპარვა? — ჰკითხა დირექტორმა.

— მე არ ვაპარულვარ, — აიქოჩრა თამარი, — პირდაპირ, ყველას თანდასწრებით ავდექი და წავედი.

— აი, ხომ ხედავთ, რა თავხედი?! — აღარ დააცადა ლოლა მასწავლებელმა.

— მით უარესი! რატომ, ბატონო, რატომ ადექი პირდაპირ და ყველას თანდასწრებით რატომ წახვედი?! — ჩაეძია დირექტორი.

— გაკვეთილი არ მაინტერესებდა, ლოლა მასწავლებელმა კი გვითხრა, ვისაც არ აინტერესებს, შეუძლია წავიდესო, მეც ავდექი და წავედი... —

— აი, ბატონო, შეხედეთ! თქვენ კიდევ იცავთ! — გადასწვდა ლოლაბრიჯიდა გიორგი მასწავლებელს. — კი, მაგრამ, მარიამიძე, ვითომ ისეთი გულუბრყვილო ხარ, რომ ვერ მიხვდი, რომ ისე, სასხვათაშორისოდ, კლასი რომ გამეჩერებინა, იმიტომ ვთქვი ეს?!

— ესე იგი, არ უნდა გეთქვათ...

— არა, პატივცემულო შალვა, მე იმ კლასში შემსვლელი აღარა ვარ, სადაც ეს ქალბატონი იქნება და საერთოდ, მინდა გითხრა, რომ ზოგიერთები, — აქ მან მრავალმნიშვნელოვნად გადახედა გიორგი მასწავლებელს, — თავზე ხელს რომ არ უსვამდნენ, ეს თქვენი „გალუა“ ამდენს ვერ გაბედავდა, მე გითხვით...

დირექტორმა ლოლა მასწავლებელს დამშვიდება სთხოვა და თამარს მიუბრუნდა:

— სხვები რატომღა შეაგულიანე?

— მე არავინაც არ შემიგულიანებია... ვარდა ამისა, ჩვენ საკმაოდ დიდები ვართ საიმისოდ, რომ დამოუკიდებლად გადაწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

— დავუშვათ... მერე სად წახვედით?

— მე — იპოდრომზე, ცხენები მომენატრა და... ახლა კი სასწავლო ნაწილი აღმფოთდა.

— რა პასუხია ეს, მარიამიძე?!

— თქვენ ხომ სიმაართლის თქმას მთხოვთ და მეც სიმაართლეს გუუბნებთ.

გიორგი მასწავლებელს ჩაეღიმა.

თამარს დერეფანში მთელი კლასი უცდიდა; დირექტორმა რომ გაიგო, შემოუთვალა, რახან თქვენით მო-

სულხართ, ბარემ შემობრძანდითო, ერთადერთი კედელი იყო თავისუფალი კაბინეტში და იმ კედელთან მიდგნენ. გზად ბეჭამ სიღმზე გამწკრივებულ თავისივე მოპოვებულ სპორტულ თასებს მხარი გაჰკრა, კინალამ გადმოყარა. თრითინა კუთხეში მიიყუყა. კახა და ზაზა პირველ რიგში აღმოჩნდნენ.

— ყველანი ხართ?

— სანებლიძე არ ჩანს, — შენიშნა გაკვირვებულმა ლოლა მასწავლებელმა.

გიორგი მასწავლებელი სიყვარულით ათვალეირებდა თავის გოგო-ბიჭებს. „ჩემები არიან, აბა რა, — ფიქრობდა ღიმილით, — ჩემ ხელში გაიზარდნენ, ჩემ ხელში ისწავლეს აზროვნება... როგორი სხვადასხვანაირები არიან! ნეტავ ერთი ათი წლის მერე მანახა ამათი თავი! ვინ რა გზას აირჩევს, ვის რა ჭეშმარიტებას აწამებინებს ცხოვრება?..“

დირექტორმა თვალი გადაავლო მათ და უცხად დაინხა, აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა ეკითხა, რა დაედგინა, მთავარი ხომ ისედაც იცოდა. გამოკითხვას აზრი არა ჰქონდა და ყველას გასაკვირად ისღა უთხრა მკაცრად, კვლავაც აღარ გაიმეოროთ ასეთი რამ, ჭიშია ხელწამოსაკრავი საგანი არ არის და ჭკუა მოიკრიბეთო, ხოლო ლოლა მასწავლებელი გამოცდილი და მცოდნე პედაგოგია და პატივისცემით უნდა ეპყრობოდეთო. კიდევ ერთხელ გაუმეორა, აღარ გავიგო, ვინმე გაკვეთილიდან გაიპაროს ან წავიდეს, თორემ სხვანაირად ვილაპარაკებთო, და გამოუშვა. ცოტა არ იყოს, გამტკნარებული ლოლაბრიჯიდა მაინც თავისაზე იდგა, პედსაბჭოს მოწვევას, მკაცრი ზომების მიღებას და მარიამიძის სამაგალითოდ დასჯას მოითხოვდა.

— მაპატიეთ, ქალბატონო ლოლა, — შეესიტყვა გიორგი მასწავლებელი, — მაგრამ ხანდახან მეჩვენება, რომ ჩვენ, მასწავლებლები, პირდაპირ ჩასაფრებულები ვართ, ვუცდით, როდის შეცდება ბავშვი, როდის გამოავლენს ხასიათის უარყოფით მხარეს, რათა ვეცეთ და დაგროვილი ჯავრი ვიყაროთ, იმ უარყოფითს ჩავებლაუჭოთ და იმის იქით აღარაფერი დავინახოთ... მოვიტხოვთ და გვინდა, რომ ყველანი ერთნაირები იყვნენ, მაშინ ხომ ყველაფერი ასე გაიოლდებოდა... ზოგჯერ გვაკვიწყდება, რომ ყველა მათგანი პიროვნებაა, დიან, დიან, პიროვნება, და რომ ისინი ერთმანეთს არ გვანან. ზოგს რთული, ეკლიანი ხასიათი, ხოლო ყველას თავისი განცდები, სინარული და სატკივარი აქვს... თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველას ერთნაირად უნდა ვეპყრობოდეთ. შეიძლება მე ვცდები, ამიტომ გთხოვთ ამიხსნათ, რატომ არ უნდა მქონდეს თუნდაც იმავე მარიამიძისადმი გამორჩეული დამოკიდებულება? ის ხომ იმსახურებს ამას?! საერთოდ კი, მე მგონია, „თავზე ხელის გადასმა“ ცუდი არ უნდა იყოს მოსწავლეებთან ურთიერთობაში. რა თქმა უნდა, თამარმა დაარღვია სასკოლო დისციპლინა, მაგრამ არა მგონია, რამე საშინელი ჩაედინოს,

მით უმეტეს, რომ თავადვე გიბიძგებიან... უნებურად, რა თქმა უნდა... ისე, მეც კი წავიდოდი ცხენების საყურებლად...

ამ სიტყვებზე ლოლბარიჯივად ხელით ანიშნა იქ მყოფთ, აი, ბატონო, რას გეუბნებოდით, როგორც მღვდელი, ისეთიც მრევლიო.

— გიორგი, — მიმართა დირექტორმა, — შენ ახლა მთლად უცოდველადაც ნუ გამოიყვან მარიამიძეს, წესი და დისციპლინა ყველასთვის ერთია. დაუსჯელობას კი, შენც იცი, რა მოჰყვება — სხვებიც მიბაძავენ და იარონ აბა, ასე — ზოგმა ცხენების სანახავად და ზოგმა...

— ზებრების, — მიაშველა სასწავლო ნაწილმა.

— ზებრების? — გაუკვირდა დირექტორს. — ჰო, რა ვიცი, თუნდაც ზებრების.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მეათე „ა“-მ მკაცრი გაფრთხილება მიიღო; თუ კიდევ ერთხელ მაინც გაცდენდნენ კოლექტიურად თუნდაც ერთ გაკვეთილს, კლასის დაშლის საკითხი დადგებოდა. თამარის დედა კი მაინც დაიბარეს სკოლაში. დირექტორთან საუბრის შემდეგ ლოლა მასწავლებლის დაჟინებით კლასის დამრიგებულმა მასაც შეახვედრა ქალბატონი თინათინი. ლოლბარიჯივად კატეგორიულად მოსთხოვა თამარის დედას, სერიოზულად მიეხედა შვილისათვის, თვალის ედევნებინა მისი ყოველი ნაბიჯისათვის, მეტი ეზრუნა მის ზრდილობაზე, ხშირად ევლო სკოლაში. ქალბატონი თინათინი მოთმინებით უსმენდა, არ შეაასუსებია, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ მისი თამარი არც უზრდელი იყო და არც უტიფარი. თავისი ქალიშვილის ხასიათის ამბავი კარგად იცოდა. ხედავდა მის გულჩაკეტილობასა და უთქმელობას, ედარებოდა, რომ უკიდურეს თავშეკავებულობასთან ერთად უცნაური აფეთქებაც იცოდა, ისიც აწუხებდა, რომ თამარს არ შეეძლო თავისი სიმართლე დაემტკიცებინა, გაცხარდებოდა, თავის თავზე გაბრაზებული გამოსავალს ვერ პოულობდა, ანაზღად მიატოვებდა ყველას, სიტყვას პირზე შეატოვებდა, მერე განმარტოვდებოდა და ზოგჯერ კიდევაც ტიროდა ხოლმე ჩუმად, წყენას გულში იკლავდა. დედამ ისიც იცოდა, რომ მის ქალიშვილს თვალთმაქცობა არ შეეძლო, ყოველთვის გულწრფელად განიცდიდა სხვისთვის უნებურად მიყენებულ მცირე ტკივილსაც კი, სიკეთეს უნმაუროდ აკეთებდა და არასდროს არ იმანსოვრებდა მას. ხანდახან თავს გამოუტყდებოდა ხოლმე: გარდა იმისა, რომ უყვარდა თამარი, რაღაცნაირად თითქოს ერიდებოდა კიდევაც მისი, პატივს სცემდა.

— ისე, თუ იცით, რა მეტსახელი ჰქვია თქვენს ქალიშვილს? — ნიშნის მოგებით ჰკითხა ლოლბარიჯივად.

— კი, დონია კინოტი.

— მერე... თქვენ არ გაწუხებთ, არ გაფიქრებთ ეს ამბავი?

— პირიქით, — ღიმილით მიუგო ქალბატონმა თინათინმა.

— არ ვიცი, არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ლოლა მასწავლებელმა და თავისთვის გაიფიქრა, ნეტავ შვილისა რაღა მიკვირსო...

მაკა არც მომდევნო დღეს მისულა სკოლაში, მესამე დღეს კი სამედიცინო ცნობა მიიტანა, რომ ზედა სასუნთქი გზების კატარით იავადმყოფა.

მისთვისვე მოულოდნელად, თამარს ხშირად ახსენდებოდა არჩილი, უკვირდა, რომ თურმე ყველა მისი სიტყვა დამანსოვრებოდა, მისი ღიმილიც მისივე მესხიერებას და გამოხედვაც. ნახატებიდან კი მხოლოდ ის ეული ნავი აგონდებოდა.

— თამარ, გამარჯობათ, არჩილი ვარ... — გაისმა ერთხელაც ტელეფონის ყურმილში.

თამარს ხმა არ ამოუღია:

— ალო, ალო, თამარ!

— დიას, გისმენთ.

— არჩილი ვარ-მეთქი...

— დიას, არჩილ, გისმენთ.

— როგორა ხართ?

— კარგად. თქვენ?

— მეც კარგად.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— თამარ, იაპონური თეატრის სპექტაკლზე მაქვს ორი ბილეთი და ხომ არ წამოხვიდოდით?

თამარი შეეყოყმანდა.

— ალო, თამარ!

— კი, წამოვალ.

— მაშინ შვიდი საათისთვის ფილარმონიასთან დაგელოდებით.

— კარგი.

— სად მიდინარ? — იმ წუთში ეცნენ დაყურადებული ძმები.—ნახე, როგორ გაწითლდა! ვინ იყო, ვის ელაპარაკე?

— გავწითლდი კი არა... ამხანაგი იყო...

— კი, აბა, ამხანაგი... მაშინ რატომ გაწითლდი? — არ ეშვებოდნენ გულბათი და გარსევანი. ძლივს მოიცილა თავიდან.

ახლა მაშინ შეუჩნდნენ, წასასვლელად ჩაცმა რომ დაიწყო. — ოხ, ქალბატონს კაბაც ახალი ჩაუცვია, ფეხსაცმელებიც! სულ ერთია, ჩვენც წამოვალთ და მაინც ვნახავთ, ვინ დაგირეკა...

— დაესხენით! — რამდენჯერმე დაუცაცხანეს დედამ და ბუბიამ, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს, ვერ მოაშორეს.

ათასი ფიქრი უტრიალებდა გზაში თამარს — რომ მკითხოს, რატომ გაიქცევი მაშინო, რა ვუთხრა? რატომ დამირეკა?... იქნებ უარი უნდა მეთქვა და საერთოდ აღარასდროს არ უნდა შევხედო? იქნებ... მაგრამ როგორც კი არჩილი დაინახა, ყველაფერი გადაავიწყდა.

ღიმილით მიესალმნენ ერთმანეთს. ის დღე არც ერთს არ გაუხსენებია. სულ რაღაც ზოგადზე ლაპარაკობდნენ, იაპონური თეატრის თავისებურებაზე, საერთოდ იაპონურ ხელოვნებაზე, პოეზიაზე. სპექტაკლის შემდეგ არჩილმა სახლამდე მიაცილა. თამარმა უნებურად თავიანთ ფანჯრებს ახედა, გარსევანი და გულბათი ლამის წელამდე გადმოსრილიყვნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს. — აუჰ, ახლა აღარ მომასვენებენო, — გაიფიქრა ღიმილმორეულმა. დამშვიდობებისას არჩილმა უთხრა, კიდევ დაგირეკავო, თამარმა არაფერი უპასუხა, მხრები აიჩეჩა, როგორც ვინდო და სულმოუთქმელად აირბინა კიბე. რა თქმა უნდა, კარი ძმებმა გაუღეს. — ოხ, მობრძანდა ქალბატონი!.. — კიდევ რაღაცის თქმას აპირებდნენ, მაგრამ აბაო, მკაცრად გამოსძახა მამამ, ძილისთვის გაემზადეთო და ისინიც ბუზღუნით დამორჩილდნენ. მარტო დედამ ჰკითხა, სპექტაკლი თუ მოგეწონაო, მამას და ბუბიას საერთოდ არაფერი უთქვამთ და თამარიც უხმოდ გავიდა თავის ოთახში. არჩილზე

მალე ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგა.

იმ ჰერამამაც გადაიყვავილა და ახლა ფოთოლგამოტანილი იწონებდა თავს.



ფიქრმა კარგა ხანს არ დააძინა — კიდევ კარგი, იმ-  
დღევანდელზე არაფერი მითხრა... რომ არ დამირეკოს?  
არა, დამირეკავს, მაშინ რაღად მეტყოდა, დაგირეკავო...  
დილითაც არჩილზე ფიქრადილი ადგა და მერეც  
სკოლაში რამდენჯერმე დაიჭირა თავი — გუშინდელ  
საღამოს ისხენებდა დაწვრილებით. თვითონვე უკვირ-  
და. — ეჰ, დონია კისოტ, თქვენს თავს რაღაც ხდება!  
მგონი...

სკოლიდან პირდაპირ შინ წავიდა. მთელი დღე ტელე-  
ფონის ზარს ელოდებოდა, მაგრამ ისე დაღამდა, არ-  
ჩილს არ დაურეკია. — მაინცდამაინც დღეისაზე სომ  
არ უთქვამს, გუშინ არ ვიყავით ერთად, დღეს რაღას  
დამირეკავსო? — იმშვიდებდა თავს და მაინც მთელი  
დღე ადგილს ვერ პოულობდა. არც მეორე დღეს მოუც-  
ვლია ფეხი სახლიდან. წიგნებიდან თავი არ აუღია. ალ-  
ბათ არც დღეს დამირეკავს და საერთოდაც... მერე რა,  
რომ მითხრა? ისე მითხრა, უბრალოდ, მე კიდევ... დიდი  
ამბავი, ერთხელ დამპატიეა თეატრში... ალბათ სულაც  
არ ვახსოვარ, ანდა რატომ უნდა ვახსოვდე? მეც უნდა  
დავივიწყო, და მორჩა...

ხან ვინ დარეკა და ხან ვინ, არჩილი კი არ რეკავდა. —  
რა სულელი ვარ, სომ ვიცი, რომ არ დარეკავს და  
მაინც...

— თამარ, შენ გირეკავენ, სხვათაშორის, ჩვენთვის  
უცნობი ხმაა, — თავი შემოყვეს ძმებმა, — ის ვაჟბატონი  
უნდა იყოს...

ნამდვილად „ის ვაჟბატონი“ იყო.

— თამარ, გუშინ მინდოდა დარეკვა, მაგრამ მომერი-  
და...

— პო-ო?

— მხატვრის სახლში კარგი გამოფენაა და ხომ არ  
წავსულიყავით-მეთქი?

— რა ვიცი... წავიდეთ.

იმ დღიდან მოყოლებული ხშირად ხვდებოდნენ ერთ-  
მანეთს. თუ შეხვედრას ვერ ახერხებდნენ, ტელეფონით  
მაინც საუბრობდნენ. ხან კინოში შევიდოდნენ, ხან კა-  
ფეში ან ბაღში ჩამოსხდებოდნენ, ხანაც უბრალოდ ძველ  
ქალაქში დახეტიალობდნენ. ერთხელაც ლურჯ მონას-  
ტერთან, მომცრო სკვერში ისხდნენ და ქალაქს გადაჰ-  
ყურებდნენ. იქვე ბელურა დაეშვა და მზესუმზირის ნარ-  
ჩენების კენკვას შეუდგა. უტიფარი ჩანდა, სტუნვით მი-  
უახლოვდა და ახლა ლამის ზედ მათ ფეხებთან დაიწყო  
კენკვა.

— შეხედე, ერთი, რა უშიშარია! — გაიღიმა თამარმა.

— ალბათ ძალიან შია და სიფრთხილე გადაავიწყდა.

— ნახე, ნახე, რა სასაცილოდ დახტუნავს... ნეტავ სა-  
ერთოდ თუ იციან ბელურებმა სიარული, თუ სულ ასე  
დახტუნავენ, კი არ დავეკვირებივარ.

— არც მე. მოდი, ამას დავაკვირდეთ.

ბელურამ თითქოს იგრძნო, რომ მასზე ლაპარაკობდ-  
ნენ, კენკვა შეწყვიტა, თავი ოდნავ გვერდზე გადასწია  
და თამარსა და არჩილს მიაჩერდა.

— მგონი, რაღაცის თქმას აპირებს, სომ იცი! გის-  
მენტ, ბატონო, ბრძანეთ!

თამარმა ხმამაღლა გაიცინა, ახლა კი დაფრთხა ბე-  
ლურა და გაფრინდა.

— რომ იცოდე, როგორ გიხდება გაცინება! სულაც  
ასე გაცინებულს დაგხატავ... აი, მაკას პორტრეტს დავამ-  
თავრებ და მერე შენსას დავიწყებ.

— მაკას პორტრეტს?! — გაკვირვება ვერ დაფარა  
თამარმა.

— პო, მართლა, შენთვის მგონი არც კი მითქვამს,  
არა? მაკას ვხატავ. ხომ ვახსოვს, მაშინ თვითონ მთხო-  
ვა... მალე საკურსო ნამუშევრების გამოფენა გვექნება  
და მინდა მოვასწრო, დანარჩენი ნამუშევრები მზადა  
მაქვს.



– როგორ მინდოდა ერთად წავსულიყავით, მაგრამ ხვალ ჩემი ძმა ჯარში მიდის და... სომ იცი? – არა უშავს, ჩვენებიც აპირებენ გამოფენაზე. კახა, ზაზა, ქეთი, და ერთად წავალთ. – ძალიან კარგი, მერე სომ მეტყვი შენს შთაბეჭდილებებზე, ძალიან მაინტერესებს შენი აზრი.

– თრითინ, გაიხმო დიდ დასვენებაზე მაკამ თრითინა, – კანცელარიაში უნდა ჩამეგზავნო, მე არა მცალია, აი, ესა მაქვს მანქანაზე გადასაბეჭდი, ეთერის სთხოვე და დაგიბეჭდავს, სულ ორი სტრიქონია, ოლონდ, იცოდე, არავისთან წამოგცდეს, თორემ!..

თრითინას არც კი დაუხედაია, რა ეწერა მაკას მიერ მიცემულ ფურცელზე. საქმეთა მმართველმა ბეჭედა რომ დაიწყო, მაშინლა ჩახედა: არჩილ ერთელიშვილი. I კურსი. „ქალიშვილი, რომელიც მიყვარს“. ფანქარი. ვერაფერს მიხვდა, ამოვიდა და ორივე ფურცელი მაკას ჩააბარა. იმან კიდევ ერთხელ გააფრთხილა, არაფერი წამოგცდესო და დაუმატა, გამოფენაზე მე და შენ სხვებზე ადრე უნდა მივიდეთ და სხვებზე გვიან უნდა წამოვიდეთო. თრითინამ ვერც ამჯერად გაიგო ვერაფერი, მაგრამ იმდენად იყო შეჩვეული მაკას მორჩილებას, რომ ხმის ამოუღებლად დაუქნია თავი, კარგით. მაკა დრო და დრო, როცა თვითონ მოეგუნებებოდა, ცოტას წამეცადინებდა თრითინას და მერე ცხვირში ადენდა, მბრძანებლური მეურვეობა დაუწესა და ლამის დამოუკიდებლად აზროვნების უნარიც დააკარგვინა. სუსტი ნებისყოფისა და საკუთარი არასრულყოფილების გრძნობით შებოჭილ თრითინას არც კი უცდია თანაკლასეულის სასტიკი მფარველობისაგან დაეღწია თავი და ასე მონუსხულიდა არსებობდა მის გვერდით.

გამოფენაზე ლამის პირველები მივიდნენ. დარბაზში თითო-ოროლა დამთვალეირებული თუ იყო. მაკამ სწრაფად მოძებნა საკუთარი პორტრეტი, თრითინას უბრძანა, მომეფარეო და მარჯვე მოძრაობით პორტრეტის ქვედა კუთხეში მიმაგრებული წარწერა მოაძრო. თრითინა გაოცდა, ხოლო როცა მაკამ სამაგიეროდ ეთერის გადაბეჭდილი წარწერა დაამაგრა, ყველაფერს მიხვდა და გაოცდა. – კი მაგრამ, – დააპირა რალაცის თქმა, მაგრამ მაკამ ერთი ისე გამანადგურებლად შეხედა, რომ უმალ გააჩუბა, მერე ვითომ სასხვათაშორისოდ ისიც დაუმატა, სომ იცი, ინგლისურში გაქვს სამიანი გამოსასწორებელი და დღეს უნდა ვიმეცადინოთო, რითაც საბოლოოდ წაუხდინა შეწინააღმდეგების სურვილი.

ცოტა ხანში სხვებიც მოვიდნენ. არჩილს კეთილსინდისიერი სიზუსტით გამოეყვანა მაკას სახის ყოველი ნაკეთი, გამოხედვაც ზუსტად დაეჭირა. თამარმა წარწერას დახედა – არჩილ ერთელიშვილი. I. კურსი. „ქალიშვილი, რომელიც მიყვარს“. ფანქარი. – გაოცდა. შორი შორეთიდან მაკას ხმა ჩაესმა:

– როგორ მოგწონთ? ნახეთ, რა პორტრეტია! ჩემი საკუთრებაა, დროებით ვათხოვე არჩილს გამოფენისათვის...

ხმა არავის ამოუღია. მერე ყველასათვის მოულოდნელად თრითინამ იღო თავს ნახატის შეფასება.

– კი, კარგი პორტრეტია, ძალიანაც გვაკვს, ოლონდ... – რა ოლონდ?! – დაცინვით მიუბრუნდა მაკა. – შენი სული არ ჩანს... შენი ნამცეცა სული! – ოჰო, კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო. რამე მაინც გაგვეგებოდეს მხატვრობისა! სული?! რომელ სულზე მელაპარაკები, შე მართლა უსულო საგანო?! – მაკა, დაფიქრდი, რას ამბობ! – წამოენთო ქეთი.

თამარს გულმა რეჩხი უყო.  
– არ მინდა, ნუ დამხატავ... არა მგონია, სასიამოვნო იყოს ცხვირწინ ჩამოკიდებული საკუთარი პორტრეტის ყურება... თუ გინდა, სხვა შენი სურათი მაჩუქე.  
– კი ბატონო, რომელიც გინდა.  
– აი, ის, ეული ნავი.  
– იცი, მე თვითონაც ძალიან მიყვარს ეგ სურათი, მაგრამ სიამოვნებით გაჩუქებ, ოლონდ გამოფენის შემდეგ.  
– მოდი, ასე შევთანხმდეთ: რადგანაც ასე მოსასწრებად გქონია საქმე, გამოფენამდე ნულარ შევხვდებით ერთმანეთს, მით უმეტეს, რომ მეც ნაკლები დრო მექნება, რაც არ უნდა იყოს, გამოცდები გვეწყება...  
არჩილი წამით დაფიქრდა და დაეთანხმა.  
თამარმა რალაცა უსიამრვნო გრძნობა გაიყოლა თან. შინ მისული კი ტუქსავდა თავს: – რა მოხდა მერე? რა არის ამაში ისეთი? ვილაც სომ უნდა დაეხატა, მაკა კი ლამაზია და... მაგრამ იმასაც ფიქრობდა, საქმეც ის არის, რომ ლამაზიაო... უკვირდა, რატომ აქამდე ერთხელ მაინც არ მითხრა არჩილმა, მაკას თუ ხატავდაო... რალაც არ ასვენებდა, გულს უღრღნიდა.  
თითქმის ყოველ საღამოს ესმინებოდნენ ტელეფონით ერთმანეთს. არჩილმა გამოფენის გახსნის წინა დღესაც დაურეკა, შეწუხებული იყო.

# პატარა გლობალიზაცია

„მათ ჯერ კიდევ არა აქვთ საარჩევნო ხმის უფლება, მაგრამ უკვე შეუძლიათ სხვების გასართობად მოკვდნენ“. — წერდა მადრიდის ეურნალი „გლობო“ ნორჩ მატადორებზე, რომლებიც გამოდიან არენაზე ხართან შესარკინებლად.

ხუთიოდე წლის წინ ესპანეთში გაჩაღდა პოლემიკა იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთმა სპორტულმა კლუბმა მოაწყო ჩემპიონატი კრივიში 12-14 წლის ბიჭებს შორის. „ბარბაროსობაა ბავშვების მონაწილეობა ისეთ ბრძოლებში, რომლებიც სისასტიკეს ასწავლიან მათ“, — წერდნენ მაშინ ზნეობრივი სიწმინდის დამცველები. და ამავე დროს, ესპანეთში იშვიათად გაიგონებ, რომ ვინმემ გაილაშქროს არენაზე გამართულ შეტაკებებში ბავშვების მონაწილეობის წინააღმდეგ.

ესპანეთის შრომით კანონმდებლობაში წერია, რომ 16 წლამდე აკრძალულია ნებისმიერი შრომითი საქმიანობა, ხოლო იმ შემთხვევაში, „როცა ღამის სამუშაოა, ან ისეთი სამუშაო, რომელსაც ზიანი მოაქვს მოზარდის განმრთელობისათვის და

სახიფათოა“. აკრძალვა 18 წლის ასაკამდე გრძელდება.

ცხადია, ქვეყნის ეკონომიკის არც ერთ სფეროში. სულ მცირე გამოწვევის გარდა. არ იცავენ ამ კანონს. მაგრამ კორიდის ორგანიზატორები, დიდი მოგებების მიღებით დაინტერესებულნი (ბავშვთა კორიდა კი ყოველთვის დიდძალ მაყურებელს იზიდავს) საერთოდ უგულებელყოფენ ამ კანონს და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ამის გამო ისინი სამართალში მიეცეთ. 16 წლის ტორეროს გამოჩენა არენაზე „სავსებით კანონიერად“ ითვლება, თითქოს მისი „შრომა“ საშიში არ იყოს.

ხოსელიტოს, პოპულარულ მატადორს, 18 წელი არც კი შესრულებოდა, როცა 697 კილოგრამი წონის ხარმა მადრიდის არენაზე რქებით გაუგლიჯა კისერი. ყმაწვილი სასწაულით გადაარჩა. არავის მოსვლია აზრად, ხმა აემალღებინა კანონის დარღვევის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ფორმალურად ეს დარღვევაც არ ყოფილა: ხოსელიტოს, ბევრი სხვა ნორჩი ტორეროს მსგავსად, ყალბი დაბადების მოწმობა აქვს. ეს ყველამ კარგად იცის, მაგრამ ყველანი დუმან.

ხოსელიტო მადრიდის ტაურომახიის (კორიდის ხელოვნების) სკოლაში 10 წლისა შევიდა. ამ სკოლას მიეღებინა ბიჭუნები, რომლებიც



არენაზე სახელის მოხვეჭასა და მილიონებზე ოცნებობენ. მიგელიტო (იგი ახლა 12 წლისაა) ამ სკოლაში 7 წლისა მოვიდა. იგი სიამაყით გიჟვინებთ თავის პირველ „ჩილოს“ — ნაჭრილობებს — შუბლზე. მოზგრის რქისგან რომ დარჩა, და აღტაცებული ყვება იმ გამარჯვებებზე, რომლებიც 30 მოზგერთან ბრძოლაში მოუპოვებია. მოზგერი მხოლოდ იმ ადამიანს შეიძლება არ მოეჩვენოს სახიფათოდ, რომელიც საქმეში ჩაუხედავია, მაგრამ როცა საქონელი 200-300 კილოგრამს იწონის, მას შეუძლია სასიკვდილოდ დაჭრას ადამიანი.

ეს ბიჭები სწავლობენ, მაგრამ ზოგი მათი თანატოლი უკვე გამოდის არენაზე, როგორც პროფესიონალი. მაგალითად, სანტიაგო გონსალესმა (იგი ახლა 14 წლისაა) არენაზე უკვე მოიპოვა მოზგრის 7 ყური — მატადორის სანუკვარი ნადავლი.

სანტიაგო ოჯახის მთავარი მარჩენალია. კორიდის დღეებში დედამისი

დასასრული იხ. მე-19 გვ.

— სწორედაც დავფიქრდი და იმიტომ ვამბობ... მე ხომ ვხედავ, რომ ყველანი შურიტა სკდებით.. რა ჩემი ბრალია, თუ ზოგიერთი დიდსულოვნის მაგივრად,—მაკამ ეს სიტყვა ხაზგასმული ირონიით წარმოსთქვა, და თამარს გადახედა,—რატომღაც არჩილს... არჩილმა მე ამირჩია... დასახატად! — გამოსცრა და მეორე დარბაზისკენ წავიდა. ო, როგორ ჰგავდა იმ წუთს მაკა თავის პორტრეტს! თამარმა კიდევ ერთხელ შეხედა ნახატს, მერე წარწერასაც დახედა. მაშ ასე... დამთავრდა, დონია კიხობი, თქვენი სიყვარულის ამბავი... დაბრძანდით ახლა და აფრქვიეთ პარალელოგრამებსა და განტოლებებზე მარგალიტის ცრემლები... მომდგარმა ცრემლებმა თვალები დაუბინდეს და როცა მორიგი ნამუშევრისკენ გადაინაცვლა, კარგა ხანს ვერაფერი გაარჩია. მერე კი მიხვდა, რომ ის სვედიანი პეიზაჟი იყო. ტბის გარინდებულ ზედაპირზე უული ნავი ჩანდა. გაღმა კლდეებს თრიმლი მოსდებოდა წითლად, შორს პატარა ქონი მიყუყუდიყო. საოცრად მოუნდა იმ ნაჟი წოლილიყო და ეტირა...

— თრითინ, არ ვიცი, იქნებ შენ მართლაც ნაკლებად ერკვეოდე მხატვრობაში, „სულლოლოგი“ კი ნამდვილად

მაგარი ყოფილხარ, —ჩაულაპარაკა კახამ ამხანაგს და კერამიკოსთა ნამუშევრების თვალჩერებას შეუდგა.

— რა იყო, გენაცვალე, რა მოგივიდა?! — შეიცხადა ბუბიამ თამარის დანახვაზე. — თვალები რა ჩამქრალი გაქვს?

— არაფერი, ბუბო, რა უნდა მომსვლოდ? ცოტა თავი მტკივა და ალბათ იმის ბრალია, — იცრუა თამარმა.

დასასრული შემდეგ ნომერში



# კაკაფანი

მე მაშინ მერვე კლასის მოსწავლე ვიყავი, 1933-34 წლების ამბავია. იმ ხანად ჩვენს ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ თანამშრომლები. ამის მიზეზი ის იყო, რომ მაშინ ამ გაზეთის რედაქტორი გახლდათ ჩემი სიძე — ჩემი უფროსი დის მეუღლე, ვლადიმერ დევაძე. გაიშლებოდა სახელდახელო უბრალო სუფრა და მის გარშემო გვიანობამდე იყო თანამშრომელთა სჯა-ბაასი, რა თქმა უნდა, გაზეთზე, უახლოესი ნომრის მასალებზე, ახალ რუბრიკაზე, რომელიდაც კრიტიკულ წერილზე, რომელიც მზადდებოდა და, მათი აზრით, დიდი რეზონანსი უნდა გამოეწვია.

ერთხელ გაზეთმა დისკუსია წამოიწყო ახალგაზრდა ქალის როლზე ოჯახსა და საზოგადოებაში. არ ვიცი, ნამდვილი იყო თუ გამოგონილი

ქალი. აკრიტიკებდა თვით ეთერ მწარიაშვილს. მისი აზრით, იგი თვითონ იყო დამნაშავე, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოსცილდა. დაკარგა მისდამი ინტერესი, აღარ იზრდებოდა როგორც მოქალაქე და როგორც პიროვნება.

ამ წერილმაც გარკვეული კამათი გამოიწვია ჩვენს ოჯახში შეკრებილ რედაქციის თანამშრომლებს შორის. ერთ-ერთ ასეთ შინაურ დისკუსიას ერთი ჩვენი ახლობელი ქალი ესწრებოდა და იკითხა, ვინ არის ამ წერილის ავტორიო. უთხრეს, ახალგაზრდა ჟურნალისტი მარგო თომაძეო. მერე ის იკითხა, გათხოვილია თუ არაო. არაო, უპასუხეს. ჰოდა, მაგ თქვენს მარგოს ჩემი სიტყვები გადაეცით, როცა გათხოვდები და კისერზე ქმარ-შვილი ჩამოგეკიდება, მაშინ ასე აღარ იჭიკჭიკებ-თქო.

არა, ჩვენი ახლობელი ქალის პროგნოზი არ გამართლდა. ქალბატონი მარგო გათხოვდა, თავისი ცხოვრების მანძილზე დაღბნიებაც ბევრი ნახა, გაჭირვებაც, მწუხარე-



მარგო თომაძე

ბავშვები იყვნენ მუდამ მისი საფიქრალი და საზრუნავი. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მუშაობდა მთიელთა საბავშვო სახლში, ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ წრეს, მუშაობდა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორად, ისევე „ნორჩ ლენინელში“ უკვე რედაქტორად. იქიდან კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გადაიყვანეს პიონერთა და მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ. ომის წლებში თბილისის პიონერთა სასახლის დირექტორი იყო, ბოლოს, პენსიაზე გასვლამდე, ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორის მოადგილე.

მარგო თომაძეზე, როგორც მწერალზე, არაფერი მითქვამს, ბოლოსთვის შემოვიტოვე, რადგან თვითონ იგი თავის თავს უპირველესად ჟურნალისტად თვლის, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრია. მწერლობა მას პროფესიად არასოდეს გაუხდია. თუმცა მშვენიერი საბავშვო მოთხრობების ავტორია. იგი წერს მაშინ, როცა ეწერება, როცა ბავშვებთან ურთიერთობის შედეგად რაიმე სიუჟეტი მოეძალდება. ამიტომაც არის მისი მოთხრობები უშუალო, მართალი, ამიტომ შეიყვარეს

## ჩემი პიკუული ჩუქაქსოვი

ეთერ მწარიაშვილი, ახალგაზრდა ქალი, რომელიც გათხოვების შემდეგ საყვარელ საქმეს, საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოსცილდა, და მისი ინტერესები შემოიფარგლა მხოლოდ ოჯახით — სამზარეულო, შვილები, მეუღლე... დისკუსიამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მეც სიამოვნებით ვკითხულობდი გაზეთში დაბეჭდილ მასალებს. ალბათ იმიტომ, რომ ეს დისკუსია ჩემს თვალწინ დაიბადა და მაინტერესებდა. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორები ძირითადად აკრიტიკებდნენ მწარიაშვილის მეუღლეს, აბრალდებდნენ მას ეგოისტობას, მეუღლის უპატივცემულობას, საერთოდ ქალისადმი არაკომუნისტურ დამოკიდებულებას, ბრალს სდებდნენ იმ კოლექტივსაც, სადაც ახალგაზრდა ქალი მუშაობდა ადრე. ასეთი მასალების გვერდით უცებ გაზეთში გაჩნდა სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრება. წერილის ავტორი, თანაც

ბაც. იყო დრო, საყვარელ სამუშაოს ჩამოსცილდა, სამ შვილს ზრდიდა, მაგრამ არასოდეს უღალატნია თავისი მრწამსისათვის, რომელიც ქალიშვილობისას ჩამოაყალიბა მწარიაშვილზე დაწერილ წერილში.

მარგო თომაძე — მოწოდებით ჟურნალისტი, განათლებით ფილოლოგი, არასოდეს ჩამოშორებია საზოგადოებრივ ცხოვრებას, არც მაშინ, როდესაც პასუხსაგები პოსტები ეკავა, არც მაშინ, დროებით შინ რომ იჯდა და მთელ თავის ცოდნასა და ენერჯიას შვილების აღზრდას ახმარდა, არც ახლა, პენსიაზე რომ არის. მუდამ საქმის კურსშია, მუდამ იცის, რა ახალი ნაწარმოები შეემატა ჩვენს ლიტერატურას, რომელი ახალი „ვარსკვლავი“ გამოჩნდა თბილისის ოპერის სცენაზე, რით სულდგმულობს ჟურნალი „პიონერი“, გაზეთი „ნორჩი ლენინელი“, პიონერთა სასახლე, რა ახალი წიგნი მიაწოდა ნორჩ მკითხველებს „ნაკადულმა“...



# მივსათუთოთ სიყვარულს

ისინი ნორჩმა მკითხველებმა. რომელი ერთი დავასახელო — „ბეჯითი ნაწული“, „ვარსკვლავების მხატვარი“, „ოქროს ბურბუშელა“, „სანდრიკო“, „აბრეშუმა“... მრავალი წიგნის ავტორია ქალბატონი მარგო, ერთი მათგანი გამორჩეულად უნდა დავასახელო, ეს არის მშვენიერი წიგნი „წყაროსთან თეთრი ქვები“. ბუნების დიდმა სიყვარულმა დააწერინა მწერალს ეს წიგნი. იგი მოგვითხრობს საქართველოში მიმობნეულ წყაროებზე, მათთან დაკავშირებულ ნამდვილ თუ ლეგენდად ქცეულ ამბებს. მ. თომასეს ფეხით აქვს შემოვლილი ის ადგილები, სადაც ეს წყაროები მოჩუხჩუხებენ, შეხვედრია იქაურ ადამიანებს, ჩაუწერია თაობიდან თაობისთვის გადმოცემული ნამდვილი ამბავი თუ თქმულება.

მე ბედმა გამილიმა, რომ ჩემი შრომითი საქმიანობის დასაწყისი, ჩემი პირველი ჟურნალისტური ნაბიჯები ამ დიდებული ქალბატონის სახელთან არის დაკავშირებული... „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორმა მარგო თომასემ მიმიყვანა ახალსკოლადამთავრებული, როგორც იტყვიან, პირტიტველი ბიჭი, რედაქციაში სამუშაოდ. ჩვენ ერთ წელიწადსაც არ გვიმუშავებია ერთად. — კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გადაიყვანეს, მაგრამ რედაქტორმა მოასწრო ჩემი დაწინაურება განყოფილების გამგედ. არ ვიცი, რა მოტივით, მე ხომ სრულიად გამოუცდელი ვიყავი. რისკი გასწია? შეიძლება, მაგრამ მიხარია, რომ არ ვუმტყუნე და დღეს იმ გაზეთს ვრედაქტორობ, რომელშიც ქალბატონმა მარგომ თავის დროზე დიდი შრომა და სიყვარული ჩააქსოვა.

რას ვუსურვებდი ჩემს პირველ რედაქტორს? რა თქმა უნდა, ჯანმრთელობას, და კიდევ, არასოდეს მოჰკლებოდეს ის ხალისი, ცხოვრებისადმი ის აქტიური დამოკიდებულება, რომელიც მისი მუდმივი თანამგზავრი იყო და ახლაც ასე ამშვენებს მის პიროვნებას.

**ჰანო ცარცვაძე,**  
გაზეთ „ნორჩი ლენინელის“  
რედაქტორი

ლიახ, ამჯერად ჩვენ ვისაუბრებთ სიყვარულზე.

ამ ცოტა ხნის წინათ მკითხველები გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ მეშვეობით გაეცნენ ჩემს ახალ ვრცელ მოთხრობას — „ჭიდილს“. მოთხრობის მთავარი გმირები მერვეკლასელები არიან. შეუძლებლად მივიჩნე, ყურადღება არ მიმექცია ნაწარმოების პერსონაჟთა ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი გრძნობის გადვიძებისათვის, როგორც სიყვარულია.

სიყვარულს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში, ოჯახის შექმნასა და, ბოლოს, კაცობრიობის მოდგმის უკვდავებაში. დედამიწაზე სიცოცხლის არსებობა ხომ სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალის მდინარებაა!

სიყვარული აკეთილშობილებს ადამიანს. შურის, ღვარძლის, ზიზღის დამთრგუნველი ეს გრძნობა მრავალსახოვანია იმდენად, რამდენადაც სხვადასხვაგვაროვანია ადამიანების დამოკიდებულება საგნებთან, მოვლენებთან თუ ცოცხალ სამყაროსთან... მაგალითად, დედამიწაზე სიყვარული განსხვავდება ბუნების სიყვარულისაგან, ბუნების სიყვარული — ქალ-ვაჟის სიყვარულისაგან, ცოლქმრული სიყვარული — დამპყრუი სიყვარულისაგან და ასე შემდეგ.

სიყვარული მრავალწახანაგოვანია და ალბათ ამაშია მისი უბადლო მშვენიერებაც, განუმეორებელი ფერები და დამატარობელი სურნელებაც.

სიყვარული ყოვლისშემძლეა, მაგრამ, ამავე დროს, ძალზე სათუთიც. სიყვარული ადამიანს შეუძლებელს შეაძლებინებს, ათას დაბრკოლებასა და ზღუდეს გადააღახვიანებს, ათას გასაჭირს მოათმენინებს; სიყვარული ის დედაბოძია, რომელიც ჩვენი სუ-

ლის მაღალ ჰერს უფრო მაღლა სწევს და ამაგრებს. სულში ზნეობას ვგულისხმობ, ზნეობა კი ისეთი რამ არის, რაც აყალიბებს და სრულქმნის ქვეყნისა და საზოგადოების ღირსეულ მოქალაქეს.

მოგახსენებდით ჩემს მოთხრობაზე „ჭიდილი“. სიყვარულს გვერდი ვერ ავუარე. ან რანაირად ავუვლიდი, როცა ადრეულ ასაკში იღვიძებს იგი, იფურჩქნება, პირველ გამაბრუებელ სურნელს გამოსცემს, აპყოლია ადამიანის ფიზიკურ მწიფობას. ღიახ, ეს პირველი ნიშნები მაქვს ამ მოთხრობაში, რამაც პერსონაჟთა თანატოლი მკითხველები დააინტერესა და იმ მრავალრიცხოვან წერილებში, რომლებსაც მიგზავნიან, სწორედ სიყვარულზე ამახვილებენ ყურადღებას, მთხოვენ მოთხრობის გაგრძელებას, რომ უფრო ფართოდ ვუჩვენო ქალ-ვაჟის ურთიერთდამოკიდებულება...

და აი, მსგავსი წერილები ჟურნალ „პიონერის“ სარედაქციო ფოსტაშიც აღმოჩნდა. ერთმა წერილმა კი განსაკუთრებით მიიქცია ჩვენი ყურადღება. მეშვიდეკლასელი გოგონა გვწერს. ვინაობას არ ამჟღავნებს. არა, ეს იმ კატეგორიის წერილებს არ განეკუთვნება, „ანონიმებს“ რომ უწოდებენ, გოგონა თავის მოზღვავებულ გრძნობას პირადად ვერ „მორევიან“ და გულის წუხილს ჩვენ გვანდობს, რჩევას გვთხოვს... მართო ის როდია ასეთ ყოფაში. ბევრ მის თანატოლს განუცდია სიყვარულის მოზღვავება და ამ გრძნობის მოძალებასთან ერთად ბევრი ისეთი რამ, რაც გულს უკლავს მათ, უმეტესად — მასწავლებლების, მშობლების, ახლობლების დაუფიქრებელი, უხეში დამოკიდებულება მათი გრძნობებისადმი... ეს კი მეტად საყურადღებო საკითხია, რასაც დაკ-



ვირვებული, გონივრული განსჯა სკირდება და არა ხელალებით შეტევა და დათრგუნვა. არავის ეპატიება ნორჩის გულში სიყვარულის გრძნობის ამთავითვე ჩაკვლა. გაფურჩქვნისთანავე დატკნობა ყვავილისა, რომელსაც დიდი ხნის სიცოცხლე უწერია და მისი ხელყოფა ცოდვად ითვლება!

სიყვარული აგვამალლებსო, უთქვამს დიდ რუსთაველს და ჩვენც უნდა ავმალდეთ, მოვესათუთოთ ნორჩთა გულელებში დაბადებულ ამ გრძნობას. ან რა უფლება გვაქვს, ბუნებით ბოძებულ გრძნობას წინ გადავუდგეთ, უხეშად ჩავახშოთ! პირიქით, მოფერება, ტკბილი სიტყვა და მოსათუთება — აი, რა გვმართებს იმათ, ვისაც ყმაწვილის გულში ჩახედვა და მოზარდთა სწორი გზით წარმართვა გვევალება.

ახალა მოვეუსმინოთ გოგონას, მისი სახით კი მრავალ გოგონას:

„ძვირფასო რედაქცია!

როდესაც ყურნალ „პიონერში“ ახალი და მეტად საინტერესო რუბრიკა „მწერლის ფოსტა“ ვიხილე, ძალიან გამიხარდა. გამიხარდა იმიტომ, რომ საშუალება მომეცა, ჩემი წუხილი და გულისნადები გაგანდოთ.

სკოლაში ხშირად გვესმის ხოლმე მასწავლებლებისაგან: „რა დროს თქვენი სიყვარულია?“ ან „დაიწყეს სიყვარულობანას თამაში და აღარ სწავლობენ!“ რომელი ერთი ჩამოვთვალო! ეს — სკოლაში. ახლა შინ? არ იკითხავთ, შინ რას გვეუბნებიან? უარესებს! მოგეხსენებათ, 13-14 წლის ასაკში პირველი სიყვარული გვეწვევა... იგი ჩვენში მრავალ ემოციასა და განცდას იწვევს. დაგვეუფლა წმინდა გრძნობები. გვესურს გავღვივოთ ჩვენი სიყვარული, მაგრამ სად? სკოლაში? შინ თუ გარეთ? არსად არ გვეძლევა ამისი საშუალება. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ჩვენზე.

რატომ ჰგონიათ ან მასწავლებლებს, ან მშობლებს, რომ სიყვარული სწავლაში ხელს გვიშლის? მეორეც, განა ჩვენ ცუდ რამეს ჩავიდინეთ? სრულებითაც არა! პირადად მე სიყვარული სწავლაში ხელს არ

მიშლის. პირიქით. მეხმარება დაბრკოლებათა დაძლევაში.

ჯერ კიდევ მეოთხე კლასში შემიყვარდა ერთი ვაჟი. წარმოიდგინეთ. უიმისოდ სიცოცხლეს არ შემიძლია. ის რომ დაიღუპოს, მე თავს მოვიკლავ. ისიც ასევეა ჩემს მიმართ. მაგრამ არ გეგონოთ, რომ მე ამით ბედნიერი ვარ. აბა, როგორ ვიქნები. როცა საშუალება არა მაქვს ხშირად შევხვდეთ და დაველაპარაკოთ ერთმანეთს! არავინ აღარ მინდა, არც მშობლები, არც ნათესაეები და არც ამხანაგები. საკუთარი თავიც კი მეზიზღება, უსმელ-უტყმელი ვარ და სიკვდილს ველოდები, სიკვდილს, რომელიც ჩემი ხსნა იქნება.

როგორ მოვიქცე, რა გავაკეთო, რომ სიყვარულის წერა არ გავხდე?“

ამ წერილს ხელს აწერს „გოგონა, მეშვიდეკლასელი“.

მისამართსაც არ გვატყობინებს, „რადგან არ მინდა ჩემი შეყვარებულის ჩემისთანა დღეში ჩავადლო“. დაბეჯითებით კი გვთხოვს, წერილი გამომიქვეყნეთო და წინასწარ მადლობასაც გვიხდის.

წერილს ვაქვეყნებთ. მაგრამ რჩევასაც რომ გვთხოვს, ეს სამსახურიც ხომ უნდა გავუწიოთ? საქმე იქამდე მისულა — არც მშობლები მინდა, არც ნათესაეები და არც ამხანაგები. შევებას სიკვდილში ხედავს. მერე და ვინ? არა ვინმე ცხოვრებით გატანჯული და ხანდაზმული ადამიანი, არამედ 13-14 წლის გოგონა, რომელსაც სიყვარული ეს-ეს არის შემოეგება და უცებ დააბნია, ფიქრი აურიო, აამღვრია და სიმშვიდე დაუტრღვია. იცის ასეთი რამ სიყვარულმა! ამ დროს შეყვარებულს მახლობელ ადამიანთა ყველა სიტყვა გადაბრუნებულად ეჩვენება, შფოთავს, თავისი გრძნობის იმედიც კი აღარა აქვს, ასე ჰგონია, რომ ყველაფერი გათავდა, ყველაფერს წერტილი დაესვა და მალე რომეო და ჯულიეტას სისხლიანი ტრაგედიის მსგავსი უბედურება დატრიალდება, შეყვარებულები დანას დაიციმენ გულში, ანდა თავს მოიწამლავენ...

არაფერი ამდაგვარი საგანგაშო ამბავი არ ხდება. ჩემი წერილის თავში მოგახსენეთ, რომ სიყვარულს

მოვლა უნდა. იგი ამჯერად გაუჩინდა ნავ კვიცსა ჰგავს — შეგვიჩვენე ხელს... სიყვარულსა მანუა ზედა ხალხს უთქვამს და ამაში ალბათ არის კიდევ ბრძნული ჭეშმარიტება.

ცხოვრება ჯერ წინ არის თავისი მძინვარებებითა და დაბრკოლებებით. ბევრი ავ სიტყვას გაგაგონებს, ბევრი ღვარძლიანი შხამსაც ჩაგაწვეთებს, შეიძლება შენი სულ პატარა წარმატებაც შეშურდეს ვინმეს, ბევრი რამ დაგიშალონ, უსამართლოდაც გაგაკიცხონ. მაგრამ იქ, სადაც წმინდა სიყვარულია, თავდაქერილობა, მოთმენაც გმართებთ. ვამბობ, სიყვარული წმინდა და უმშვენიერესი გრძნობაა-მეთქი, მაგრამ როგორც ზღაპარშია ნათქვამი — ეშმაკს არ სძინავს! სიყვარულს ბევრი მტერიც ჰყავს... მას გამოცდა უნდა, დიან, გამოცდა! სულსწრაფობასა და სასოწარკვეთას ნუ მივეცემით. ამას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ასაჩქარებელი არაფერი გპირს, ყველაფერს თავისი დრო აქვს და ნუ გეშინია, ჩემო უცნობო მეგობარო გოგონა! შეგახსენებ ჩვენი სასიქადულლო პოეტის, სიყვარულის დიდი მომღერლის იოსებ გრიშაშვილის სიტყვებს: „ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს, სულზე უტკბესო!“ და რადგან ნამდვილი სიყვარულია შენს გულში, იგი გამძლე იქნება და მან ბევრი რამ უნდა შეგაძლებინოს. რა დროს სიკვდილზე ფიქრია, როცა წინ ცხოვრების მშვენიერი გზა გელოდება! ვაყსაც ჰყვარებიხარ, ისიც შენსკენ ისწრაფვის, ამას რა სჯობია! ოღონდ მოითმინეთ და ნახავთ, რომ სულ მალე, თვალის დახამხამებაში გაირბენს რამდენიმე წელი და თქვენ სამუდამოდ ერთად იქნებით, შექმნით ბედნიერ ოჯახს, სიყვარულიც ხომ ამის საწინდარია! გეყოლებათ შვილები... და როცა, წლების შემდეგ, „პიონერის“ ამ ნომერს მალულად გადაშლი და ერთხელ კიდევ წაიკითხავ შენი წერილის სტრიქონებს, გაგვიღიება და იტყვი, რა სულელი ვიყავი, თავს რაზე ვიკლავდიო!

ასე იქნება!

თენგიზ გოგოლაძე

# ლიდა სტვილია ~ 50



ქართველი მოზარდების საყვარელ პოეტს ლიდა სტვილიას დაბადების 50 წელი შეუსრულდა.

ლიდა სტვილიას საყმაწვილო ლექსები გამთბარია საქართველოს მთა-ბარის ქეშმარიტი სიყვარულით, ისინი ნორჩ მკითხველს ასწავლიან ცოდნისა და შრომის უადრს, მის სულში აღვივებენ კაცთმოყვარეობას, სიმართლისა და სიკეთისათვის ბრძოლის სანუკვარ თვისებებს. საბავშვო ლექსების კონები „ჭარლალადა“, „დევთა ნადარბაზევი“, „ძილისგუდას, ქამისგუდას და ზღაპრის გუდას ამბავი“, „ვაზი აღარ ზიანდება“, „ღრუბლის სურათები“ და სხვები პატარების სასურველი წიგნებია. პოეტი ქალის ლექსები თარგმნილია მოძმე ხალხთა ენებზე, ზოგ მათგანზე შექმნილია მუსიკა.

უფრონალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავენ იუბილარ პოეტს თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

უფრონალ „პიონერის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია.

## ვარსკვლავები სწრაფობენ

სულ ვარსკვლავები სტრიქონებად.  
სულ მზის სხივები სტრიქონებად.  
აბრეშუმით სტრიქონები  
მზის სხივთა წნელით იკონება,  
მთვარის შუქიანი სტრიქონები  
უძილო ღამეებით იქსოვება...  
ელვად მოქნული სტრიქონები  
ვეფხვის ტორით არ იტორება.  
ცეცხლისფრთიანი სტრიქონების –  
მხოლოდ ტოროლებთან მიტოლება.  
დედის  
შვილის და შვილიშვილთა –  
არც ერთი წუთით მიტოვება!

## ვაზო, წიწილი კმაყოფილი!

ბალახი გამოძოვა, –  
ლერწებს პირი აარიდა ხარმა...  
წუხელ ამ ლერწებს  
წამოუშინა და...  
ფოთლები დააგლიჯა ქარმა.  
– ვაზზე ნავარდი,  
ქარო, შეგერგოს არმად!  
უფოთლო,  
ტანშემოძარცვულ ვაზს

ცრემლი ჩამოსდის ღვარად.  
მზე ეფერება,  
ცვარი ეფერება,  
კაცი ამშვიდება წყნარად:  
– კვლავ შეიმოსები,  
კვლავ კარგად მოგივლი,  
ვაზო, ტირილი კმარა!



## ცეცხლი

მზეს გულში უნთია ცეცხლი!  
მთვარესაც,  
ვარსკვლავსაც – გულში...  
ზოგი ცეცხლს ნაცარში  
ახვევს და ინახავს,  
ზოგი ცეცხლს ბუდეს უშლის...

მთელ ქვეყანასაც გადასწავს  
ცეცხლი – ოდენი ბეწვის.  
შინმოუსვლელებს აუწითოთ  
მარადიული ცეცხლი!..  
ცეცხლით იწითობა ფოლადი,  
ცეცხლით ხურდება კაცი,  
ზოგი „ცეცხლკვარას“ უზის,  
ცეცხლს შორს გაურბის მხეცი!  
ღამით ღამაზად მისერავს  
ცას ბენგალური ცეცხლი!  
ზოგი ცეცხლს აკვესებს, აკვესებს...  
ზოგს თავზე უნთია ცეცხლი;  
ზოგი ორ ცეცხლში იწვის, რომ  
იშოვოს ოქრო, ვერცხლი...  
ზოგი ზის ცეცხლის გემში,  
ზოგი თამაშობს ცეცხლთან,  
ზოგს ცეცხლად შეერგო ხვეჭა  
და თავის მამულთან შერცხვა!  
ზოგი ცეცხლს ხელით იღებს,  
ზოგიც ცეცხლის კაბებს იცმევს,  
ზოგი ცეცხლს სულსაც მისცემს...  
ზოგს სულ არა აქვს ცეცხლი და...  
მიფიცებია სხვის ცეცხლს!  
...თვალეშიც, გულშიც, სულშიც  
მინთია სიცოცხლის ცეცხლი...  
რაც ცეცხლით არის ნაწრთობი,  
მას ვერაფერი ვერ ცვლის!



დანანებით თქვა ხორციანად ნიკო შემობრუნდა. მის წვერგაბურღნილი, თვალბამღვრული კაცი იდგა.

— დედალია? — ჰკითხა ნიკომ.

— კი, ზღაპრული მზეთუნახავი გახლავს. აი, ის კი მისი ბრწყინვალეობა ფაშაა. ხედავ, როგორი ალისფერი დოღბანდი ახურავს თავზე! მაგაში მე, სხვათა შორის, ოცდაათს მაძლევდნენ და არ მივეცი. წარმოგიდგენია, ორი დღე დუმს, მერე კი უცბად, უმიზეზოდ ისეთ სიმღერას ამოუშვებს, შეირყევი... საერთოდ კი, ყველაზე კარგია, როცა მეწყვილე მოფრინდება. ოდნავ შეეხება ჩამჭერს (მან დასავლეთ კარის ლატანზე მიუთითა), ჰოპ! — და მზად პრის! — დაასრულა მონა-

# სიმღერების მაყიდველი



**ბორის ქოჩრაშვილი**  
მხატვარი  
აილიზ ფოცხიშვილი

ჩემი ბავშვობის მეგობარი ნიკო მომღერალი ფრინველების დიდი მოყვარული და მცოდნეა, მაგრამ თუ რომელიმე თქვენგანი ძია ნიკოს სტუმრად ეწვევით, ამაოდ დაუწყებთ ძებნას ჩიტებიან რკინის გალიებს: იქ მათი ხსენებაც კი არ არის.

თავისუფალ დღეს, ინათებს თუ არა, იგი ახლომახლო მთებს მიაშურებს და, სადმე ხეჭრელის ან ასკილის ბარდებში განაბული, სიამოვნებით უსმენს ჩიტების წკრიალა სიმღერებს. ნიკო კარგად იცნობს მათ საყვარელ ადგილებსა და საინტერესო ჩვევებს.


ჩიტბატონებს, მაგალითად, წუთითაც არ შეუძლიათ სიცოცხლე ნარშავის ბარდების გარეშე. გაზაფხულობით, ყვავილობის დროს, ნარშავის ბუჩქი ტბილ ბადაგზე მონადირე ურიცხვ მწერს იზიდავს და ჩიტბატონები სიამოვნებით იტკბარუნებენ პირს ამ მწერებით. როდესაც ნარშავი გადაიყვავილებს, დედალი ჩიტბატონა მის ბუჩქზე აგროვებს რბილ ბურტყულს, რითაც თავის მომავალ ბარტყებს ბუდე უნდა ამოუფინოს. ამ დროს კი მისი ქარაფშუტა მეუღლე — მამალი ჩიტბატონა — სადმე ბუდის მახლობლად ზის და რომანსებით ართობს თავის სატრფოს. ბოლოს და ბოლოს მშენებლობა სრულდება და ბუდის ფაფუკ ძირზე ჩნდება ოთხი ან ხუთი ცისფერი კვერცხი, მოფენილი იასამნისფერი წინწყლებით. ნახევარი თვის განმავლობაში დედა თითქმის განუწყვეტლივ აზის

მათ. რის გამოც ხშირად მწიერმწყურვალიც კი რჩება. და მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანას ხუთი თავშესაქცევი ფუმფულა ბარტყი მოველინება, მამა, ბოლოს და ბოლოს, სინდისის ქენჯნას იგრძნობს, რომანსებს თავს ანებებს და მეგობართან ერთად იწყებს პატარების კვებას ნარშავის ბუჩქზე დაჭერილი მწერებითა და მატლებით. მოგვიანებით მამა ჩიტბატონა თავის ნახევრად დაფრთიანებულ ბარტყებს ისევ იმ გულუხვი ნარშავის, წრუწუნას თვალბევივით მბრწყინავი, შავი თესლით კვებავს...

ახლა კიდევ ერთ საინტერესო ჩიტზე მოგიყვებით.

იანვრის ერთ სისხამ დილას ნიკო სახლიდან გამოვიდა, სწრაფად გაიარა საცხოვრებელი სახლების რიგი (ქალაქის განაპირას ცხოვრობს) და გაუყვა ხევში გამავალ ბილიკს. ხევგაღმა იწყებოდა დაუსახლებელი ველი, ბოსტნებით მოფენილი, რომელიც თრთვილის მქრქალი ყინულოვანი მტვრით შებუსუსულიყო. ნიკო წუთით შეჩერდა და აღმოსავლეთს გახედა. შორს, ჩამუქებული კლდოვანი ქედის თავზე, ვარდისფრად ინთებოდა ზამთრის ალიონი მოულოდნელად ნიკოს მახვილმა სმენამ მინის ზანზალაკის ნაზი, სევდაშერეული წკარუნი დაიჭირა. „მთიულა!“ — იცნო ნიკომ. „კი მაგრამ, რატომაა ასე ნაღვლიანი?“... იგი ხმას მიჰყვა და მალე დაინახა ალვის ხის ტოტზე დაკიდებული გალია-ხაფანგი. გალიაში აქეთ-იქით, კედლიდან კედელს მოუსვენრად აწყდებოდა პატარა ნაცრისფერო, ცეცხლისფერქუდიანი ჩიტუნა. ადამიანის გამოჩენამ იგი კიდევ უფრო დააფრთხო. ცოტა მოშორებით იყვიდა მეორე მახე. შიგ ლამაზი ლიმონისფერმკერდიანი ჩიტი განაბულიყო. ეს იყო გრატა.

— ი-ი! რას დამიფრთხე! აქ ხომ მთიულათა მთელი გუნდი იყო! —




დირემ და რალაცნაირად ავად გაიცინა. მაგრამ უცებ სახე მოედრიცა და ხველა აუვარდა. — მკლავს ეს ეშმაკის მოგონილი, — ჩაილაპარაკა და ბრაზით მოისროლა ბოლომდე მოუწყველი სიგარეტი. — იმას ვამბობდი, შეყვარებული წყვილი ყველაზე კაი საქმეა. საქმარისია მხოლოდ ისა, რა ქვია, ერთი დაიჭირო და მეორეც უკვე ნაღვალად შენია! ველარსად წაგივა, მორჩა!

— ნეტა მაგათაც გაუშვებდე...

# მომავალი თაობისადმი

მომხრიალე ტყე ხარ ნორჩი —  
 გასაზრდელი მუხად, ძელქვად,  
 ღირს იყავი — დავით მეფის  
 შვილი, შვილიშვილი გერქვას;  
 გრძნობდე დროის ფრენა-ქროლას,  
 იმის მდულარ გულის ფეთქვას  
 და სიმართლევ პირუთვნულად  
 ქვეყნის სასიკეთოდ გეთქვას.  
 ამას ვამბობ არა ჩუმად,  
 სუყველასთან რომ არ ითქმის,  
 ანდა ძველის საქებრად და  
 მკერდზე მუშტის ბრაგუნისთვის.  
 არც მტვრიანი ლოზუნგების  
 ძველებურად ფრიალისთვის;  
 მით უმეტეს, არც ტაშისთვის,  
 იმის მჭახე გრიალისთვის...  
 არა, გასახარო ნურგო,  
 სხივო ამომავალ მნათის,  
 მზადყოფნას გთხოვს სიტყვა ესე  
 მარად მძიმე უღლისათვის,  
 სურვილს არაყოლისათვის,  
 კაცურ ცოდვა-მადლისათვის,  
 ზოგჯერ ძაძა-გლოვისათვის,  
 ჯვარცმა-თავდადებისათვის,  
 წმინდა სიყვარულისათვის,  
 ნამუსიანობისათვის,  
 უფროს-უმცროსობისათვის,  
 მოძმის სამსახურისათვის,  
 ხშირად მიტყუებისათვის,  
 უფრო ტკივილებისათვის,  
 ცოტაც სიხარულისათვის...  
 ფხიზლად სჭვრეტდე დღეის ყოფას,  
 გამრჩევე იყო მტყუან-მართლის.  
 მინდა შენი სულის შუქი  
 ნათელს ჰგავდეს წმინდა სანთლის,  
 არასოდეს გელაღატოს  
 შენი მძიმე უღლისათვის,  
 შენი სიყვარულისათვის,  
 შენი მზის და მთვარისათვის,  
 ათი წმინდა მცნებისათვის,  
 ადამიანობისათვის  
 და ამ დიდი სალოცავის —  
 დიდი საქართველოსათვის.



რას აწვალბე მაგ გალიაში... შენ  
 გგონია. სხვების მისატყუებლად  
 მღერიან? არა. იმიტომ მღერიან,  
 რომ არ დაიხოცონ მარტობაში,  
 ნაღვლობენ თანამოძმეებზე... მაგათ  
 ტყუილისა არაფერი იციან. გაუშვი...  
 — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკო-  
 ბდა ნიკო.

— დამცინი?! მე რა, გიყი ვარ.  
 დიდიდან აქ რომ ვიყინები? მე,  
 შენ რომ იცოდე, მაგეებით კაი  
 ფულს ვაკეთებ! აი. გრატაში ისა.  
 რა ქვია. სამ თუმანზე ნაკლებს არ  
 ავიღებ! მაგას ხომ კანარის ჩიტთან  
 აწყვილებენ ხოლმე! მთიულაში კი  
 თუმანს ვიღებ, მაშა!

— აი, მაგალითად, ჩიტბატონა-  
 ში?

— ჩიტბატონაში? — და მონადირე  
 მ ზიზლით აიბზუა ბადრიჯნის-  
 ფერი ცხვირი. — ეს სიკეთე ბაზარ-  
 ში ყელამდეა. მოკლედ, უმაღლესი  
 ფასი ცალში ხუთი მანეთია.

ნიკომ არაფერი უპასუხა. თავი  
 დახარა და აჩქარებული ნაბიჯით  
 გაშორდა.

„ვიღაც ჩერჩეტია... აფრენს, რა-  
 და“. — ჩაიცინა სიმღერებით მო-  
 ვაჭრემ და დამცინავი მზერა გააყო-  
 ლა.

დამთავრდა ბოსტნების რიგი. წინ,  
 უკვე მოჩანდა ნაცნობი ღარტაფი.  
 ლურჯი ბურუსით დაფარული.

ნიკომ მოათვალიერა იქაურობა.  
 ვერცხლისფერი იაღღუნის ბუჩქე-  
 ბში, მთის მდინარის პირას, ხავსიან  
 ბორცვზე ჩამოჯდა.

— წივ-წივ! — უცბად მოესმა და  
 გაელიმა. ნაპირის გასწვრივ მთის  
 ბოლოქანქარა, როგორც მოხდენი-  
 ლი ბალერინა, კეკლუცად მიდი-მო-  
 დიოდა წინ და უკან. ცოტა ხნის

შემდეგ აბზინდას გადამხმარი ბარ-  
 დებიდან მოულოდნელად გამოიშა-  
 ლა წკრიალა ბროლის მძივი: „ჭინ-  
 ტრაქა!“ — კვლავ უკარნახა ნიკოს  
 დახვეწილმა სმენამ და ფრთხილად  
 მოაბრუნა თავი. იმ წამსვე, თით-  
 ქოს პაწაწინა მომღერლის ხმა გაი-  
 გონაო, კლდის წვერიდან გადმოეშ-  
 ვა გაცისკროვნებული სხივი, ბუჩ-  
 ქებსა და ბალახებზე ნარინჯისფერ,  
 მწვანე და იღუმალ ლურჯ ფერე-  
 ბად აინთენ მოციმციმე ყინულო-  
 ვანი კრისტალები, უფრო ცოცხლად  
 და მხიარულად გაიჭროლეს პაერში  
 უწვრილესმა მძივებმა...

შეუმჩნევლად მიჰქროდა დრო.  
 და უცებ მომღერალ ბგერებში შე-  
 მოიჭრა გამყინავი სტვენა ბოსტნე-  
 ბის მხრიდან. ჭინჭრაქამ მოკლე  
 რკალი მოხაზა და ბარდებში მიიმა-  
 ლა... ჩაქრნენ ფერადი მძივები, მო-  
 კვდა ჯადოსნური წკრიალი.

— ჰაა, გეუბნებოდი თუ არა, ისა,  
 რა ქვია, საუკეთესოა შეყვარებუ-  
 ლი წყვილი-მეთქი! — ყვიროდა კმა-  
 ყოფილი მონადირე.

ხაფანგის ერთ კუთხეში ერთმა-  
 ნეთს მიკრული იჯდა ორი გულ-  
 გახეთქილი მთიულა, მეორეში —  
 ნაცნობი გრატა.

— მოვიტყუე თუ არა ეს მეორე  
 სულელი! — თავს აქნევდა მონა-  
 დირე. — არაფერია, ათიოდე დღეს  
 ინალვლებენ, მერე კი ისევ ამღერ-  
 დებიან. სად წავლენ! — განაგრძო-  
 ბდა ფრინველმჭერი. — შეხე, მა-  
 მალს, ისა, რა ქვია, თავზე წითელი  
 ბუმბულეები უჩნდება...

— აჰა, დაიჭი გამოსასყიდი შენი  
 ტყვისათვის, — უცბად მკაფიოდ  
 თქვა ნიკომ და მონადირეს შემთ-  
 ხვევით ჯიბეში აღმოჩენილი თუმ-  
 ნიანი გაუწოდა. ჩიტი გამოართვა  
 და გაუშვა.

„ვაჰ, ეს ვინ ყოფილა, კაცო! რა  
 სისულელე ჰქნა, ხომ ვამბობდი,  
 აფრენს-მეთქი“, — ფიქრობდა გაო-  
 გნებული ვაჭარი და ჩლუნგად გას-  
 ცქეროდა მიმავალ ნიკოს. უცებ მი-  
 სი მზერა გალიაში დარჩენილ მარ-  
 ტოხელა ჩიტს მისწვდა, და მოხდა  
 საოცრება — თითქოს რაღაც, დი-  
 დი ხნის დავიწყებული, შეივრბა  
 მის მკერდში. და იგი დაფიქრდა...





# ვიქტორინა -კონკურსი

გთავაზობთ „ვიქტორინის“ მე-8 ნომერში გამოქვეყნებულ ვიქტორინა-კონკურსის მეორე ეტაპის კითხვათა პასუხებს. შეაჯერეთ ისინი თქვენს მიერ მოფიქრებულ პასუხებთან.

აქვე ვბეჭდავთ ვიქტორინა-კონკურსის დამამთავრებელი ეტაპის კითხვებს.

1. ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობის ძირში მდებარე მაღალმთიანი რაიონია სვანეთი.
2. საქართველოს უმაღლესი მწვერვალია შხარა, რომლის სიმაღლე 5187 მეტრია ზღვის დონიდან. აქედან იღებს სათავეს მდ. ენგური.
3. ქვემო და ზემო სვანეთს ჰყოფს სვანეთის ქედი.
4. ყველაზე პოპულარული მწვერვალი სვანეთში უშბაა. მას ორი წვერი აქვს — სამხრეთი და ჩრდილოეთი, სიმაღლე — 4710 მ. არსებობს თქმულება მონადირე ბეთქილზე, რომელსაც შეეყვარებია უშბის კლდეებში მცხოვრები ნადირობის ქალღმერთი დალი. შემდეგ ბეთქილმა უღალატა დალის — ცოლი შეირთო. დალმა შური იძია და დალუბა იგი.

- პირველი საბჭოთა ასვლა უშბაზე განხორციელდა 1934 წელს ალიოზა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. ასვლაში მონაწილეობდნენ ალექსანდრა ჯაფარიძე, მოხვეე იაგორ კახალიკაშვილი და სვანი გიო ნიგურაიანი.
5. მესტიაში გახსნილია გამოჩენილი ქართველი მთამსვლელისა და კლდეზე მცოცავის, ალბინიზმისა და კლდეზე ცოცვაში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, სსრკ სპორტის დამს. ოსტატის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საქართველოს დამს. მწვრთნელის მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმი. მ. ხერგიანი დაიღუპა იტალიაში, მწვერვალ სულტოზე, 1969 წლის 4 ივლისს.

6. სპორტული ბაზა სოფელ ლატალში გამოჩენილი ფოტოხელოვნის, პროფესიით გეოლოგის, სსრკ სპორტის ოსტატის გურამ თიკანაძის სახელობისაა. გ. თიკანაძე დაიღუპა 1963 წ. მწვერვალ შხარადან ჩამოსვლისას.
7. პირველი ალბინიადა სვანეთში ჩატარდა 1937 წელს. მასში მონაწილეობდა 182 კაცი, ალბინიადას ხელმძღვანელობდა სსრკ სპორტის ოსტატი სანდრო გვალია.
8. გამოჩენილმა მთამსვლელმა ლორდმა ჯონ ჰანტმა ინგლისში მიიწვია საბჭოთა მთამსვლელები. იქ კლდეზე საჩვენებელი ცოცვის დროს შეერქვა „კლდის ვეფხვი“ ორ გამოჩენილ ქართველ მთამსვლელს — სსრკ სპორტის დამსახურებულ ოსტატებს — იოსებ კახიანსა და მიხეილ ხერგიანს.
9. მესტიის საშუალო სკოლა მიხეილ ხერგიანის სახელობისაა.
10. უშგული ყველაზე მაღალი სოფელია არა მარტო სვანეთში, იგი ევროპის უმაღლესი დასახლებული პუნქტია (2.200 მ. ზღვის დონიდან). წარსულში ცნობილი იყო უშგულის თემად. უშგულში გაერთიანებულია

## მაღალი ზნეობის გაკვეთილი

(ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებიდან)

...1915 წლის გაზაფხულზე თბილისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მორიგი სხდომა მიმდინარეობდა. სხდომას ხელმძღვანელობდა საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი ყაზბეგი.

სხდომის დასასრულს თავმჯდომარემ გამგეობის წევრებს მიმართა:

— ბატონებო, მოგეხსენებათ, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სამშობლოსათვის იღვწის ჩვენი თანამემამულე. ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი, პრივატ-დოცენტი ივანე

ჯავახიშვილი, რომელსაც, გარდა სხვა თხზულებებისა, დაბეჭდილი აქვს „ქართველი ერის ისტორიის“ ორი ტომი. მე გთავაზობთ, წარვადგინოთ ივანე ჯავახიშვილი ჩვენი საზოგადოების პრემიაზე.

გამგეობის წევრებმა კმაყოფილებით მიანდეს თვით გ. ყაზბეგს ამ საკითხის შეთანხმება ივანე ჯავახიშვილთან.

სხდომა დამთავრდა თუ არა, გიორგი ყაზბეგი კვლავ მაგიდას მიუჯდა და შეადგინა პეტერბურგის უნივერსიტეტში გადასაგზავნი წერილი:

„ბატონო ივანე, თქვენი „ქართველი ერის ისტორიის“ ორი ტომი, 1913 წლის გამოცემა, გვინდა წარვადგინოთ საპრემიოდ. საჭიროა თქვენი თანხმობა, გთხოვთ, პასუხს ნუ დაგვიგვიანებთ“.

როცა ივანე ჯავახიშვილს სახლში გაზეთებთან ერთად პატარა კონვერტიც დახვდა, სახეზე ღიმილმა გადაურბინა: „ნეტავ ვინ მოძიგონა საქართველოდან?“ შემდეგ პაკეტი გახსნა და გიორგი ყაზბეგის წერილი წაიკითხა. ერთ წუთს ჩაფიქრდა, წერილი კვლავ გადაიკითხა და სახე შეეკუმუნხა. მერე კალამს მისწვდა და საპასუხო წერილი დაწერა:

„ყოვლად პატივცემულო, ჩემო ბატონო გიორგი! დიდად გამაღლობთ

ოთხი სოფელი: ჩიბიანი, ეიბიანი, ჩაყაში და მურყმელი.

11. სვანეთის გამოჩენილი მთამსვლელები არიან სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატები: ბექნუ ხერგიანი, მაქსიმე გვარლიანი, ჭიჭიკო ჩართოლანი, გოჯი ზურებიანი, მიხეილ ხერგიანი.

12. ყველაზე პოპულარული უღელტეხილები, რომლებითაც ჩრდილოკავკასიიდან (ბალყარეთიდან) სვანეთში გადმოდიან, არის ბეჩოს, ნაკრას (დონდუზორუნის), მესტიის, ტეიბერის უღელტეხილები.

13. საიუბილეო ალბინიდა მე-4 კატეგორიის სირთულის გზით ჩა-

ტარდა 1968 წელს. კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ამ ალბინიდაში მონაწილეობდა 45 კაცი, მათ შორის 72 წლის ალმაკვირ კვიციანი. ალბინიდას ხელმძღვანელობდა მიხეილ ხერგიანი, მისი მოადგილე იყო ნოდარ კანკავა.

### III კატეგორიის კითხვები

1. რომელ მთიან სისტემაში მდებარეობს საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალი, რა სიმაღლისაა იგი და რა წვლილი შეიტანეს მის დაპყრობაში ქართველმა მთამსვლელებმა?

2. როდის დაარსდა საქართველოს ალპური კლუბი და როდის მიენიჭა მას გამოჩენილი მთამსვლელის ალიოზა ჯაფარიძის სახელი?

8. რომელმა გამოჩენილმა საბჭოთა პოეტმა და რასთან დაკავშირებით უძღვნა ლექსი ალექსანდრა ჯაფარიძეს?

4. სად მდებარეობს „კაცხის სვეტი?“ ვინ ავიდა მასზე პირველი? რომელმა მწერალმა დაწერა მის შესახებ მოთხრობა?

5. სად მდებარეობს ვაჟა ფშაველას სახელობის მწვერვალები?

6. სად ტარდება გამოჩენილი მთამსვლელის მ. ხერგიანის საკავშირო მემორიალი კლდეზე ცოცვაში?

7. რომელია აკად. ნ. კეცხოველის პირველი მხატვრული ნაწარმოები მთამსვლელობის შესახებ?

8. რა არის ფეხსაბიჯები? სად და ვინ იყენებს მათ საქართველოში?

9. რა იცით შხელდა-უშხის სარეკორდო ტრავერსის შესახებ?

10. რომელმა მთამსვლელმა აღმოაჩინა ლოპოტის მარმარილო?

11. დაასახელეთ რეჟისორი და ოპერატორი, რომლებმაც შექმნეს ფილმი მიხეილ ხერგიანსა და იტალიელ მოგზაურ ვიტორიო სელაზე.

12. რა არის სპელეოლოგია?

18. რა იცით მთამსვლელთა წვლილზე ხელოვნური და ბუნებრივი გამოქვაბულების შესწავლაში?

14. დაასახელეთ საქართველოს გამოჩენილი კლდეზე მცოცავები.

15. რომელია მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი? რა იცით მის შესახებ?

თქვენცა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დანარჩენ წევრებსაც იმ წერილისათვის, რომლითაც თქვენ კეთილი ინებეთ და წინადადებას მაძღვეთ, ჩემი „ქართველი ერის ისტორია“ (ორივე წიგნი) საპრემიოდ წარმოდგენილ თხზულებათა სიაში მოვთავსოთო. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ამ თქვენი სურვილის აღსრულება არ შემიძლიან შემდეგი პრინციპიალური მოსაზრების გამო: პრემიები ყველგან და ჩვენშიაც, რასაკვირველია, იმიტომ არის დაწესებული, რომ ახალგაზრდა მკვლევარნი წაახალისონ, ან ქონებრივი დახმარება გაუწიონ შრომის დასაბეჭდად და სამეცნიერო მუშაობის

განსაგრძობად. მე, ჩემდა საბედნიეროდ, ისედაც შეძლებისდაგვარად ვმუშაობ და ჩემთვის არც რაიმე წახალისებაა საჭირო და არც ქონებრივი დახმარება. უნივერსიტეტის დოცენტობა მე, თუმცა დიდს არა, მაგრამ მაინც სახსარს მაძღვეს. ამისთანა პირობებში ზნეობრივად შეუძლებლად მიმაჩნია, სხვებს, რომელთაც წახალისებაც და დახმარებაც სჭირიათ, შევეცილო. მე კარგად ვიცი, რომ საზღვარგარეთაც და რუსეთშიც, აკადემიებში და სხვა შესატყვის დაწესებულებებში, ბევრს, ჩემზე უფრო მეტად დამსახურებულსა და ჩემზე უფრო ქონებრივად უზრუნველყოფილ მეცნიერებს წარუდგენიათ ხოლმე საპრემიოდ

თავიანთი თხზულებები, მაგრამ მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი და ახლაც მგონია, რომ აქ საქებური არაფერია, და მათს მაგალითს მე ვერ წავბაძავ. აი, ის მოსაზრებანი, რომელნიც მაიძულებენ, ჩემი უკანასკნელი თხზულება საპრემიოდ არ წარმოვადგინო. კვლავ მადლობას მოგახსენებთ გულწრფელად ამ კეთილმყოფელობისათვის, რომლითაც გამოწვეულია თქვენი წინადადება.

თქვენი გულწრფელი პატივისმცემელი ივანე ჯავახიშვილი“.

ქეშმარიტად თაობათა მისაბაძი მაგალითია ქართველი ისტორიკოსისა და მეცნიერის მიერ გამოჩენილი ეს თავმდაბლობა!

ვახტანგ სიღამონიძე



## გომბორში

თელავში მცხოვრები ცნობილი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე როსტიაშვილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიწვევით თბილისში მიემგზავრებოდა. ორცხენიან ეტლში მჯდომმა ივანემ გომბორის უღელტეხილზე თვალი მოჰკრა ფეხით მიმავალ ორ ყმაწვილს.

მგზავრებს ღარიბულად ეცვათ. ერთს მოძველებული ქალამნები ჰქონდა ამოდებული ილიაში, მეორეს — თავისი ფეხის ზომასთან შედარებით მოზრდილი, დაკერებული ჩუსტები. უფროსი — მალალი, გამზდარი ბიჭი, სულ ცამეტ-თოთხმეტი წლისა იქნებოდა.

— გამარჯობათ, ყმაწვილებო, საით გაგიწევიათ? — ჰკითხა ივანემ ბიჭებს და ახლობლურად გაუღიმა.

ყმაწვილებმა სალამითვე უპასუხეს და მოკრძალებით უთხრეს, ქალაქს მივიღივართო.

— დიდი გზა გქონიათ გასავლელი, ეტლში ჩასხედით, ერთად ვიმგზავროთ.

ყმაწვილებმა ერთმანეთს გადახედეს — ვერ გაბედეს ეტლში ასვლა.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ჩასხედით, მგზავრობის ფულს არ გადაგახდევინებთ, — მხარი აუბა ივანეს მიეტლემ.

ბიჭები ეტლში მოთავსდნენ. მეეტლემ ცხენებს მათრახი გადაუჭირა და ეტლიც გაეჩქარა ოღრო-ჩოღრო გზაზე.

ივანემ ინტერესით გამოჰკითხა ყმაწვილებს — საიდან ხართ, რა გვარისა ხართ და რატომ მიდიხართ

თბილისშიო. უფროსმა ძმამ უპასუხა: სოფელ ვარდისუბნიდან ვართ, გვარად ჩხეიძეები. მე გიორგი მჭვიანი, ამას კი დავითი. მამა ცოცხალი აღარა გვყავს. ახლა წვრილშვილ დედასთან ერთად თბილისში, ავლაბარში ვცხოვრობთ და ვსწავლობთ.

მცირე პაუზის შემდეგ ისევ უფროსმა მორიდებულად ჰკითხა ივანეს:

— თქვენ რაღა გვარისა ბრძანდებით, ძია?

— მე ივანე როსტიაშვილი ვარ, თელავში ბევრი ვანო მასწავლებელს მეძახის.

„ვანო მასწავლებელი დედაჩემსაც უხსენებია. უთქვამს, კარგი ოსტატია, გლეხებისთვის ძალიან ზრუნავსო“, — გაიფიქრა გიორგიმ.

— ყმაწვილებო, ლექსები თუ იცით? — ცოტა ხნის შემდეგ იკითხა ძია ვანომ.

— მე „არსენას ლექსი“ და „კაკო ყაჩალი“ ვიცი, — თქვა გიორგიმ.

— მე — „ტყემ მოისხა ფოთოლი“... შაირებიც ვიცი! — განაცხადა დავითმა.

— გზა კიდევ დიდი გვაქვს გასავლელი, აბა, დაიწყეთ! — წააქეზა ივანემ.

გიორგიმ „კაკო ყაჩალი“ დაიწყო. ყმაწვილი ისე კარგად ამბობდა პოემიდან ნაწყვეტებს, რომ ივანეს ელიმებოდა. მერე დავითმა წარმოთქვა ილიას „გაზაფხული“.

— ხომ ვერ მეტყვი, ყმაწვილებო, ვინ დაწერა „კაკო ყაჩალი“?

— ილია ჭავჭავაძემ! — სიამოვნებით თქვა უფროსმა ძმამ.

— „ტყემ მოისხა ფოთოლიც“

ილიას დაწერილია! — დაუმატა უმცროსმა.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — უთხრა ივანე ხართ! — თქვა კმაყოფილმა ივანემ.

— ზოგჯერ მე და ჩემი ძმა დავითიც ვწერთ ლექსებს, ჩვენს უბნელებს მოსწონთ, ამბობენ კარგიაო...

— ლექსებსა წერთ?! — გაიკვირვა ივანემ...

შუადღე გადასული იყო, როცა ეტლი თბილისში შევიდა. ყმაწვილების სურვილით, ივანემ ეტლი ავლაბარში გააჩერებინა. ბიჭები მაშინვე ჩამოხტნენ და, ის იყო, გამოთხოვებას აპირებდნენ, რომ გულისხმიერმა პედაგოგმა შეაჩერა, ჯიბეზე ხელი გაიკრა და ძმებს ფული გაუწოდა. ყმაწვილებმა უარის ნიშნად თავი გაიქნიეს.

— აიღეთ, ნუ გერიდებათ! — გაუმეორა ივანემ.

— არა, ძიავე, ჩვენ ფულს არ გამოგართმევთ, ისედაც დიდი მადლობლები ვართ, თქვენი გაცნობა არასოდეს დაგვავიწყდება. ვეცდებით, როდესმე გადაგიხადოთ პატივისცემა.

ივანემ გულთბილად ჩამოართვა ხელი, მერე თბილისში თავისი ბინის მისამართი მისცა, მნახეთ ხოლმეო, და მალე ეტლიც დაიძრა.

გავიდა დრო. დავაჟაკდნენ ძმები, გიორგი და დავით ჩხეიძეები, ორივე ფსევდონიმით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. გიორგი **ქუჩიშვილის** სახელით წერდა ლექსებს. დავითი კი, მშობლიური სოფლის მდინარის თუზარდოს სიყვარულით, **თუზარდოსპირელი** გახდა და ამ გვარით აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს.

1923 წელი იდგა. გიორგი ქუჩიშვილმა მეგობრებისაგან შემთხვევით გაიგო, რომ იმხანად თბილისში მცხოვრები ივანე როსტიაშვილი ავად გამხდარყო. გადაწყვიტა. დავითთან ერთად სწვეოდა კეთილმოხუცს, რომელიც სიყმაწვილეში გომბორის უღელტეხილთან გაიქნო, ძმებმა საჩქაროდ ტკბილეული იყიდეს და კითხვა-კითხვით მიადგნენ სახლს, სადაც ღვაწლმოსილი პედაგოგი ცხოვრობდა.

ლოგინში მწოლიარე ფერმკრთა-



# პატარა მკაცრი ბავშვი

(დახასრული)

სანთელს უნთებს ღვთისმშობელს და მუხლმოდრეკილი ლოცულობს მანამდე, ვიდრე კორიდის დამთავრების ამბავს არ შეატყობინებენ.

ენრიკე პონსე ამბობს, რომ ის 16 წლისაა, მაგრამ 14 წელზე მეტს არაფრით არ მისცემ. მას უკვე ბევრ „ნამდვილ“ ბრძოლაში აქვს მიღებული მონაწილეობა. 8 წლისა პირველად შეებრძოლა მოზვერს, 10 წლისა მონაწილეობდა მონტე პიკაოს კონკურსში. როგორც გამარჯვებული, იგი ხელში ატაცებული გამოიყვანეს ვალენსიის პრესტიჟული არენის მთავარი ჰიშკრიდან, რაც ტორეროსთვის უმადლეს ჯილდოდ ითვლება. მას, როგორც ყველა მის „თანამებრძოლს“, შეგნებული აქვს, რომ ხიფათი, შესაძლოა — სიკვდილიც — ყოველ წუთსაა ჩასაფრებული. ნორჩი მატადორების თვალწინ

ნაა მათი თანატოლის, ლუსიო სანდინის ბედი, რომელსაც არენაზე ხარმა რქით თვალი გამოსთხარა, ანდა, სულ ახლახან, — ანტონიო გონსალესის ტრაგიკული სიკვდილი მადრიდის არენაზე.

გასულ წელს ესპანეთში ჩატარდა 14666 კორიდა, რომელსაც 40 მილიონი მაყურებელი დაესწრო. მოგებამ 33 მილიარდი პესეტი შეადგინა, რომლის უმეტესი ნაწილი იმპრესარიოებისა და „ხარების სტადიონების“ მფლობელთა ჯიბეში ჩავიდა. თითქმის 15 ათასი ბრძოლა!.. ამთგან რომელ ბრძოლაში ელის სიკვდილი სანტიაგო გონსალესს, ვიდრე დედამისი მუხლმოდრეკილი ლოცულობს ღვთისმშობლის ხატის წინ?

3. ჩარნიშვი

ლი მოხუცი მძიმედ წამოიწია და ყურადღებით დააკვირდა სტუმრებს.

ძმები მიესალმნენ, ხელი ჩამოართვეს და შინაურულად მოიკითხეს.

— ბოდიში, მაგრამ ვერ გიცანით, — უთხრა ავადმყოფმა. — ცოტა არ იყოს, მხედველობაც მალატობს, ვინ ბრძანდებით?

— მე გიორგი ქუჩიშვილი ვარ, — უპასუხა ერთმა.

— მე კი დავით თურდოსპირელი. — დაუმატა მეორემ.

— ჩვენი საყვარელი პოეტები — ძმები ჩხეიძეები მეწვიეთ, არა? მადლობელი ვარ, ჩემო კეთილებო, დიდი მადლობელი!

— ბატონო ივანე, აი, მე და დავითმა პატარა საჩუქარიც მოგართვით, ჩვენი ლექსების წიგნებია.

ივანემ აკანკალებული ხელით ჩამოართვა წიგნები, ჯერ სიყვარულით გულზე მიიკრა და შემდეგ გადაფურცლა.

— მადლობა მითქვამს ამისათვის და ღმერთსა ვთხოვ, თქვენს მარჯვენას უფრო მეტი დაეწიროს.

— გახსოვთ, ბატონო ივანე, ოცი წლის წინათ გომბორის უღელტეხილთან რომ შეგვხვდით? — გიორგიმ მოხუცს ხატოვნად აუწერა იმჟამინდელი შეხვედრის სურათი.

— მაშ, თქვენ ის ფეხშიშველი ბიჭები ხართ? — გაიკვირვა მოხუცმა. — როგორ მინდოდა, კიდევ შეგხვედროდით, მაგრამ ალბათ მოგერიდათ ჩემი, აღარ მოსულხართ. თქვენ კი გაიხარეთ აქ მოსვლისათვის!

— ბატონო ივანე, მე მასწავლებლადც ვმუშაობ და მინდა, რომ ისეთი აღმზრდელი ვიყო, როგორც თქვენ იყავით! — განუცხადა დავითმა.

— მასწავლებლობა, ჩემო დავით, კეთილშობილური საქმეა, დაგილოცავ გზას, გისურვებ წარმატებას!

ძმები გამოეთხოვნენ ავადმყოფს, გამოჩანმრთელეა უსურვეს.

შინ მიმავალი გიორგი და დავითი ფიქრებს წაელო, ორივე უზომოდ კმაყოფილი იყო, რომ, მართალია დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ მაინც შეძლეს ივანე როსტიაშვილისადმი პატივისცემის გამოხატვა.

შალვა მარკოზაშვილი

## ლილი გობჯაშვილი

### დედაო ჩემო

შენ რომ გვერდით ხარ,  
თავზე მადგიხარ,  
დედაო ჩემო,  
არ არის ძალა, რომ შემაკროს,  
რომ შემაშფოთოს,  
ანთიხარ, იწვი და იღვენთები,  
როგორც სანთელი სახატეში,  
დედაო ჩემო!

მე უფრო მტკივა შენი ტკივილი,  
დედაო ჩემო,  
კიდევ მიყვარს და კიდევ მაშინებს  
შენი ჭალარა,  
შენი ღიმილი სულ მახარებს  
და მასხივოსნებს,  
უბეში მიბნევეს იმედის სხივებს,  
დედაო ჩემო!

### ჩემი იმედი

ცუცუნებს ბაღში ჩემი იმედი  
პატარა სათლით  
და ყველა ნარგავს  
წყურვილს უკლავს,  
თან ეფერება,  
ღიღინებს კიდევ, ბადრ სახეზე  
ღიმილი შენის  
და სიხარული მისი მერცხლებს  
მზისაკენ მიაქვთ.

იმღერე, შეილო, და სიკეთე  
არიგე ქვეყნად,  
იშრომე კიდევ, შრომის ფასი  
რა არის ნეტა?  
გიყვარდეს მუდამ ერი შენი,  
მამული შენი  
და დამერწმუნე, ვარსკვლავთა  
შორის  
იბრწყინებ შენცა!



# ნიკელი

მორეკონსტრუქციის ჟურნალი

№ 10

## სტუმრად საინჟინო

მე ვსწავლობ სართიქალის გ. მათიაშვილის სახ. №2 საშუალო სკოლის VII კლასში. მესამე წელია, ვარ ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრის წევრი. ძალიან მიყვარს საწრეო მუშაობა, ყოველთვის მიმიხარია წრის მეცადინეობაზე. ყოველი მეცადინეობა რაღაც ახალს და საინტერესოს მაძლევს. უკანასკნელი მეცადინეობა ჩვენმა წრის ხელმძღვანელმა, პატივცემულმა ნანა დობტურიშვილმა იმით დაიწყო, რომ გვახარა, საინჟინოში წავალთ და მეგობრებს, რომლებსაც მხოლოდ წერილებით ვიცნობთ, პირადად შეგვხვდებით. დადგა სანატრელი დღეც. ჩვენ საინჟინოში ჩავედით. ჯერ სოფელ ალიაბადის სკოლას ვეწვიეთ. ძალიან კარგად მიგვიღეს. გვაჩვენეს თავიანთი სკოლა, მერე კი სააქტო დარბაზში კონცერტი გაგვიმართეს. კონცერტში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა — ვიმღერეთ, ვიცეკვეთ და ლექსები ვთქვით. მერე მეგობრებმა მუზეუმში წაგვიყვანეს, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები და მასალები ჰქონდათ გამოფენილი. ალიბეგლოს საშუალო სკოლასაც ვეწვიეთ. სკოლის ეზოში ილია ჭავჭავაძის ძეგლი დგას. თანატოლებმა სოფელიც დაგვათვალისწინეს. ვნახეთ წმინდა ნინოს ეკლესია. ალიბეგლოს სკოლის კედლიდან წარწერამ შემოგვანათა: „ვინც მოყვარეს არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. მართლაც, მოყვრულად შეგვეგებნენ იქაური ბა-

ვშები, დაგვათვალისწინეს სამამულო ომში დაღუპული თანასოფლელების ხსოვნის ნიშნად სოფლის ცენტრში აღმართული მემორიალი. ბევრ ალიბეგლოელ თანატოლს დავუმეგობრდით. ლიზა კაკიშვილი, მზალო ნადირაშვილი, ლელა მურადაშვილი, კახა რეხვიაშვილი, გია გაჭიშვილი შეგებირდნენ, რომ მთავალში გვეწვევიან სართიქალაში, მანამდე კი წერილებს გამოგვიგზავნიან.

ინგა ჩიტაური,  
გარდაბანი, სართიქალის საშუალო სკოლა, VII კლასი.

### ავაღვლით, ჩემო ლექსავო

უნდა დაგწეროთ, ლექსებო,  
ფეხზე მოვაბა, არწივო,  
სულ მალლა-მალლა იფრინო,  
ღრუბლებზე მალლა ასწიო.  
ლაქვარდში იმუსაიფონ,  
ვარსკვლავთ ნადიმზე აწვიონ,  
ნანას უმღერდნენ მნათობსა —  
მთვარეს აკვანი ურწიონ.

ბუერებს შორის გამოდის წყარო,  
როგორ ცივია,  
როგორ ანკარა,  
შვლები მივიდნენ  
წყლის დასალევად  
თან მიიყვანეს  
ნუკრი პატარა.  
დედამ გაზარდა  
ყვავილთ უბეში  
და ხტუნვა-ხტუნვით  
მინდვრად ატარა,  
მზემ გაუცინა გორის პირიდან,  
ნიავეს ამბორი გამოატანა.

თვე დამდგარა ვარდობისა  
მოქარგული იებიითა,  
გადაჭრულდა ველ- მინდვრები  
ფერად-ფერად მძივებითა.  
ტყვეს კვირტები გაუხსნია,  
მზემ სხივები ჩააფინა,  
ანშიანდა შაშვის ბუდე,  
პაწიები გააფრინა.

მინდვრებს ვთელავდი ჭენებით  
ჯოხის ულაყით, მალითა,

არც ვაძოვებდი ბალახსა,  
არც მიჭვდია ნალითა.  
მთებს მოვივლიდი კლდიანებს  
ვიწრო ბილიკის გავლითა,  
ყველაზე ვწერდი ლექსებსა,  
რასაც ვხედავდი თვალითა.

მომბიბა არაბაული,  
ყაზბეგი, ჭუთის სკოლა, VI კლასი.


### სარკა

ერთი მიზია ავალისა: ადამიანი  
თავიდან ბოლომდე აჩვენოს. მაჯ-  
რამ ისეთი პრანჭიაა, მხოლოდ მის  
ახალ ფეხსაცმელებს, კაბას, თმის  
ვარცხნილობას გვიხატავს. ის კი არ  
აინტერესებს, ამ მომხიბლავი ნიღ-  
ბის იქით რა იმალება.

### ოცნება

პატარა გუბე იდგა ეზოში. შიგ-  
ნით კი ერთი ციციქნა ქალაღის გე-  
მი დატურავდა. შორს მირბოდა პა-  
ტარა ბიჭის ოცნება. ნიავე წა-  
მოუბერავდა, გემი ჯერ შეირხეო-  
და, მერე კი ადგილიდან ნელა იძ-  
ვროდა.

სოფიკო როინიშვილი,  
თბილისის მე-2 ექსპერიმენტული  
სკოლა, VI კლასი.



პაბმარინე ოგლიშვილი,  
ქარელი, ფცის საშუალო სკოლა,  
VII კლასი



ცა ის, რაც მტაცებლებს დააკლო, ტყუილად კი არ ამბობენ: ენგელსმა უკვე რომ ძალღივით სუნი იცოცხლებოდა, ყანას ამოაგდებო.

მან კურდღელს უბოძა ყველაზე მახვილი თვალი, ფაქიზი ყურთასმენა და დიდი სისწრაფე.

...ჩვენი დედაკურდღელი თავისი სამი ბაჭიით ერთ ეკლიან ბუძგურში ცხოვრობდა... საბრალო ბაჭიებს ყურები სულ დაცქვეტილი ჰქონდათ შიშისაგან, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ყოველ წუთს მტრის მოლოდინში იყვნენ. დამდამობით ძილმღვიძრად იყვნენ. ამბობენ, მძინარე კურდღელს უფრო გამძაფრებული აქვს სმენა... თითქმის ყველა მტაცებელი ცხოველი კურდღლის მტერია. ტურები და მეღიები მოსვენებას არ აძლევენ. ხშირად მგლებიც ესტუმრებიან ხოლმე. მაგრამ ჩვენმა დედაკურდღელმა ისე დაზარდა ბაჭიები, კლანჭი არავის გააკრევიანა.

ერთ დღით, როცა ფრიალო ფერდობებს ფოშფოში ნისლი მოსდებოდა, დედაკურდღელმა შვილებს საიდანაც ჰკონტელი მოუტანა. ბაჭიები ტბილ ჰარბალს ერთხანს გემრიელად ახრამუნებდნენ... უეცრად დედამ ყურები ცქვიტა. სასტიკმა ჰალიკონმა დაჰბერა და ძაგძაგი აუვარდა; შეშინებულმა საზარლად დაიფხაკუნა და ბუძგურისაკენ გააქცია შვილები. ის იყო ყველანი შიგ შეცვივდნენ, რომ ბუძგურს არწივმა მიახეთქა მრისხანე თვალეები და გაალმასებული ჰანგები. ათრთოლებული ბაჭიები დედას ჩაეხუტნენ და გაიქცნაფნენ...

ეკლებისაგან დაკაწრულმა ფრინველთა მბრძანებელმა ფრთები გაატყლაშუნა და გაბოროტებულმა ალაზნის ველს გადაუქროლა.

იმ ღამეს თქორი წამოვიდა. ნაწვიმარზე ბუჩქებს ლეშხი ჩამოსდიოდა. კარგა ხნის გათენებული იყო, არწივისაგან დამფრთხალ ყურცქვიტებს კი გარეთ გამოსვლისა ეშინოდათ, მაგრამ შიმშილიმა შეაწუხა და ჯერ დედამ გამოყო თავი, ყურები დაცქვიტა. სმენად გადაიქცა, ირგვლივითი დაზვერა, მერე ბაჭიებს მოუხმო და ფლატეს მახლობლად ნათესისაკენ გააბარა.



# შენი კი ასეთი?..

გიორგი ხაჩუაშვილი

მხატვარი ელ. აგბოკაძე

„იყო და არა იყო რა...“ — ასე იწყება ყველა ზღაპარი, მაგრამ რაკი სულხან-საბა ამბობს, ზღაპარი არის მოგონებული ტყუილი ამბავი, ხოლო ამ ზღაპარში ნამცეცის ოდენა ტყუილი არ ურევია და მწარე სინამდვილეა, ამიტომ ასე დავიწყეთ: იყო და აღარ იქნება...

...ერთ სოფელს კურდღელაურს ეძახიან. უწინდელ დროში იქაური ველ-მინდვრები თურმე კურდღლით ყოფილა სავსე და ამიტომ დაურქმევიათ კურდღელაური ისე, როგორც ნუკრიანისთვის — ნუკრიანი, ორბიანისთვის — ორბეთი... აქაურები ამბობენ, სოფლის ბოლოს მინდვრებსა და ჯაგნარებში იმდენი კურდღელი იყო, ნახირს სულ ფეხებში ებლანდებოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად დახტოდა და დაკუნტრუშობდა ეს უბოროტო ნადირი.

ჰოდა, ცოტა ხნის წინათ ამ სოფლის მახლობლად ცხოვრობდა ერთი დედაკურდღელი და ჰყავდა სამი ბაჭია.

ამ დალოცვილმა დედაბუნებამ რა ჰკვიანურად ააწყო წუთისოფლის რთული მექანიზმი! ისიც კი გაითვალისწინა, რომ ამ მექანიზმს ზედამხედველი სჭირდებოდა, გააჩინა ადამიანი და ადამიანს ჩააბარა იგი, თან უთხრა: დაიმახსოვრე — შენი ცხოვრების ამ მექანიზმისათვის არ არსებობს პატარა და დიდი ნაწილი, მისი უსასრულო მუშაობისათვის ისევე საჭიროა ბედურა, როგორც არწივი, ისევე საჭიროა კურდღელი, როგორც ლომი... ჰოდა, სიცოცხლე თუ გინდა, ყველას ერთნაირი გულისყურით მიხედე, როცა დაატყობ, რომ გაუჭირდა, მხოლოდ მაშინ მიეხმარეო...

ბუნებამ შექმნა სიცოცხლე, შექმ-

ნა ყველაფერი, რაც სიცოცხლისათვის აუცილებელია: წყალი, ჰაერი, ტყე, მინდორ-ველი, ცხოველები, ფრინველები... მან საქართველოს მიწაზეც თავისი გულუხვი კალთა გადმოებრტყა.

აბა, უსმინეთ ჩვენს ბრძენ ილიას. თითქოს ბუნების ერთ ლაპარაკობსო: „ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ, რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულათქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეოთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმადლარ სურვილისამებრ... ვართ კი ასეთი?“

ჰა, რას იტყვით, ხალხნო, ვართ კი ასეთი?...

რაკი ბუნებამ გააჩინა მტაცებელი ნადირი, გააჩინა მოსატაცებელი ნადირიც, მათ შორის ჩვენი ზღაპრის გმირი ყურცქვიტაც... დედაბუნებამ მოსატაცებელი ნადირისათვის თავდაცვის უნარი რომ არ მიეცა, ღორმუცელა მტაცებლები ამ საცოდავებს ერთბაშად გადასანსლაგდნენ, ამიტომ ზოგი რქებით შეაიარაღა, ზოგი ყნოსვით, სწრაფი სირბილით, ფრენით... წყალში გაკურვა ასწავლა... ზღარბს ეკლიანი ქურჭი ჩააცვა, კუ სქელ ბაკანში დამალა. ყველა სულიერ არსებას საკუთარი ბუნებისა და თავშესაფრის აშენება ასწავლა. ეს დალოცვილი ბუნება ისეთნაირად შეაფერადებს ხოლმე ზოგიერთ უმწეო ცხოველს, რომ იმას ეშმაკიც ვერ პოულობს. ერთი სიტყვით, მოსატაცებელ არსებებს მის-



კარგა ხანს შეეკცეოლდნენ ტკბილ ჭარხალს, დედაკურდღელს კი ისევ დაძაბული ჰქონდა სმენა. და აი, პურის მაღალი ყანიდან ხმაური მოესმა, შეამჩნია. რომ ვილაც-ვილაცები მოიძურწებოდნენ იმათკენ. საითაც გაიხედა, ყველგან მეძებრების ჭრელ-ჭრელ ზურგებს და ჩამოყრილ ყურებს მოჰკრა თვალი. კვლავ შემზარავად დაიფხაკუნა და ფრიალო სერისაკენ მოძუძგეს დაფეთებულებმა.

მეძებრებმა საშინელი ყეფა ატეხეს, ალყაში ამწყვდევდნენ კურდღლებს; უკან გამხიარულებული მონადირეები მოჰყვებოდნენ, ყვირილით. თოფების სროლით იქაურობა გააყრუეს...

— ოჩოპინტრე, იხსენი ჩემი შვილები! — შეჰლადა და დედაკურდღელმა ნადირთ მფარველ ღვთაებას.

კაპიან ტოტებზე შემდგარმა ოჩოპინტრემ კურდღლები ამრეცზე შეჰკყარა — აღმართზე ვერავინ დაგეწევათო. ის საცოდავებიც, თითქოს ფრთები გამოეხსათო, ქარის სისწრაფით მიჰქროდნენ აღმა.

დაქანცულ ძაღლებს კურდღლების კვალი დაეკარგათ და უხალისო წკმუტუნით დაბრუნდნენ უკან. კურდღლებმა კი მდინარისპირა ჭალის მაყვლის ბარდებს შეაფარეს თავი. ერთ ფშანთან ხარბად დაეწაფნენ ანკარა წყაროს და გასაავათებულები იკვედაეყარნენ.

შეზინდებული იყო, რომ დაბურული მუხნარიდან ყმუილი მოესმათ. მესამე ღამე იყო, კურდღელს ეს ყმუილი ესმოდა და შიშისაგან იღვოდა. იცოდა, ძუ მგელი იმიტომ ყმუოდა, რომ ლეკვები მშვივრები ჰყავდა. ტყე-ტყე, ღრე-ღრე დაძრწოდა, დაძუნძულებდა...

დედაკურდღელს მოსვენება დაეკარგა, ვაითუ მაწანწალა მგელი წავაწყდესო. დალილ-დაქანცული ბაჭიები კი მშვიდად კრუტუნებდნენ.

როდის-როდის მგლის ყმუილი მიწყდა. დედაკურდღელი კი ისევ სმენად იყო გადაქცეული. ფშანებში ანკარა წყაროების მშვიდი ჩურჩული და დინჯად მიმავალი ბებერი ალაზნის ბუტბუტი ესმოდა. ზოგჯერ კი მუხნარში ჭალიკონისაგან აშრიალებული ფოთლები შეაშფოთებდა ხოლმე.

ჭალის მყუდროება ავს რასმე იჭურჩულებოდა.

ალაზანში დგაფუნი გაისმა. კურდღელს ერთხანს ეგონა, მდინარის ტალღებში ჭავლმა ჩაიდვლარქინაო, მაგრამ როცა ტანაყრილი შალაფები შეირხნენ და ღამის წყვილიადით ჩაბნელებულ მაყვლის ბარდებში ცეცხლივით ანთებულმა თვლებმა შემოანათა, მაშინ კი ფშანთან მიყრილი ბაჭიები დააფეთიანა...

ძუ მგელმა თვალი შეასწრო თუ არა კურდღლებს, მაყვლის ეკლიან ბარდებს არ დაერიდა და თავგანწირვით გამოეკიდა უკან ჩამორჩენილ დედაკურდღელს. ის იყო, გაბასრული კბილები უნდა ჩაესო, რომ ფშანის ერთ ნაპირას ტალახში ისე ღრმად ჩაეფლო უკანა ფეხებით, რომ კარგა ხანს იწვალა იქიდან ამოსვლაზე.

— ნადირთ მფარველო! — საზარლად დაიყმუილა ძუ მგელმა. — ნუთუ არ გებრალება ჩემი ლეკვები?.. რად ჩამაგდე ტალახში, რად?!

— ეგენიც რომ გადასანსლო, კურდღლის მოდგმა ამოვარდება!

— თუკი ეგრე უმოწყალოდ მომეკცეოდ, რისთვის გამაჩინე? თუ გამაჩინე, მარჩინე კიდევ, შე დალოცვილო!.. განა შენ არ მარგუნე, ხორცის ჭამით ვიცოცხლო?

— შენს ჯილაგს არსებობისთვის

სნეული და მიხრწნილი ნადირი ვარგუნე... წადი და მოიპოვე...

— სად, სად წავიდვარ? — მკვნიველო, ტყეში ნადირთა სინსილა გამწყდარი.

— ჰო, მართალი ხარ, ბოროტმა ადამიანებმა მთელი ტყე გაღვარძლეს, გააშინველეს, ტყის ნადირიც იმათია და შინაურიც. რას იზამ, ადამიანი ყოვლისშემძლეა. ამ შემძლეობას ზოგნი ბოროტად იყენებენ, ის კი არ იციან, რომ უტყეოდ, უნადიროდ სიცოცხლეს იმოკლებენ... აქ ნულარ ყმუი, გაჰყე შარაგზას, სოფლის ბოლოში დაიწყე ყმუილი, ყოყლოჩინა ციბას გამოვიტყუებ, დასტაცე პირი და სულს მოითქვამ!..

ძუ მგელი დაემორჩილა ოჩოპინტრეს და სოფლის შარაგზას ძუნძულით გაჰყვა. უეცრად თვალი მოჰკრა მის წინ გაქცეულ ოთხივე ყურცქვიტას, ნადირთ მფარველი გადაავიწყდა, სულმა წასძლია და კურდღლებს გამოეკიდა.

— ვაიმე, დედი, მგლის თვალები მოგვდევს!

— ნუ გეშინიათ, შვილებო, ოჩოპინტრე გემფარველობს.

მოულოდნელად მგლის ზურგს უკან უშველებელმა, ბრიალა თვალებმა გაანათეს არემარე. შეშინებულმა ძუ მგელმა ერთი კი მოასწრო დაყმუილება და ძლიერმა დაჯახებამ სული გააფრთხოინა.

— დედი, ხედავ, მგელს თვალები გაუმსხვილდა!

— არა, შვილო, მგელი მაგ ბრიალა თვალებმა მოკლეს. ამ ავტომანქანებმა მოსპეს მთელი საკურდღლეთი... ახლა ჩვენზე სანადიროდ არიან გამოსულები. იჩქარეთ! იჩქარეთ!..

ღრიალით უახლოვდებოდათ მანქანის ბრიალა ფარები გაქცეულ კურდღლებს. ორი მანქანა მოსდევდათ. სარკელიდან გამოყოფილ თოფებს ბათქა-ბუთქი გაჰქონდათ. ბაჭიები თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ...

დედაკურდღელი შეჩერდა. ცრემლიანი თვალებით გახედა ბაჭიებს და ის იყო მანქანის ბორბლებში შესავარდნად გამეზადა, იქნებ შვილები გადაარჩინოს ჩემმა სიკვდილმაო.



### ცეცხლოვანი წვიმა

სტრუა ქალაქში აურით მ-მ კოვში კალიუმის პერმანგანატის, რკინის ნაქლიბისა და ნახშირის ფხვნილები. შიღებული ნარევი რკინის ტიგელში მოათავსეთ და შტატივის რგოლზე დადგით. რგოლი რაც შეიძლება მაღლა ასწიეთ. ტიგელი სპირტქურის ალით შეათბეთ. მალე დაიწყება ნაპერწკლების გადმოფრქვევა, რაც „ცეცხლოვანი წვიმის“ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ცდის ახსნა: კალიუმის პერმანგანატი გათბობისას იშლება თავისუფალი უანგბადის გამოყოფით, რომელიც რკინასთან და ნახშირბადთან ერთად ასეთ ეფექტს გვაძლევს: დაშლის პროდუქტებია, აგრეთვე, კალიუმის მანგანატი და მანგანუმის ოქსიდი.

### ჰემა-ჰუხილი სინჯარაში

200 გ კალიუმის სულფატი 81,5 გ ნატრიუმის სულფატს შეურიეთ. ნელ-ნელა დაახლო ცხელი წყალი, ვიდრე კრისტალები მთლიანად არ გაიხსნება. ხსნარი გახაციებულად ბნელ ოთახში მოათავსეთ. მას შემდეგ, რაც შიგ საკმაო რაოდენობის კრისტალები წარმოიქმნება, ყოველი ახალი კრისტალის წარმოქმნასთან ერთად ნაპერწკალიც გაჩნდება ხოლმე.

სუსტი ნაპერწკლები უკვე 80°-ზე ჩნდება,



## ქიმიური „სასწაულები“

შემდეგ მათი რიცხვი მატულობს და ბოლოს იწყება ცისფერი ნაპერწკლების „წვიმა“. ამ მომენტის დადგომას 1,5 საათი უნდა ელოდოთ. თუ სინჯარას უფროს მზიანთ, დარწმუნებით, რომ ყოველი ნაპერწკლის წარ-

მოქმნას თან ახლავს ხმადაბალი შეიძლება ხილი“.

როცა ნათება შეწყდება, იგი კვლავ გამოიწვიოთ შეჩქარებით ან მინის წკირის მორევით.

ცდის ახსნა: სინათლე ახლავს ქიმიურ პროცესს, ორმაგი მარილის წარმოქმნას (კალიუმის სულფატი. ნატრიუმის სულფატი), რომელიც ხსნარიდან გამოიყოფა.

### ვულკანი

კოლბაში, მისი ერთი მესამედის მოცულობით, ამონიუმის დიქრომატის წითელი ფხვნილი მოათავსეთ და კოლბა შტატივზე დაამაგრეთ. კოლბა შეათბეთ ერთ წერტილში, ხოლო როგორც კი რეაქცია დაიწყება, მოაცილეთ სპირტქურა. იწყება ეფექტური რეაქცია — გაფარავებული ლავიდან ამოიტურცნება ცეცხლის ალი, რომელსაც შინით მოჰყვება მწვანე ფერის ფხვნილი. ეს ფხვნილი გაცილებით მეტ მოცულობას იკავებს, ვიდრე აღებული მარილი.

ცდის ახსნა: იშლება ამონიუმის დიქრომატი (წითელი ფერის ფხვნილი), მიიღება ქრომის (III) ოქსიდი (მწვანე), წყალი და აზოტი.

ლამარა გორჯოლამი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

რომ გაისმა მუხრუჭების ხრჭილი. უკანა მანქანა ისე ძლიერად შეეხეთა მოულოდნელად გაჩერებულ წინა მანქანას, რომ ერთმანეთში შეიჭყლიტნენ.

ჩაქრა სინათლეები. შარაგზაზე კვლავ წყვილია ჩამოწვა.

კურდღელი კი იდგა და მოთმინებით ელოდა სასიკვდილო განაჩენს. ამ დროს ოჩოპინტრეს ჩურჩული მოესმა:

— ჩქარა, გაიქეცი!

მეისვე მოცოცხა დედაკურდღელმა. წინ გაქცეული ბაჭიები შეეგებნენ დედას და გახარებულებმა მოკურცხლეს თავიანთი ბუძგურისაკენ...

ორი „ჟიგულის“ შეკეთება პატრონებს ახალი „ჟიგულის“ ფასი დაუჯდათ...

ჩვენს დროში მანქანებით ნადირობა ძალიან გავრცელდა. თუ ასე გაგრძელდა, ნადირი თითზე ჩამოსათვლელია დარჩება და ადამიანიცა და ავტომობილიც არაერთი შეეწირება ამ უკუღმართობას.

ვთქვით, რომ არა ვართ ისეთნი, როგორც დიდ ილიას უნდოდა ვყო-

ფილიყავით. ზოგიერთი უგუნური ადამიანი ჩვენი სიცოცხლის სუფთა, ანკარა წყაროს ამღვრევს და აბინძურებს, ცხოვრების მექანიზმს ფუკავს და შლის.

ეს მოთხრობა-ზღაპარი დიდი მგონის, ვაჟას სიტყვებით მინდა დავასრულო:

„შენ კი, ადამიანო!.. თვალებდასისხლიანებული გადაციცებით და-

მეძებ მე და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათას სხვას... იარალი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გვკრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს...

...ოჰ, ადამიანებო!.. არა გრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა გრძნობთ თქვენის შეუბრალებლის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება“.





**ილია ბენედიქტი**

მხატვარი  
იოსებ სამსონაძე

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა. არც დედა ჰყავდათ, არც მამა. მშობლებიდან მცირე ქონება დარჩენილათ, მაგრამ ერთმანეთში როგორ გაეყოთ, არ იცოდნენ. კარგა ხნის ფიქრის მერე გადაწყვიტეს, მეფესთან წასულიყვნენ და დახმარება ეთხოვათ.

მართლაც, აღარ დაუყოვნებიათ და გაემზადნენ კიდევ მეფესთან წასასვლელად. ყველაზე ადრე უფროსი ძმა დაადგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, წინ ერთი ღარიბი კაცი შემოხვდა. კაცმა ჰკითხა:

— გეთაყვა, შემთხვევით ცხენისთვის ხომ არ მოგიკრავს თვალი? ის ერთი ცხენი იყო მთელი ჩემი ავლადილება და ისიც დაშეკარგაო.

— ცალთვალა ხომ არ იყო? — ჰკითხა უფროსმა ძმამ.

— დიახ, ცალთვალა იყოო.  
— აბა, მაშ თვალი არ მომიკრავსო.

ამასობაში მათ შუათანა ძმაც მოუახლოვდათ. ღარიბმა კაცმა იმასაც ჰკითხა, ჩემი ცხენი ხომ არ გინახავსო.

— ნაცრისფერი იყო? — ჰკითხა შუათანამ.

— დიახ.  
— აბა, მაშ არ შემხვედრიაო.

ის იყო და, უმცროსი ძმაც გამოჩნ-

ნდა. ღარიბი კაცი ამასაც დაეკითხა ცხენის ამბავს.

— კოჭლი იყო? — შეეკითხა უმცროსი.

— დიახ.  
— აბა, მაშ არ მინახავსო.

«ეჰ! აქ რაღაც უცნაური ხდება. სამივემ ისეთი პასუხი მომცა, ზუსტად ჩემი ცხენის აღწერილობას რომ შეუფერება და მაინც გაიძახიან, არ გვინახავსო», — გაიფიქრა კაცმა, მაგრამ ხმამაღლა სიტყვაც არ დაუძრავს, მხოლოდ შეეკითხა, გზა საითკენ უჭირათ, რომ ესწავლებინა, უკეთ როგორ ევლოთ. ძმებმა არ დაუშალეს და უთხრეს, რომ მეფესთან მიდიოდნენ ქონების გასაყოფად, რადგან გაეგოთ მისი სამართლიანობის ამბავი.

ღარიბმა კაცმა ძმებს დაასწრო და ვიდრე ისინი მეფის სასახლეს მიუახლოვდებოდნენ, თავად უკვე მეფესთან იყო. მოუყვა კიდევ, თუ რა შეემთხვა და თან სთხოვა, იქამდე არ გაეყო ძმებს შორის ქონება, ვიდრე მის ცხენზე სიმართლეს არ ეტყოდნენ. ამასობაში ძმებიც მოადგნენ სასახლეს და მეფეს თავიანთი სათხოვარი მოახსენეს:

— კეთილი და პატიოსანი! — თქვა მეფემ. — მაგრამ ჯერ ცოტა ხნით შეიცადეთ. აი, ამ ღარიბ კაცს თუ იცნობთ? იცნობთ, არა? — მეფე უფროს ძმას მიუბრუნდა. — მაშ, მითხარი, საიდან იცი, რომ მაგისი ცხენი ცალთვალა იყო?

— თქვენსკენ რომ მოვეშურებოდი, დიდო მეფეო, გზის ორსავე მხარეს

პურის ყანა იყო, რომელიც ცხენს მხოლოდ გზის ცალ პირში უკვდიდობდა. — შიშვეო მეფეს უმცროსმა ძმამ. — შენ საიდანა იცი, რომ ცხენი ნაცრისფერი იყო? — ჰკითხა მეფემ შუათანას.

— მეფეო, ვიდრე თქვენამდე მოვალწევდი, გზაზე რამდენიმე ძუა ვნახე დაგდებული, მაგრამ ზოგი ყავისფერი იყო, ზოგიც თეთრიო.

— შენ საიდანა იცი, რომ ცხენი კოჭლი იყო? — ახლა უმცროს ძმას შეეკითხა მეფე.

— თქვენსკენ გზად მომავალმა ცხენის ნაფეხურებს მივაქციე ყურადღება. ამით დავრწმუნდი, რომ ცხენი მყარად მხოლოდ სამი ფეხით იდგა მიწაზეო, — უპასუხა უმცროსმა.

— კეთილი, — თქვა მეფემ. — აბა, თქვენს საქმეზე გადავიდეთ. მითხარით, შეგიძლიათ თუ არა მამათქვენის პორტრეტის დახატვაო?

— შეგიძლიაო. — ერთხმად მიუგეს ძმებმა.

— აბა, მაშ დახატეთო.  
მეფემ სახატავი ქალაღი მისცა ძმებს და ისინიც პორტრეტის ხატვას შეუდგნენ. როცა პორტრეტი უკვე მზად იყო, მეფემ დამბაჩები ჩამოურიგა სამივე ძმას და უთხრა:

— აბა, ახლა სურათი მიზანში ამოიღეთ და ვინც უკეთ მოარტყამს, მთელი ქონებაც იმისი იქნებაო.

უფროსმა და შუათანა ძმებმა უსიტყვოდ ამოიღეს მიზანში პორტრეტი და ესროლეს კიდევ. უმცროსმა ძმამ კი დამბაჩა გვერდზე მოისროლა.

— შენ რატომ გადააგდე დამბაჩა და არ ესროლეო? — ჰკითხა მეფემ.

— იმიტომ, რომ დამბაჩებს არ ვესვრი.

— კი მაგრამ, ეს ხომ მხოლოდ პორტრეტია!

— სულ ერთია, პორტრეტსაც კი არ ვესვრიო.

— კეთილი ყმაწვალე ჩანხარ, — უთხრა მეფემ. — შენი იყოს მთელი ქონებაო.

მართლაც, კეთილი ბიჭი იყო უმცროსი ძმა, რადგან თავად კი არ მიუთვისებია მთელი ქონება, არამედ თავ-თავისი წილი ორივე ძმასაც პატიოსნად არგუნა.

# თქონს მღვანე წვერსნი ჩიტი

ერთი მაღალი მთის მწვერვალზე ამოსულ ხეზე ჩიტს ბუდე ჰქონდა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ ის ჩიტი ყოველდღე ოქროს კვერცხს დებდა.

ერთხელაც ჩიტი სადღაც გაფრინდა. სწორედ ამ დროს შორიასლოს ერთი მონადირე დაეხეტებოდა. ღვთის ანაბარად დატოვებული ბუდე რომ დაიგულა, ხეზე აცოცდა და გაოცებისაგან გაშეშდა — ბუდეში ოქროს კვერცხი იდო.

„კაცი დავბერდი და ოქროს კვერცხისმდებელი ჩიტი არ მინახავს. დავიჭერ, შინ წავიყვან და ყოველდღე ოქროს კვერცხი მექნებაო“, — გაიფიქრა მონადირემ.

სასწრაფოდ ბუდეში მახე დააგო, მერე ხიდან ჩამოვიდა და, იქვე დამალული, ჩიტის მოფრენას დაელო-



და. მალე ჩიტიც მოფრინდა და მახეში გაება კიდევ, რადგან სულელს აზრად არ მოსვლია, რომ მის არყოფნაში შეიძლებოდა ვინმეს მისთვის მახე დაეგო. მონადირემ ჩიტს ხელი დაავლო და სახლამდე შეუსვენებლად იარა. მაგრამ როცა სახლს მიუახლოვდა, შეფიქრიანდა: „ეჰ, რა ტყუილად წამოვიყვანე ეს ჩიტი! მეზობლები შეამჩნევენ, შესურდებათ ჩემი და მეფესთან დამაბუზღებენ. მეფე კი, რაღა თქმა უნდა, ჩამომასწრობს. უმჯობესია, ისევ მას ვაჩუქო“...

ასეც მოიქცა. სულელმა მონადირემ ჩიტი მეფეს აჩუქა. მეფემ იმ წამსვე გალიაში ჩაამწყვდევინა ჩიტუნა და ბრძანა, სასმელ-საჭმელი არ დაეკლოთ მისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი ოქროს კვერცხი დაედო — მეფეს სომ არაერთი მევალე მეფე ჰყავდა!

ის იყო, ჩიტი გალიაში ჩაამწყვდევინეს, რომ დარბაზთუხუცესმა სიჩუმე დაარღვია და თქვა:

— თქვენო უდიდებულესოებო, ვერ გამიგია, რისთვის გინდათ, ამ ჩიტს გალიაში რომ ამწყვდევთ? გსნა გჯერათ, რომ მართლა ოქროს კვერცხისმდებელი ჩიტია? უმჯობესი იქნება, თუ თავის ნებაზე გაუშვებთო.

მეფემ ისმინა დარბაზთუხუცესის რჩევა და ჩიტი გალიიდან გაუშვა. სიხარულით აღფრთოვანებული ჩიტი, ვიდრე გაფრინდებოდა, სასახლის გალავნის თავზე შემოჯდა, ოქროს კვერცხი გადმოუგდო დაბლა მყოფთ და თან ჩამოსძახა:

— ჯერ იყო და, მე გავსულელდი, მახეში რომ გავები, მერე — მონადირე, ჩემი თავი მეფეს რომ უძღვნა, და მერე — მეფე, თავის სულელ დარბაზთუხუცესს რომ დაუჯერა. ყველანი სულელები გამოვდექით. მაგრამ ამის მერე კი ნამდვილად ვეცდები, რომ აღარ გავსულელდო!

გახარებულმა ერთი შეიფრთხილა და ისევ თავისი ბუდისკენ გაფრინდა. ჩიტი თავისი ბუდისაკენ რომ არ გაფრენილიყო, ჩვენს ზღაპარსაც სომ აქ ვერ დავამთავრებდით?!

უნგრულიდან თარგმნა  
ჰანო იმბალიოვილა

# გამორჩენილი ჯიბლიკითა

პირველი აღმოჩენა

ყველა დროს გამორჩენილი გერმანელი მათემატიკოსი, აბრაჰამი და ფიზიკოსი კარლ ფრიდრიხ გაუსი სამი წლისა იყო, უკვე ანგარიში რომ იცოდა. ერთ საღამოს მამამისმა რეგორც ათისთავმა, კალატოვნის ხელფასი გამოიანგარიშა და დადოლს მაგიდასთან ჩაებინა. პატარა კარლ ფრიდრიხ გაუსმა, რომელიც გერდიოთ ექდა და ანგარიშს თვალს ადევნებდა, აიღო რიცხვებით შევსებული ქაღალდი, თვითონაც აანგარიშა და შეცდომა აღმოაჩინა.

— მამა, მამა, — წამოიძახა უცებ, — აქ შენს ნაანგარიშეში ბუთი უნდა იყოს და არა სამი.

შემართლმა კარლ ფრიდრიხმა თვლები გამოახილა. სასწრაფოდ იანგარიშა და ნახა, რომ შეცდომა დაეშვა. მან ქაბიდან ერთი მელტო ამოიღო და თავის პატარა ბიჭუნას კანფეტის საფიდლად მისცა. ბიჭუნამ ეს ფული არ დახარჯა, შემოინახა და როცა უკვე საქვეყნოდ ცნობილი პირივნება გახდა, მამინაც კი თან დაჰქონდა, რეგორც პირველი აღმოჩენის სახსოვარი.

უფრაკოდ შესვლა  
პარძალუღია

ბუდაპეშტში ჩასული გამორჩენილი გერმანელი ფიზიკოსი, კვანტური თეორიის ფუძემდებელი მაქს პლანკი საზეიმო საღამოზე მიიწვიეს — ერთმა უნგრელმა არისტოკრატმა საგანგებოდ მის პატივსაცემად გამოართო მექლისი.

მაქს პლანკს თან ფრაკი არ ჰქონდა და ჰეულებრივი კოსტიუმით მივიდა. მაგრამ მსახურმა არ შეუშვა.

პლანკი უხიბველად გამოტრიალდა. — იმ მსახურის წყალობით ცოტათოდნო დრო მაინც დამჩნა ბუდაპეშტის დასთვალთერებლად — იგონებდა შემდეგ დიდი მეცნიერი.

პატენტბი

რობერტ კოხთან ერთი დიდი ფირმის წარმომადგენელი მივიდა და შეხთავა.

— დიდად პატენციმულო ხატონო პროფესორო, გვსურს შევიძინოთ პატენტი ოქვინი ხხივებისათვის.

— პატენტი რა საქროალ მე ხხივები კი არ გამოვიგონე, არამედ აღმოვაჩინე და ისინი უკელას ეკუთვნის. ვისაც კი სჭირდება.

გერმანულიდან თარგმნა  
შ. ამირანაშვილი

აპრილი 1988 წლის  
№ 4-ში დასრულ  
კითხვაზე




# ატენის სიონი

ატენის სიონი მდებარეობს გორიდან 10 კმ-ზე, ატენის ხეობაში, სოფელ ზემო ატენთან, მდინარე ტანას მარცხენა ნაპირზე. ატენის ხეობა უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები. იბერიის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ იგი შედიოდა სპასკეტის საგამგებლოში, რომლის ცენტრი, როგორც ჩანს, დეციხე იყო. ხეობაზე გადიოდა მაგისტრალური გზა, რომელიც ჭავჭავაძისა და ზემო ქართლს შიდა ქართლთან აკავშირებდა, ამიტომაც

ატენის ხეობა ადრეულ ეპოქაშიაც მჭიდროდ იყო დასახლებული. ამან განაპირობა აქ ციხეებისა და ეკლესიების ინტენსიური მშენებლობა. ხეობაში მრავალი საყურადღებო და ძალზე მნიშვნელოვანი ძეგლია, მათგან ყველაზე მთავარია ატენის სიონი. აქვეა ატენის ციხეც — მეფეთა რეზიდენცია. X საუკუნის ბოლოს ატენის ხეობა ბაღვაშთა მფლობელობაში შედის, XI საუკუნეში კი ხეობა ისევ სამეფო ხელისუფლების ხელშია. ამ დროს აქ აშენდა ქალაქი ატენი, რომელსაც მეფის მიერ დანიშნული მოურავი განაგებდა. XII საუკუნეში ატენის ხეობაში იყო მეფეთა საკურქლე. მოგვიანებით ხეობა სათავადოებმა დაინაწილეს და ქართლის მეფეების გარდა აქ მიწებს ფლობდნენ ციციშვილები, სააკაძეები და გლურჯიძეები. ქალაქი ატენი აშენდა მეფე ბაგრატ IV-ის დროს, XI საუკუნის შუა წლებში. ქალაქსა და აქ გამავალ გზას იცავდნენ ატენისა და ვერის ციხეები და დეციხე. XIII—XVII საუკუნეებში ატენი კვლავ ძლიერი და ხალხმრავალი ქალაქია, XVIII საუკუნეში კი დაკნინდა და სოფლად გადაიქცა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს ატენის სიონზე: „ამის დასავლით არს ხეობა ატენის მდინარისა. ტანა გამოდის ჭამჭამს და საცხენისის მთას, დრის ხევამდე დის აღმოსავლით, მერმე ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამხრიდან...“

ამის ზეით ატენი, მცირე ქალაქი. მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს ციხე მალალს კლდესა ზედა, ნაშენი დიდ... ატენის სამხრით არს მონასტერი სიონი, გუმბათიანი, კეთილნაშენი, და აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოსს ახტალის მაგიერ...“  
ატენის სიონი აგებულია VII საუკუნის პირველ ნახევარში, მცხეთის ჭვრის შემდეგ. იგი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, იმეორებს მცხეთის ჭვრის არქიტექტურულ გეგმასა და ფორმებს, თუმცა შეცვლილია პროპორციები. ტაძრის გეგმის საფუძველია ჭვარი, რომლის აფსიდებიან დაბოლოებებს შორის მოთავსებულია ოთხი საკანი. ჭვრის მკლავების გადაშვეთ ცენტრალურ სივრცეზე აღმართულია გუმბათი. კვადრატულ გუმბათის წრეზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების საშუალებით. გუმბათი ეურდნობა კედლის შვერილებს. ტაძარი შიგნიდან კარგად გათლილი კვითაა მოპირკეთებული, რომელიც გვიან შელესეს და მოხატეს. მასიური გუმბათი შედგენილია სარკმლები გამოკვეთილია თითო წახნაგის გამოკლებით. ეკლესია დახურულია ქვის ფილებით (ახლა იგი რესტავირებულია, აქვს ახალი, ქვის სახურავი). ჭვრის მკლავებიც წახნაგოვანია (აქვს ხუთი წახნაგი, ფსალღე ხაში წახნაგი გამოდის). ფსალღე მოპირკეთებულია სხვადასხვა

ფერის კარგად დამუშავებული ქვის ფილებით. შექმულია რელიეფური გამოსახულებებით. ტაძარში შესასვლელი გამოკრილია ჩრდილოეთიდან. სამხრეთის მხარე კლდეზეა გადამდგარი და ახლოდან არ აღიქმება. რელიეფი განსაკუთრებით ბევრია ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფსალღე, რადგანაც ეს ფსალღეები ყველაზე თვალსაჩინოა მნახველისათვის. ეზოში ჩასული მნახველი ეკლესიას (უპირველესად დასავლეთის ფსალღით აღიქვამს. დანარჩენ ფსალღებს შორი ხედი არც აქვთ. ეკლესია ვიწრო ხეობაშია ჩაკედილი და ამიტომ არის, რომ ფსალღების აღქმა კირს. სარკმელთა საპირები ორნამენტირებულია. ატენის სიონის კედლებზე გამოსახული რელიეფური კომპოზიციები ორგანულად არ ნაწილდება სიბრტყეზე. მათი სტილისტური ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი სხვადასხვა დროს არის შექმნილი. ნაწილი ტაძრის აშენების თანადროულია. უმეტესობა კი XI საუკუნის მეორე ნახევარშია შესრულებული და სომხურ რელიეფებს ემსგავსება. მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ ატენის სიონის მშენებელი ჭურთმოდგარი არის სომეხი თოდოსაკი. უკანასკნელ ხანებში ატენის სიონის შესწავლაზე ინტენსიურად მუშაობს ხელოვნების ისტორიკოსი გ. აბრამიშვილი. მისი აზრით, ატენის სიონის მშენებელი თოდოსა-



# ფოტოგრაფია კაინტერესები

მაშ ასე — თქვენ უკვე გახარჯეთ მთელი ფირი, გადაიღეთ სურათები და ახლა ერთი სული გაქვთ, ნახოთ, რა გამოვიდა, ამისთვის კი ფირს და-

მუშავება სჭირდება. ფოტოფირის შუქმგრძობიარე ფენაში მისი ექსპონირების დროს შექმნილი ფარული გამოსახულების ხილულში გადატანას ნეგატიური პროცესი ეწოდება. იგი შედგება ფოტოფირის გამულავების, დაფიქსირების, გვლებებისა და გაშრობისაგან.

ვიღრე უშუალოდ ფირის დამუშავებას შეუდგებით, დაამზადეთ საჭირო ხსნარები. დამწყები ფოტომაყვარულისათვის ხელსაყრელია მზა შემადგენლობის გამოყენება, ჩვენს მაღაზიებში იყიდება სხვადასხვა სახის გამამულავებელი და მაფიქსირებელი შემადგენ-

ლობები (დაფასობული ან აბები), მათ რიცხვს მიეკუთვნება სტანდარტული გამამულავებელი № 1 ფოტოქალაღების გამოსამულავებლად, სტანდარტული გამამულავებელი № 2 ფოტოფირის გამოსამულავებლად და მუავა ფიქსაფი. შემადგენლობას თანახლავს მცირე ინსტრუქცია — მისი მარკა. დანიშნულება, ხსნარის მოცულობა, რა რაოდენობის ფოტომასალა შეიღება დამუშავდეს ამ მოცულობით, მასალების დამუშა-

# იონოს

## თუ კა უნს

### ქომახიან მხაჯან?

გაკვეთავთ, მოგვჩვენეთ,  
რა არის ამ ფომოზე  
აღმავდელი და რა იცით  
მის შესახებ


ქი არ არის, იგი რესტავრატორია და რელიეფების გარკვეული ნაწილი XI საუკუნეში სწორედ მას შეუსრულებია მეორე ოსტატ, სომეხ გრიგოლთან ერთად. ატენის სიონში გ. აბრამიშვილმა ჩაატარა არქეოლოგიური გათხრა, რის შემდეგ დაამტკიცა, რომ ადრე, სანამ ატენის ტაძარს ააგებდნენ, აქ იყო უფრო პატარა ძეგლი და შემდეგ, ე. ი. VII საუკუნეში, ამ ძეგლის საფუძველზე ააშენეს დღეს აქ არსებული ეკლესია.

ატენის სიონში დაცულია რამდენიმე შეტად საინტერესო ისტორიული ხასიათის წარწერა, რომლებიც უკანას-

კნელ ხანებში გამოამწეურეს და შეისწავლეს. მათი მნიშვნელობა განუზომელია. სამ საკითხთან დაკავშირებით გამოიკა გ. აბრამიშვილისა და ზ. ალექსიძის მონოგრაფიები.

აღმოსავლეთის კედლის ერთ-ერთ რელიეფზე გამოსახულია ქტიტორის რელიეფი ტაძრით ხელში. წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ ტაძარი აგებულია ერისთავ სტეფანოზ II-ის მმართველობის დროს. რელიეფების სტილისტური ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ისინი ჭკუფებულად დავყოთ. ზოგი მათგანი, ქვაზე ქრის მანერით და ფიგურების გადმოცემის სტილით, სომხური ხელოვნების ძეგლებთან ამუღვენებს მსგავსებას, ზოგი კი, მაგალითად, ტაძრის უველაზე საინტერესო და მხატვრულად მაღალ დონეზე შესრულებული ორი ირმის გამოსახულება ჩრდილოეთის კარის თავზე, ქართველი ოსტატის შესრულებულია. ქართულია ნადირობის სცენის რელიეფიც დასავლეთის კედელზე.

X—XI საუკუნეებში ატენის ტაძრის კედლები მთლიანად მოხატა რელიგიურ სიუჟეტებზე შექმნილი ფრესკებით და ქართველი მეფეებისა და ადგილობრივი ფეოდალების გამოსახულებებით. ფიგურათა ზუსტი და ფაქიზი მოდელირება, პროპორციები, არტიტულობა, რიტმი და დინამიკა, მთლიანი და



შეკრული კომპოზიციები, წერის თავისუფალი მანერა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე. ატენის სიონის კედლის მხატვრობა ეროვნული ფერწერის უდიდესი ნაწარმოებია, რომლის მნიშვნელობა ქართული კედლის მხატვრობის ისტორიისათვის განუზომელია. მსგავსი მხატვრული ღირებულების

მქონე ნამუშევრები იშვიათია. აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი ატენის სიონის კედლის მხატვრობას 904-906 წლებით ათარიღებს, რენე შმერლინგი და თეიმურაზ ბარნაველი 1072-1080 წლებით. შემდგომში კვლევა ალბათ დააზუსტებს ამ თარიღს.

ამირან ჩხარტიშვილი

ვების ხანგრძლიობა 20°C დროს. მშრალი სახით შემადგენლობები ორ წელიწადს ინახება.


გამამუღვენებელი და დამამგრებელი ხსნარების დასამზადებელი ძირითადი გამხსნელია ჩვეულებრივი წყალი, ოღონდ აუცილებლად სუფთა. ხსნარის დასამზადებლად აიღეთ რეცეპტში მითითებული წყლის მოცულობის დაახლოებით 3/4, ქიმიკატები აუცილებლად ინსტრუქციაში მითითებული თანმიმდევრობით გახსენით. უო-

ველი ნივთიერება მხოლოდ წინა ნივთიერების სრული გახსნის შემდეგ უნდა ჩაიყაროს, ამასთან ჩაყარეთ ცოტ-ცოტა და თან ურიეთ. მზა ხსნარი გააჩერეთ არანაკლებ 10-12 საათისა, გაფილტვრეთ და ჩაასხით მუქი მინის ბოთლსა ან ქილაში და ჰერმეტიკული საცობით ან ხუფით დახურეთ. ამასთან სასურველია, საცობს თუ ხუფს ქვეშ რაც შეიძლება ნაკლები დარჩეს სითხით შეუვსებელი სივრცე. ხსნარიანი ჭურჭელი შეინახეთ სიბნელეში. კარგი

იქნება, თუ ყველა ხსნარიან ბოთლსა თუ ქილას სათანადო წარწერიან იარაღის მიაკრავთ. რომელზეც მიუთითებთ ხსნარის დანიშნულებას და დაშვადების დროს. თუ რეკომენდებულია გამამუღვენებლის 1:1 შეფარდებით გახსნა, ეს იმას ნიშნავს, რომ გამამუღვენებლის 1 მოცულობას უნდა დაემატოს ამდენივე წყალი, თუ მოცემულია შეფარდება 1:2, წყალი ორჯერ მეტი უნდა დაუმატოთ, ხოლო თუ 2:1 — ორჯერ ნაკლები.

ქიმიკატებით მუშაობისას უნდა იხმაროთ პლასტმასის ან უფანგავი ფოლადის კოვზები ან პატარა ნიჩბები.

ექსპონირებულ ნეგატიურ ფოტოფირებს ამუშავებენ ავ-ში, რომელსაც თანამიმდევრულად ავსებენ ხსნარებითა და წყლით. თითოეულ ხსნარში დამუშავების ხანგრძლივობა ზუსტად იქნება დაცული, თუ სხვადასხვა ხსნარით სავსე რამდენიმე ავ-ით ისარგებლებთ და ფოტოფირიან კოქს ერთი ავ-იდან მეორეში გადა-



1. გასამუდგენებელი ავზი; 2. ლაბორატორიული ფარანი; 3. თერმომეტრი ხსნარებისათვის; 4. ქილა; 5. ბოთლი; 6. ძაბრი; 7. პინცეტი; 8. მომპერი; 9. სარეველა; 10. კასეტებისა და ფოტოავზის დასამუხტი ტომსიკა; 11. საათი; 12. აბაზანები; 13. ლუბა ნეგატივებისა და დიაპოზიტოვების გასასინჯად; 14. კადრების დამდგენი ჩარჩო; 15. ფოტოგამაღიდებელი.

იტანო. ამ შემთხვევაში დამუშავების ყველა ეტაპი გავლებამდე სრულ სიბნელეში უნდა შეასრულოთ.

საიმედოობისათვის სასინჯად იხმარეთ გაფუჭებული ფოტოფირი, ფირის კოჭზე დახვევაში ისე გაიწაფეთ, რომ ემულსიურ ფენას არ შეეხოთ (ემულსიური მხარე შიგნით, კოჭის ღერძისკენ უნდა მოექცეს). ხუფთი დახურულ ავზში ხსნარები შეგიძლიათ ჩვეულებრივ სინათლეზე ჩაასხათ, ოღონდ მაინცდამაინც ნუ მიუშარკვებთ სინათლის წყაროს.

საზოგადოდ, როცა წყლისა და ხსნარების ტემპერატურა 18-20°C-ია, ნეგატიური პროცესი შემდეგი რეჟიმით მიმდინარეობს:

გამუდგენება — ამ ოპერაციის ხანგრძლიობა ფოტოფირის საფუთავზეა მითითებული; გავლება სტოპ-ხსნარსა ან სუფთა წყალში — დაახლოებით 1 წთ;

ფიქსირება — 12-15 წთ; გავლება — გამდინარე წყალში — 12-15 წთ; ავზში — 20 წთ, ყოველ 8-12 წთ-ში წყლის ცვლით;

დამუშავების მთელი ეს ხანი ფოტოფირიანი კოჭი ნელ-ნელა უნდა ატრიალოთ, მაშინ გამოსახულება უფრო კონტრასტული გამოვა.

გასაშრობად ფოტოფირი ისეთ ადგილას უნდა ჩამოიკიდოს, რომ ახლომხალს არ იყოს სითბოს წყარო ან გამჭოლი ქარი, არ ეცემოდეს მზის

პირდაპირი სხივები; ზედა ბოლოს საიმედოდ რომ დაამაგრებოთ, ფირი ფრთხილად დაიქნეთ, ასე მას მხოლოდ მსხვილ წვეთებს მოაცილებთ, ხოლო თუ კარგად გაწურულ დოლბანდს გაუსვამთ, წვრილ წვეთებსაც მოსპობთ. ნორმალურ პირობებში ფოტოფირი ორ საათში გაშრება, როგორც კი ფირი გაშრება, დაახვიეთ იგი, ისე, რომ ემულსია გარედან მოქცეს, რეზინის რგოლი გადაუჭირეთ და ასე შეინახეთ დაახლოებით ერთი დღე-ღამე. ამის შემდეგ შეგიძლიათ გაშალოთ ფირი, დაათვალიეროთ მიღებული ნეგატივები და კადრებადაც დაჭრათ (4-5 კადრი ერთად), კარგი იქნება, თუ დაჭრილ ნეგატივებს პოლიეთილენის, კალკის ან პაპიროსის ქაღალდისაგან დამზადებულ პაკეტებში შეინახავთ.

გამუდგენების შემდეგ ხდება ნეგატიური გამოსახულების დამაგრება (ფიქსირება). გამამუდგენების მაფიქსირებელ ხსნარში გადატანის თავიდან ასაცილებლად ფოტოფირებს წინასწარ წყალში ან სტოპ-ხსნარში ავლებენ (ძმრის მჟავას 8-5%-იანი ხსნარი). იგი უმალ სპობს გამამუდგენების მოქმედებას.

ფიქსირება ორ სტადიად მიმდინარეობს. ჭერ ხდება გაბაცება. ეს შეიმჩნევა გამოსახულების ნაკლებ განათებულ მონაკვეთებზე თეთრი ფერის გაქრობის მიხედვით, პროცესი 5-7-წთ. გრძელდება. ამის შემდეგ კიდევ 5-7 წუთის განმავლობაში მთავრდება ემულსიურ ფენაში ხსნადი მარილების შექმნის პროცესი. პირველი პროცესი სიბნელეში უნდა მიმდინარეობდეს, მეორისთვის დასაშვებია მკრთალი განათება. მაშინვე იწყება ვერცხლის მალოგენილების გახსნა და მათი ხსნარში გადასვლა. ფიქსირების პროცესის დამთავრების შემდეგ ემულსიური ფენა ფიქსაციის ხსნარით გაჭერებული აღმოჩნდება და მისი მოცილება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება გოგირდის გამოყოფა, გამოსახულება უკვიფერი ლაქებით და-

ფარება და ნაწილობრივ დაზიანება.

თუ ფიქსაციი ერთხელ უკვე იხმარეთ, განმეორებით ხმარების წინ უნდა შეამოწმოთ მისი აქტიურობა და ფოტოფირის დაფიქსირებისთვის საჭირო დროის ხანგრძლივობა. ამისათვის ისევ და ისევ ნახმარი ფოტოფირი გამოიყენეთ. ჩაუშვით იგი ფიქსაციურ და განსაზღვრეთ დროის შუალელი, რომლის განმავლობაშიც ფირი სრულიად გაბაცდება და გამკვირვალე გახდება. სრული ფიქსირებისათვის ეს დრო ორჯერ უნდა გაზარდოთ. მაგრამ ამასთან არც ის დაგვიწყდეთ, რომ ფიქსაციის ლითონის, ვერცხლის გახსნაც შეუძლია და, ამდენად, თუ ფოტომასალები ზედმეტად დაყოვნებთ მაფიქსირებელ ხსნარში, შეიძლება გამოისახულების უმცირესი ნახევრადგამკვირვალე დეტალები გაქრეს.

ფოტოფირის დამუშავება მისი წყალში გავლებით მთავრდება. თუ ფირს გამდინარე წყალში ავლებთ, დაჭირდებათ 10-12 წთ, ხოლო თუ ავზში — 20 წუთი, ამასთან წყალი ყოველ 3-4 წუთში უნდა ცვალეთ.

ახლა შეგიძლია ბექვანზე გადავიდეთ. ფოტობექვანა ხდება ფოტოქაღალდეზე. პოზიტიური გამოსახულების მისაღებად არსებობს ფოტობექვანის ორი სახე: კონტაქტური და პროექციული.

კონტაქტური ფოტობექვანის ქაღალდეზე ნეგატივს დებენ და დაანათებენ. ანაბექვი ასეთ შემთხვევაში იმ ზომისა მიიღება, როგორც ნეგატივი. პროექციული ფოტობექვანა წარმოადგენს ფოტოგამაღიდებლის საშუალებით ფოტოქაღალდეზე ნეგატიური გამოსახულების პროექტირებას, ასეთ ხერხს თუ გამოიყენებთ, შეგიძლიათ ნეგატივზე ათჯერ დიდი ანაბექვი მიიღოთ.

ვიდრე ბექვანს შეუდგებით, ნეგატივის კონტრასტულობის, ოპტიკური თავისებურებებისა და გამოსახული ობიექტის (სიუბეტივის) ხასიათის გათვალისწინებით გულდასმით შეარჩიეთ ფოტოქაღალდი.



მუსიკა

## ნიკოლოზ გირგვლიანისა

ბლოკფორმებისა და ფორტეპიანოსათვის

### მკირვასო ბავშვებო!

ამჟერად გთავაზობთ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის VIII კლასის მოსწავლის ნიკოლოზ გირგვლიანის საკომპოზიციო ნამუშევარს.

ნიკოლოზი გულმოდგინედ ეუფლება მუსიკის საშემსრულებლო და საკომპოზიციო დარგებს, თანაბარი დატვირთვით მცადინეობს ფაგოტის, ბლოკფლიეტის, ვიოლინოსა და ფორტეპიანოს კლასებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნიკოლოზი წევრია ბიჭუნათა ცნობილ ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვისი“ (ხელმძღვანელი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ერკომაიშვილი); ხალხური სიმღერის გაცნობა და შესწავლა უაღრესად უფითარებს მას მუსიკალურ გემოვნებას.

კომპოზიციისადმი მიდრეკილება ნიკოლოზ გირგვლიანმა უმცროსი კლასებიდანვე გამოიჩინა. მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია სახასიათო პიესების ციკლი ბლოკფლიეტისა და ფორტეპიანოსათვის. ბლოკფლიეტა სალამურის ნაირსახეობაა. მისი ულამაზესი და ნატიფი უღერადობა ჩიტის გალობას მოგვაგონებს. „მზიარული ვალსიც“, რომელიც ამ ინსტრუმენტისთვის დაიწერა, ზედმიწევნით ლამაზად უღერს.

კომპოზიტორი

### ალექსი შანიძე

Tempo di Valse





განყოფილებას  
ხელმძღვანელობს  
შოთა ინჰარიშვილი

**ნორჩ**  
**მოხალჩაკეთა**  
**შემოქმედება**

1987 წელი, დეკემბერი. თბილისის ვაჟთა ჩემპიონატი (ნახევარფინალში გათამაშებული კვარაცხელია-მიქაელიანის პარტია დაიბეჭდა „პიონერის“ ანა წლის №2-ში), თერთმეტი მე-2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი, 12 წლის ბეჟა თეიმურაზის ძე კვარაცხელია.

**კვარაცხელია — ხოფერია.** ფრანგული დაცვა. 1. e4 e6 2. d4 d5 3. მც3 კბ4 4. e5 მე7 5. ა3 კ:ც3 6. bc c5 7. ლგ4 0—0 8. მფ3 მხც8 9. კძ3 f5 10. ef ე:ფ6 11. მგ5 (ახალი ვაგრძელება. აღრე თანაშობდნენ 11. კგ5 ეფ7 12. ე:ე7 ე:ე7 13. ლh4 h6 14. 0—0 c4 15. კგ6 კდ7 16. ეფ1 ეე8 17. კ:ე8! ე:ე8 18. ლh3 ლდ6! 19. ეე2 ეე7 20. მh4 ეაე8= პრზიბილ — ლუტტიანი. ერეკანი, 1982). 11. ...მფ5 12. ლh5 h6 13. გ4! c4 14. კე2 hg? (შეცდომა, გამოწვეული პოზიციის მცდარი შეფასებით. საჭირო იყო 14. ...მძ6) 15. გფ ე:ფ5 16. კგ4 ეფ8 17. h4! (როცა ხოფერია მეთოთხმეტე სვლას აკეთებდა, ეტყობა, ეს სვლა არ გაითვალისწინა ან სათანადოდ არ შეაფასა) 17. ლე8 18. ლ:გ5 e5 19. კh5 ლდ6 20. ეე1 ლ:ფ6 (თუ 20. ...ედ, მანინ 21. ეე3!) 21. ლ:ფ6 ე:ფ6 22. კგ5 ეე6 23. 0—0! e4?! (შესაძლოა, სჯობდა 23. ...cd, მაგრამ შავებს სურთ დაფარონ d5 პუნქტი. შემდეგი სვლით კვარაცხელია ხელშესახებს

ხდის d5-ს) 24. f3! ef 25. კ:ფ3 (პოზიცია გაირკვა. შავების მდგომარეობა სტრატეგიულად წაგებულია) 25. ...ეძ6 26. კფ4 ედ8 27. კh6! (ბეჟა ოსტატურად წარმართავს ბრძოლას. იგი მეტოქეს არათუ კორინირების, არამედ ნორმალური განვითარების შესაძლებლობასაც არ აძლევს) 27. ...ეძ7 28. ედე1 მფh7 29. კგ5 ხ6 30. ეე8 კბ7 31. ე:ა8 კ:ა8 32. ეე1 კბ7 34. ეე8! მფგ6 35. ეფ1! მფh7 36. h5 გ6 37. h6 მეფის ფრთაზე ძალთა უპირატესობა და კორინირება მიღწეულია. ნოფერია დაანებდა. მუქარაა კგ4—e6—ეფ8 და კფX.

1988 წელი, თებერვალი. თბილისის ჰაბუკთა ჩემპიონატი. **ჩანგოზეგოვი — კვარაცხელია.** ძველინდური დასაწყისი.

1. მფ3 d5 2. გ3 c6 3. კგ2 მფ6 0—0 კფ5 5. d3 e6 6. მბd2 კე7 7. ლe1 h6 8. ხ3 0—0 9. კბ2 მბd7 10. e4 კგ6 (ჯობდა 10. ...კh7) 11. e5 (თერთმეტი ცენტრში მდგომარეობას არკვევენ. ახლა ბრძოლა გადაინაცვლებს ფლანგებზე) 11. ...მე8 12. h4 (არასწორი გეგმა) 12. ...ეც8 13. ლე2 მც7 14. კh3 მა6 15. ა3 ხ5 16. ეად1 ლხ6 17. გ4 c5.

ორივე მხარემ მოაშხადა იერიში: თერთმეტი მეფის, ხოლო შავებმა — ლაზიერის ფრთაზე. როგორც შემდეგ გამოიკვევა (იგრძნობა კიდევ), შავებს იერიშის წარმართვის უკეთესი შესაძლებლობა აქვთ. 18. გ5 hg 19. hg c4 20. კდ4 cd 21. cd კც5 22. კბ2 ხ4! (შავები c5 უჯრაზე აშხადებენ სადგომს თავისი მხედრისათვის) 23. ა4 კე7 (იბუქრება 23. ...მეა5) 24. d4? (გადამწყვეტი შეცდომა. სჯობდა 24. მh4, რათა თერთმეტი თავიდან მოცილონ შავების თერთუჯრედოვანი კუ) 24. ...ეც2 (მართალია, თერთმეტი შავ მხედარს წაართვის c5 უჯრა, მაგრამ ახლა გ6 კუ და c2 ეტლის მეშვეობით შავები მაინც აღწევენ დიდ უპირატესობას) 25. კა1 ეც3! 26. კ:ც3?! (უმჯობესი იყო 26. ეფ1, თუმცა 26. ეფ8 შემდეგ თერთმეტი პოზიცია მაინც მძინეა, რადგან არ ვარგა 27. კ:ც3 ხc 28. მფ1 c2 29. ეც1 მბ4 და

შავი ძალები საგრძნობლად აქტიურდებიან) 26. ...bc 27. მh4 cd 28. მ:გ6 fg 29. ე:დ2 მბ4 30. ლგ4? (ახლა თეთრი მეფის საფარი კიდევ უფრო სუსტდება) 30. ...ეფ5 31. f4 მც6 32. ლd1 მ:დ4 33. მფh1 კც5 34. ა5 ლხ4 35. კ:ფ5 მ:ფ5 (აქ სამი მსუბუქი ფიგურა, სჯობს ორ ეტლს, რადგან: 1. ძალიან დასუსტებულია თეთრი მეფის საფარი; 2. ეტლები პასიურნი არიან და მეფესთან ერთად შავების აქტიური ძალები შეტევის ობიექტი ხდებიან. შავების პოზიცია სტრატეგიულად მოგებულია) 36. ეფ3 ლე4 (ან პოზიციაში თერთმეტი ცაიტნოტში უხეში შეცდომით დააჩქარეს წაგება) 37. ლე2?? მგ3 და ჩანგოზეგოვი დაანებდა.

შემდეგი პარტია გათამაშდა პირველთაწიგოსნებს შორის სოსხუმში, აფხაზეთის ჰაბუკთა პირად-გუნდურ პირველობაზე. 1986 წელს.

**კიკორია (გალი) — ჩაღენკო (ტყვარჩელი).** სიცილიური დაცვა. 1. e4 c5 2. მფ3 d6 3. d4 cd 4. მ:დ4 მფ6 5. მც3 ა6 6. კე2 კდ7 7. კე3 e6 8. ლდ2 კე7 9. f3 0—0 10. 0—0—0 ეე8 (პოზიციის მოთხოვნას არ შეესატყვისება. საჭირო იყო ლაზიერის ფრთის განვითარება და c ხაზის გამოყენება კონტრთამაშის შესაქმნელად) 11. h4 h5? (პირველთაწიგოსნისთვის მიუტევებელი სტრატეგიული შეცდომა, რითაც მშვენივრად სარგებლობს ბურთაზ კიკორია) 12. გ4 e5 13. მფ5 hg 14. fg კ:ფ5 15. გფ მბd7 16. ედგ1 მფh7 17. h5 ეე8 18. კა4 ლე8 19. ეფ6! მფ8 20. ლე2 მფh8 21. h6! fg 22. hg მფ:გ7 23. კh6 მფh8 24. კ:ფ8 მh7 25. ე:h7! მფ:h7 26. ლh3X.

**ქართული ზარბაქის  
ზარბაქიანი**

**გაიგოლ  
კალანდარიშვილი**

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საქარბაქო ცხოვრება გამოცოცხლდა. 1947 წლის დასაწყისში პირველად ჩატარდა საქართველოს გუნდური პირველობა კა-

ტეზში (გუნდი მდგომარეობდა ხუთი ვაჟისაგან). მატჩები ვერც ტარდებოდა. პირველი, მერვედფინალური მატჩი ჩატარდა ბათუმში 15 და 16 იანვარს, მახარაძისა და აჭარის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვა მახარაძის გუნდმა — 6,5-3,5.

გათავაზობთ პირველ ტურში (15 იანვარს) პირველ დაფაზე გათამაშებული პარტიის საინტერესო დაბოლოებას. თერთმეტი პირველთაწიგოსანი, აჭარის ჩემპიონი პაველ მორჩილაძე, ხოლო შავებით — მეორეთაწიგოსანი, მახარაძის რაიონის უძლიერესი მოქალაქე გრიგოლ კალანდარიშვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი გრიგოლი ფიზიკის მასწავლებელი, ბრწყინვალე პედაგოგია.

**კალანდარიშვილი**



**მორჩილაძე**

მწვავე პოზიციაა. ლია გ ხაზი, შავი მხედრის თეთრი მეფის შორიასლო დგომა, e2 და გ3 პუნქტების კრიტიკულობა და მათი განლაგება „მხედრის სვლაზე“ (ამ მომენტისათვის შავების ძალთა უპირატესობა მეფის ფრთაზე და ლისპარპრონიულობა თერთმეტი განლაგებაში) განაპირობებს ტაქტიკურ ოპერაციას, ეს მისი წინაპირობაა, მოტივებია.

26. ...ეგ3! (ხორციელდება ჩათრევის დეა) 27. ლ:გ3 ეე7 28. ეფ3 (ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ორი ეტლი ლაზიერსა და პაიკში გაიცვალა) 28. ...ხ4! მშვენიერი დაბოლოების დამავიჯრავინებელი აკორდია! მორჩილაძე დაანებდა.

ჩემმა ფიზიკის მასწავლებელმა, ბატონმა გრიგოლმა ორივე შეხვედრაში აჯობა (თანაც ეს პარტიები ყველაზე აღრე



მთავრდებოდა) მეტისმეტად აგრესიულ, აზარტულსა და ფიცს პავლე შორჩილაძეს, რითაც არა მხოლოდ ორი ქულა შესძინა გუნდს, არამედ დადებითი, კეთილისმყოფელი გავლენა იქონია ჩვენზე, გუნდის წევრებზე (სხვათა შორის, გუნდში მე ვიყავი ერთადერთი მოსწავლე).

გრიგოლ კალანდარიშვილი იყო არა მხოლოდ რაიონის უძლიერესი მოჭადრაკე, არამედ ყველა საჭადრაკო ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, მათ შორის — მოსწავლეთა შეჯიბრებებისაც.

შემდეგი პარტია გათამაშდა მახარაძის რაიონის ჭაბუკთა ჩემპიონატში 1947 წლის მარტის არდადეგებზე. ერთმანეთს ხვდებიან მეთერთმეტეკლასელები. ამირან უნგაძემ წარმატებით (ოქროს მედალზე) დაამთავრა ეგნატე ნინოშვილის სახელობის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მოსწავლეობის წლებში თამაშობდა მახარაძის ჭაბუკ ფეხბურთელთა („სიხარული“) და ვაჟთა გუნდების ძირითად შემადგენლობაში.

ინჟინერული — უნააძე.

ლახვიერის გამბიტი: 1. d4 d5 2. c4 e6 3. მც3 c6 4. e3 მფ6 5. f4 მbd7 6. მფ3 კე7 7. კd3 0—0 8. 0—0 b6 9. მე5 კბ7 10. ლე2 c5 11. b3 მე4 (ჯობდა 11...cd 12. ed dc 13. მ:ც4 რთული თამაში) 12. კბ2 f6 13. cd ed 14. მ:ე4 ie.



15. de!! (ორ ძახილის ნიშანს ვსვამ იმ წლების გათვალისწინებით: რაიონში არ იყო ჭადრაკის შემსწავლელი წრე, ფაქტობრივად არ იყო საჭადრაკო ლიტერატურა, არ ტარდებოდა საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატები (ტარდები 1948 წლიდან) და, ცხადია, არც საწვრთნელი შეკრებები, ესე იგი, არ იყო ყოველივე ის, რითაც ასე განებივრებულა თანამედროვე თაობა. როგორც შემდეგი მსვლელობა

გვიჩვენებს. ფიგურის სწორი შეწირვა) 15. ...de 16. კc4 მფh8 17. ლე4 ლე8 18. f5 ეd8 19. ეd1 ა6 20. ე:d7l ე:d7 21. f6 გf 22. ef კ:f6 23. ე:f6 (!) შაგები დანებდნენ.

**ანდრო თომაშვილი**

დაიბადა 1919 წელს თბილისში. მამა ბაზალეთელი (გრიგოლანთქარი) იყო, დედა, ნინო კობლიშვილი, კასპელი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ანდრომ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქიმიის ფაკულტეტზე. იყო ფრიალოსანი სტუდენტი. სტუდენტობის წლებში მოიპოვა თბილისისა და საქართველოს ჩემპიონატებში მონაწილეობის უფლება (იმ დროს ეს ბევრს ნიშნავდა). 1941 წლის ზაფხულში მესამეკურსელი ანდრო თომაშვილი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. დაიღუპა 1943 წლის თებერვალში ჩრდილო კავკასიაში.

ანდრო თომაშვილის საჭადრაკო მემკვიდრეობიდან ხუთი-ოლე პარტიას მივაგენი (ჩვენში საჭადრაკო არქივი ჯერ-

ჯერობით არ არსებობს) და ჯერად გათავაზობთ 1940 წელს გათამაშებულ მწვენიერ მინიატურას.

ა. თომაშვილი — ვ. ქარსელაძე. მეფის გამბიტი: 1. e4 e5 2. f4 (ამ შეწირვის მიზანია e5 პაიკის მოცილებით პაიკთა ცენტრის შექმნა, რაც განვითარებაში უპირატესობასთან (და f ხაზის გახსნის პერსპექტივასთან) ერთად თვთვრებს შეტევის შესაძლებლობას უქმნის) 2. ...ef 3. მფ3 გ5 4. h4 გ4 5. მე5 (ვიზუალიზაციის გამბიტი) 5...კე7 6. კc4 კ:h4 7. მფf1 მh6 8. d4 კგ5 9. ე:h6!f კ:h6 10. ლე4 d5 11. ლh5 კე6 12. ლ:h6 dc 13. d5 კc8 14. კ:f4 მd7 15. კგ5 (ახლა თვალნათლივ ჩანს, რომ შევებმა ბრძოლა წააგეს) 15...f6 16. ლh5 მგე7 17. ლ:f7 მგd6 18. ლე6 მგc5 19. კე3 მფb5 20. მც3 მგa5 21. მ:ც4 მფb4 22. ა3! მგ:c4 23. d6X!

ბავშვებო, გამოგვიგზავნეთ თქვენი საუკეთესო პარტიები და დაბოლოებანი (კომპინაცია; ტაქტიკური დარტყმა) თქვენივე კომენტარებით. თუ ხელი მიგიწვდებათ, მოგაწოდეთ ძველი თაობის მოჭადრაკეთა პარტიები.



**დაიპყრეს კი მოწილანი?**

200 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ევროპის ყველაზე მაღალი მწვერვალი მოწილანი დაიპყრეს ექიმმა მარი-გაბრიელ პაკარმა და ბროლის ნაეთობთა ოსტატმა უაქ ბალმამ.

ამჟამად მოწილანზე ასვლა სიძნელეს უკვე აღარ წარმოადგენს. მსურველები 2886 მეტრის სიმაღლეზე აპყავს ფიწრო რკინიგზას, შემდეგ გამოცილებელს იხინი სასტუმრომდე მიჰყავს, დასასრულ, უკანასკნელი „ნახტომიკ“ და აი... მწვერვალს (4808,4 მ).

ორი საუკუნის განმავლობაში მოწილანი უამრავი რეკორდის მოწმე გახდა.

1955 წელს მასზე ვერტმფრენი დაეშვა. 1975 წელს ერთმა მოთხილამურემ 8 საათი და 10 წუთი მოანდომა მწვერვალთან დაშვებას.

1978 წელს „ევროპის სახურავიდან“ დელტაპლანით გადმოფრინდნენ, 1984 წელს კი ვილოსიპედით ჩამოვიდნენ.

საიუბილეო წლის აღსანიშნავად კი ერთმა იტალიელმა ალპინისტმა მოწილანზე 40 დღე-ღამე დაჰყო.




**ფეხით აღდამიწის გარშემო**




სტოვ ნიუმენი პირველი აღამიანია, რომელმაც 4 წლის განმავლობაში ფეხით შემოუარა დედამიწას და შინ, აშშ-ის შტატ ოჰაიოს ქალაქ ბეტელში დაბრუნდა. ნიუმენმა მოიარა 22 ქვეყანა, განვლო 88600 კილომეტრი, გადადგა 40 მილიონი ნაბიჯი. თავისი ფერმიდან მოგზაური ბოსტონში ფეხით ჩავიდა, იქიდან არლანდიაში გადაფრინდა, გაიარა ევროპის ქვეყნება, ახლო აღმოსავლეთი, პაკისტანი, ინდოეთი... ისევ გადაფრინა ავსტრალიაში, იქიდან კი კვლავ თვითმფრინავით, — ხან-ფრანცისკოში...




● ძველი, სახმარად უფარვის პოლიეთილენის კანისტრის გამოყენება კიდევ კარგა ხალხს შეგიძლია მისი არაპირდაპირი დანიშნულებით: ინსტრუმენტებისა და ლურსმნების გადასატან-გადმოსატანად.



● ჩვეულებრივ, როცა შარავლის ტოტის ბოლოს შეეცევენ, გაქვრავენ ხოლმე მას. შენ შეგიძლია უფრო იოლ ხერხს მიმართო: მთელი პერიმეტრის გასწვრივ ქსოვილს წაუსვი 5 მმ სიგანის **ПВА** წებოს ზოლი. როცა წებო გახმება, გადანაკეცს დანამული მარლა დააფინე და ცხელი უთოთი გაუთოვე. ამ ხერხს ის უპირატესობა აქვს, რომ დროთა განმავლობაში ქსოვილი არ იძენძება. რეცხვისას შეიძლება გადანაკეცი გადმოშალო, გაუთოებისას კი ისევ ადადგინე.



● ხარცები მანქანის დაცვისას რომ ნიჟარიდან რეზინის შლანგი არ ამოვარდეს (ასეთი რამ კი ხშირად მოხდის დიახლისს), შლანგს კაუჭი გაუკეთე და ამ კაუჭით ნიჟარის ღრუს ბადეზე დაამაგრე.



● შენს საბაღე ნაკვეთში ონკანის ქვეშ ტალახი არ წარმოიქმნება, თუ ზუსტად იმ ადგილას, სადაც წყლის ჭავლი ნიადაგის ზედაპირს ხვდება, მიწაში საღებავარ მიღს (მოზრდილი დიამეტრისას) ჩასვამ. თუ ამ მიღს ზემოდან ლითონის ბადეს გადაკრავ, საონი და კბილის ჭაგრისი შიგადაჩაგვიცვია. ეს ბადე ხილისა და ბოსტნეულის რეცხვასაც გაუადვილებს დიახლისს.



● ვისაც მისადგმელ კიბესთან პქონია საქმე, იმან იცის, რომ მისი მღვრადობის შენარჩუნება საკმაოდ ძნელია. ამ უხერხულობას რომ თავი დააღწიო, საკმარისია გააკეთო მარტივი ბუნეიკი აქ მოტანილი ნახაზის მიხედვით. კიბე არც გაკურდება და არც შემოტრიალდება.



# საპიონერული ჟურნალი

ბ. ზანტურია — სამოცდათწლიანი გზის გადასახედიდან (წერილი)	1
ბ. მირცხუშვაძე — კომკავშირი (ლექსი)	3
ნ. კილასონია — ამხანაგო კომკავშიროს (ლექსი)	3
კომკავშირალთა დღეგანდელი თამაზა (წერილი)	4
მ. ბელაშვილი — დონია კიხობი და სხვები (მოთხრობა)	5
შენი უცხოელი თანატოლები (წერილი)	9
მ. ცარცვაძე — ჩემი პირველი რედაქტორი (წერილი)	10
თ. გომოლაძე — მოვეხათუთოთ სიყვარულს (წერილი)	11
ლიდა სპვილია — 50	13
ბ. ქოძაშვილი — სიმღერების გამყიდველი (მოთხრობა)	14
ბ. აბულაშვილი — მომავალი თაობისადმი (ლექსი)	15
ვიქტორინა-კონაპურსი	16
მ. სიღამონია — დიდი მეცნიერის ცხოვრებიდან (წერილი)	17
შ. მარკოზაშვილი — შეხვედრა გომბორზე	18
ლ. გომბაშვილი — ლექსი	19
აი სი	20
ბ. ხაჩაშვილი — ვართ კი ასეთნი? (მოთხრობა-ზღაპარი)	21
სახალისო ქიშია	23
ბ. ბენაძე — დაქარგული ცხენისა და პორტრეტის ზღაპარი	24
გამორჩენილ ადამიანთა ღიმილი	25
ბ. ჩხატორიანი — ატენის სიონი (წერილი)	26
თუ ფოტოსაქმე გაინტერესებთ (წერილი)	26
მხიარული ვალსი (მუსიკალური ნოტი)	29
მხედრიონი	30
ჭადოსნური სარკე	31
გამოგადგები	32
ცხრაკლიტული	გარეკ. 3

## გარეკანის მხატვრობა იოსებ სამსონაძისა

### მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავარდუშვილი, ნუზარ აფხაზაშვილი (პ/მ. მდივანი), ჯურაბ გომცვაძე, მანანა ბელაშვილი, ავთანდილ გურბანიძე, დოდო ვადაშვილი, იოსებ სამსონაძე, ბაიოზ ფოცხვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრინი, ლიანა შეფირული, ჯურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-81-81, პ. მგ. მდივანის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაცემა საწყობად 28.08.88. წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.10.88. წ., ქაღალდის ფორმატი 60×90<sup>1</sup>/<sub>8</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლობ თაბახი 4,4; შეკვ. 2156. ტირაჟი 155200. ეგზ., უფ. 09460.

საქართველოს კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор  
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.  
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.  
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.  
Формат 60X90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9.  
Тираж 155200 экз. Цена 20 коп.



თარაზულად: 5. რუკაზე, გეგმაზე თუ ნახაზზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარ-

რომელიც სრულდება ორკესტრთან ერთად: 8. კუნძული ატლანტის ოკეანეში: 11. მცე-

მოდრავი გრიგალი: 16. ურძნის წვენი: 17. ჰოლანდიელი ფეხბურთელი: 20. სისხლძარღვი: 22. ქალის თავსაბურავი: 28. დროშა: 26. მოკავშირე რესპუბლიკა: 27. საფრანგეთის ქალაქი: 28. თანაზომიერება. პროპორციულობა რისამე განლაგებაში

შვეულად: 1. სატანვარჯიშო იარაღი: 2. წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში: 8. დადებითად დამუხტული ელექტროდი: 4. ვილნიუსის კლათბურთელთა გუნდი: 7. სათბურში გამოყვანილი ნერგი: 9. მოხეტიალე პოეტ-მომღერალი შუა საუკუნეების საფრანგეთში: 10. თბილისის პიონერთა სასახლის გაზეთი: 12. ამერიკის ჩანჩქერი: 18. მატერის ერთ-ერთი ძირითადი თვისება — მისი მოძრაობის ზომა: 18. მიჯრით ჩაწყობილი სარების ღობე: 18. ჭარი ანუ... 21. გადაჭარბებული თავმოყვარეობა: 24. ამერიკული მულტფილმი: 25. სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის მარკითაც გამოდის ან იყიდება საქონელი. შეადგინა ბ. ჯურდოშვილი




ბ ა მ ო ც ა ნ ა ბ ი

ამერიკელი გახლავართ. პირმშო იქაურ მიწის, ახლა კი ჩემი სახელს მითელმა მსოფლიომ იცის. გინდ მომხარზე და გინდ შემწვი, დელიკატესიცი კი ვარ, ვარ სუფრის გამხარებელი, რომელ სუფრაზეც მივალ.

არც შეშაა, არც ნახშირი, არც რაიმე საწვავი მცენარეა ტანმალდი, ფოთლებით და თავთავით.

დამწიფდება, დაკუწავენ, შეფუთავენ კარგად და.. ბოლოს ცეცხლსაც რომ მისცემენ, გადქცევა ნაცრად.

ბ. მარცვალაშვილი



დება ამ ხაზებით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან: 6. ერთი საკრავისათვის დაწერილი დიდი მუსიკალური ნაწარმოები,

ნართა სამყარო: 14. ტექნიკური კულტურა, ფართოდ გავრცელებული ერთწლოვანი ბალახ-მცენარე: 15 წრიულად

ბ ა მ ო ც ა ნ ა ბ ი

ზიშველი ჩავა ცხელ ზღვაში, ჩაიცვამს ფერად კაბას, ამოვა, მწეს ეფიცება, შრება და ცრემლენს მარცვლავს.

სითხეზე რომ ვლაპარაკობ, მის სახელსაც ვახსენებთ სითხე ჭქვია, მაგრამ ისე არაფერს არ ასველებს.

ვერ გამოიცნობს, მგონია, ის, ვინც ქიშია არ იცის: უმისოდ ცეცხლი არ ჩნდება, თუმცა თავად კი არ იწვის.


ბ. მარცხია

ნანული გვარიშვილი

არ იძირება წყალში, არ ეკიდება ცეცხლი.. გამოიხედა ოქრომ, უცებ გააღწო ვერცხლი.

შენც გეცნობება, ალბათ, ჩვენი წესი და რიგი: ხან მე ვახტები იმას, ხან მე მახტება იგი.

მისი თანამდგომობით ვკეცი გზა და სავალი, გადავლაზე ასი მთა, ზევები თუ ტრამალი, მიწასა და ჩემს შორის არის შუამავალი.



თ ა ვ ს ს ა ტ ე ბ ი

ჩაწერეთ თარაზულად განლაგებულ უჭრებლებში „მეფისტყაოსანში“ ნახსენები მცენარეების, ფრინველების, ცხოველების, მნათობებისა და ძვირფასი ქვების სახელები ისე, რომ პირველ ვერტიკალურ სვეტში მიიღოს პოემის ავტორის სახელი და გვარი. შეადგინა უმთა ხოდაშვილმა

პ ა ს უ ხ ა ბ ი № 9-ში მოთავსებულ სხარკალიფულზე

პ რ ო ს ვ ო რ დ ი

შვეულად 1 კალა: 2 ირემი: 3 თბილი: 4 ილია: 8 ღაფი: 7 ქლორი: 10 არშია: 12 რეიგანი: 18 ბოლდოგი: 16 დარდი: 14 ოფოფი: 17 ღიბია: 15 ქორდა: 22 ატომი: 24 კიტრი: 27 ქურდი: 28 მუნი: 29 აბახო: 30 არუი: 31 კატა

თარაზულად 1 კანთა: 3 ათასი: 7 ქულა: 8 ელაშა: 9 მინა: 11 ირიბი: 14 რადიო: 17 ლექსი: 19 ფაიტონი: 20 ორმო: 21 ბარი: 28 ფლაკონი: 25 ტვინი: 26 აბაზი: 27 ქიშია: 32 ოორი: 33 რანდა: 34 ბატი: 35 ილლია: 38 აორტა

ბ ა მ ო ც ა ნ ა ბ ი

ვერცხვი. შალაშინი ცეცხლი შარადევი ახი, კილი, ასკილი, ძალა, უციხი, ძალაქიხი.

